პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მეზღ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 10 კ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

№ 105 პარასკევი 11 მაისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 20,000 მან.

№ 105

დღიური

ინგლისის პრესა დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს საფრანგეთ-ბელგიის საპასუხო ნოტით გერმანიისადმი.

მუსოლინი მოითხოვს ახალ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას გერმანიის საკითხის გასარჩევად.

იაპონიის მუშები მოითხოვენ საბჭოთა რუსეთის დაუყოვნებლივ ცნობას და იაპონია-რუსეთს შორის ურთიერთობის აღდგენას.

ნორვეგიაში და დანიაში მუშები დიდ კამპანიას ატარებენ საბჭოთა რუსეთთან დაახლოვების მიზნით.

პარასკევს, 11 მაისს,

მთლიან პარტიულ დღის

მაგივრათ შესდგება საერთო რაიონული კრებები.

დღის წესრიგი:

მოხსენება რ. კ. პ. მე-12 ყრილობის შესახებ.

გამოდიან: 1 რაიონში—ამხ. ორჯონიკიძე და ორახელაშვილი.
2 " ამხ. რუბენი.
3 " ამხ. შ. ელიავა.
4 " ამხ. მიხ. კახიანი.

თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ **რუბენი.**

ამიერ-კავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია

სახელმწიფო დაწესებულებებს და წარმოებებს შორის ამტყდარ ქონებრივ დავის გადასაწყვეტად ა. წ. 11 მარტის დებულებისა („ზარია ვოსტოკა“ № 221) და ამიერ-კავკასიის ცაკის ა. წ. 23 აპრილის („ზარია ვოსტოკა“ № 261) დადგენილების თანახმად ამიერ-კავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიამ დაიწყო მოქმედება.

მთხოვნელების მიღება სწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 3 საათამდე.—თბილისი. სასახლე, № 27.

ამიერ-კავკ. უ. ს. კ. თავმჯდომარე ა. **შავერდოვი.**
მდივანი **იუზბაშევი.**

რევოლიუციონური წესრიგის სადარაჯოზე

ჩვენი გაზეთის დღევანდელ №-ში მკითხველი ნახავს საქართველოს საზღვრებიდან „ჩეკას“ მიერ გაძევებულთა სიას. ეს სია შესდგება მენშევიკური პარტიისა და მისი მოძმე დაშნაკცუტუნის აქტიურ წევრებისაგან, საერთო რიცხვით 80 კაცამდე, რომელთა შორის დიდ უმრავლესობას შეადგენენ სწორეთ მენშევიკები.

ყველა ანტისაბჭოთა პარტიები და მათ შორის, რასაკვირველია, მენშევიკური ძალიან „ცუდ დროს“ შეესწრენ საქართველოში. ახალი ხელისუფლების ხელმძღვანელობით თავიანთ ცხოვრების მშენებლობაში ჩაბმული ხალხის ფართო მასები, რომელთაც დღეს მხოლოთ მშვიდობიანი მუშაობა და არა ავანტიურა აინტერესებთ, სამუდამოთ ჩამოსცილდნენ ყოფილ „კეთილის მსურველებს“ მას შემდეგ, რაც საკმაოთ გაუსინჯეს კბილები მათ მისწრაფებებს. ჩვენმა მშრომელმა ხალხმა სოფლათ და ქალაქათ [illegible] იბრუნა პირი მათგან, ვინც ინტერვენციონისტებს,—შინაური აჯანყებების და, ამ მიზნით, ყაჩაღების დახმარებისაკენ მოუწოდებდნენ თავიანთ თანამოძმეებს. და რაც უფრო აშკარა გახდა ეს ისტორიული გათიშვა, ეს დიდი რასკოლი, ჩვენი ხალხისა და ვითომდა მისი კეთილ მეგობრების (ობიექტიურათ კი მხოლოთ მტრების) შორის, მით უფრო უნდა დამდგარიყვნენ უიმედობით შეპყრობილი მენშევიკების გამანადგურებელი ჯგუფები ავანტიურისა და ანარქიის გზაზე. ამ გარემოებამ აიძულა სხვათაშორის მუშური შემადგენლობა ამ პარტიისა, მასიურათ გამოსცლოდა მის რიგებს და გადასულიყო თუ კომუნისტურ პარტიაში არა, რაც ადვილ საქმეს არ წარმოადგენს პარტიის ორგანიზაციული სტატუტების გამო,—ყოველ შემთხვევაში საბჭოთა რეჟიმის პლატფორმაზე. ეს იზოლიაცია მენშევიკების ჯგუფებისა ხალხის ფართო შემადგენლობისაგან არის სხვათა შორის ერთი მიზეზთაგანი უპასუხისმგებლო პარტიზანული მუშაობისა, რომელიც თავისი შინაური შედეგებით არავითარ სერიოზულს საფრთხეს არ წარმოადგენს, მით უმეტეს დღეს, საბჭოთა ხელისუფლების ასეთი განმტკიცების შემდეგ, მაგრამ რომელიც საგარეო ძალთა განწყობილების ამა თუ იმ მომენტებში შესძლებს რამოდენიმეთ შეუშალოს ხელი სათანადო ორგანოებს. დიდი ძალა არ არის საჭირო, რომ ასეთი დამხმარე როლი იკისროს ჩვენი შინაური მტრების ამა თუ იმ სუსტმა ჯგუფმაც. როგორც აქტიური ძალა—ის არაფერია; ხოლო, როგორც სხვისი ენერგიის გადამცემი და დამხმარე ელემენტი, ის შეიძლება გამოსადეგი შეიქნეს ხალხის გარეშე მტრებისათვის, თუ ასეთებთან შეჯახების შემთხვევა მოგვეცემა ჩვენ. რასაკვირველია გარკვევით საფრთხე დღეს არსაიდან არა სჩანს, ძალიან საეჭვოა, რომ ევროპის აწეწილ-დაწეწილი ცხოვრების პირობებში, როდესაც ხელები აქვთ შეკრული „შინაური“ საქმეებით—რაიმე სერიოზული და აშკარა მზადდებოდეს ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ სიფრთხილე არასოდეს არ გვაწყენს.

არა მარტო ამ საგარეო, საშინაო პოლიტიკის მოსაზრებითაც არის ნაკარნახევი კონტრ-რევოლიუციონერების გადასახლება ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან. აშკარა უნდა გახდეს ყველასათვის, რომ ხელისუფლება, ხელმძღვანელი დიდი მშენებლობითი მუშაობის, რომელშიც აქტიურათ არის ჩაბმული მთელი ხალხი, რომ ეს ხელისუფლება ვერ მოითმენს, რომ მას დაბრკოლებას უმზადებდეს ავანტიურისტული ჯგუფები. პასუხისმგებელი ხალხის აწმყოსა და მომავალის წინაშე, ის ერთი წუთითაც ვერ შესწყვეტს ზრუნვას რევოლიუციონური წესრიგის დასაცავად და ამ მიზნით სათანადო ორგანოების ასამუშავებლათ.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ საბჭოთა ხელისუფლება საშუალებას მისცემს ყველას (ვინც მოისურვებს) დაუბრუნდეს მშვიდობიან შრომას. და ეს სიტყვა გაგონილ იქნა, მასიური გამოსვლა მენშევიკური პარტიის რიგებიდან საუკეთესო პასუხი იყო საბჭოთა ხელისუფლების შინაურ პოლიტიკაზე. მაგრამ ჩვენი მტრების რიგებში არიან ელემენტები, რომელთაც ურჩევნიათ მოუსვენრობა და ალიაქოთი. მთელი ჩვენი ხალხი სიამოვნებით შეხვდება ამიტომ რევოლიუციონური წესრიგის დამცველ ორგანოს (ჩეკას), რომელმაც საკადრისი ადგილი მიუჩინა ამ მოუსვენრობისა და ალიაქოთის მოციქულებს...

საქონლის თუ ოქროს მანეთი?*)

როგორც ყველამ იცის რამდენიმე თვეა ჯამაგირებსა და საზოგადოთ სამუშაო ქირას ანგარიშობენ საქონლის მანეთზე.

სანამ შემოიღებდენ სამუშაო ქირის გასწორებას საქონლის მანეთით, ყოველგვარი ანგარიში სწარმოებდა ქართულსა და შემდეგ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე, რასაც დიდი ზარალი მოქონდა, როგორც სახელმწიფოს ყველა დაწესებულებისათვის, ისე დაქირავებული მშრომელი მასისათვისაც. ვინაიდან ბონების, როგორც ქართულის ისე შემდეგ ამიერ-კავკასიის, ფასის კურსი საშინლათ ეცემოდა, რაც ყოვლად შეუძლებლათ ხდიდა რაიმე უტყუარი სმეტის შედგენას, როგორც დაწესებულებებისათვის ისე მუშისა და მოსამსახურების ოჯახისთვისაც. საჭირო ხდებოდა სულ დიდი თვეში ერთხელ მაინც ჯამაგირებისა და სამუშაო ქირის ტარიფების გადასინჯვა, რაც რასაკვირველია არას შემთხვევაში არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ნორმალურ მდგომარეობათ.

ამისათვის საჭირო შეიქნა ისეთი საზომის გამონახვა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა ცოტათ თუ ბევრათ, მაგრამ შედარებით მაინც განსაზღვრული ხნისათვის ჯამაგირების მტკიცე ტარიფის გამომუშავება. ასეთ საზომათ კი მიჩნეულ იქნა მაშინ „საქონლის მანეთი“, რომელიც უდრიდა, დაახლოვებით, იმპერიალისტური ომის წინა დროის ოქროს მანეთს, და არა დღევანდელსას, ვინაიდან ომის შემდეგ და სწორეთ ომის წყალობით დაეცა საერთოდ არა მარტო ქაღალდის ფული, არამედ რამდენიმე ოქროს ფულის კურსიც. ასე რომ ოქროს მანეთი დღეს უფრო იაფია და მაშასადამე სყიდვითი უნარიც უფრო ნაკლები აქვს, ვიდრე ომის წინა დროინდელ ოქროს მანეთს. ამიტომაც შემოღებულ იქნა ანგარიშის გასასწორებლათ სწორეთ საქონლის მანეთი და არა ოქროსი, რადგანაც პირველი შედარებით უფრო მეტად მტკიცე იყო და ნაკლებათ განიცდიდა ქანაობას ვიდრე მეორე, ე. ი. ოქროს მანეთი.

მაგრამ შემდეგ ამ საქონლის მანეთსაც დაეტყო საკმაო რყევა და ქანაობა და თითქმის კიდევაც გაუსწრო ამაში ოქროს მანეთს. განსაკუთრებით აშკარათ ეს გამოიხატა აპრილის შუა რიცხვებიდან, როდესაც 10 მანეთიანი ოქროს ფასი სწრაფათ ავარდა ხუთ მილიონ მანეთიდან (ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით) თოთხმეტ მილიონამდე, რამაც თავისთავად ცხადია დიდი არევ-დარევა და ყოველ საქონელზე ფასების ზღაპრული ზრდა გამოიწვია. საქონლის ფასები უდიდეს რყევას განიცდიდა, და, მაშასადამე, ცხადია ვერც „საქონლის მანეთის“, კურსი ასცდებოდა ისეთ დიდ რყევას და ქანაობას. ამ გარემოებამ კი ძალზე დააფრთხო მუშები და მოსამსახურენი, რომლებსაც უნდა მიეღოთ ჯამაგირები საქონლის მანეთის კურსის მიხედვით, რისთვისაც საჭირო შეიქნა სათანადო ორგანოების მიერ მუშებისა და მოსამსახურეებისადმი მიმართვა საჭირო განმარტებებით.

როგორც ვსთქვით პირველ ხანებში „საქონლის მანეთის“ ანგარიშის გასწორება საჭირო და სასარგებლო იყო საქმისათვის. მაგრამ დღეს კი უნდა ვსთქვათ, რომ მან თავისი მნიშვნელობა უკვე დაკარგა. საქონლის ბაზარი დღეს უთანასწორდება სწორეთ ოქროს მანეთს და ამ უკანასკნელის კურსის აწევა-დაწევა ერთის სისწრაფით ედება საქონლის ბაზარს და მაშასადამე პირველ მოთხოვნილებით საგნებსაც. კარგია თუ ცუდია ასეთი ცვალებადობა როგორც ოქროს მანეთისა, ისე საქონლის ფასისაც, ეს სხვა საქმეა, მაგრამ, რომ ის ფაქტია და ძალაუნებურათ უნდა ვიცნოთ, რათა შესაფერისი დასკვნები გამოვიყვანოთ, ეს კი ცხადზე უცხადესია.

ეს ერთი.

მეორეთ, რაც განსაკუთრებით უფრო უნდა იქნეს მიღებული სახეში, ის, რომ თითქმის ყველა დაწესებულებები დღეს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო, როგორც სამეურნეო ისე სხვებიც, რომლებსაც ოდნავ მაინც აქვთ საქმე ბაზართან, გადასულნი არიან ოქროს მანეთის კურსზე და მითი ანგარიშობენ ყველაფერს, როგორც სმეტებს ისე სხვ. ვაჭრობას, აღებ-მიცემობას, როგორც სახელმწიფო ორგანოებთან ისე კერძო პირებთანაც აწარმოებენ ოქროს მანეთის კურსით. და ამავე დროს კი ჯამაგირებისა და სამუშაო ქირის ანგარიშის გასწორება, სწარმოებს საქონლის მანეთის კურსით. რათა? რისთვის? მე მგონია ეს სრულებით არ ეგუება საერთო ანგარიშიანობას.

რატომ ღებულობს მუშა და მოსამსახურე ჯამაგირს? იმიტომ რომ გამოვიდეს ბაზარზე და გადასცვალოს ეს სურსათ-სანოვაგესა და სხვა საქონელზე ეს საქონელი კი იყურება ოქროს მანეთისაკენ. აიწევს ამ უკანასკნელის კურსი, იწევს საქონლის ფასიც. მაგრამ საქონლისა და ოქროს მანეთის კურსი ერთი და იგივე ხომ არაა. გამოდის, რომ მუშა თუ მოსამსახურე ჯამაგირს ღებულობს საქონლის მანეთით, ყიდულობს კი მისთვის საჭირო საგნებს ოქროს მანეთით; ის გაკვირვებას ეძლევა და სამართლიანათაც.

გაცილებით უმჯობესი იქნება სრულიად მოისპოს ეს საქონლის მანეთი ამ დარგშიაც და მის მაგივრათ შემოღებულ იქნეს ოქროს მანეთი. ყოველ შემთხვევაში საჭიროა გამოთქვან თავიანთი აზრი ამის შესახებ ჩვენმა სათანადო ორგანოებმა და გააშუქონ ეს საკითხი ჩვენი საერთო ფინანსიური პოლიტიკის თვალსაზრისით.

ქ. კომუნაძე.

---

*) სადისკუსიო.

ბაქოს ბაზრობა

ბაქოს ბაზრობა 1923 წლისა გახსნილ იქნება 20 მაისს. ამ ბაზრობის მოწყობის იდეამ, რომელიც პირველად დაიბადა ბაქსაბჭოში, მიიღო ისეთი პოპულიარული ხასიათი, რომ არამც თუ საბჭოთა ფედერაცია, არამედ საზღვარგარეთის ვაჭარ-მრეწველობის წრეებიც აყენებენ ბაქოს ბაზრობას უდიდეს საზოგადო-ფედერატიული, ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს აიხსნება იმით, რომ ბაქოს ბაზრობას, მის მარჯვე სამეურნეო პირობებში, აქვს ის მნიშვნელობა, რომ ეს ბაზრობა ხელს შეუწყობს კავშირის განმტკიცებას როგორც საბჭოთა რესპუბლიკების, აგრეთვე ამ უკანასკნელების და მათთან მოსაზღვრე აღმოსავლეთ სახელმწიფოთა შორის. ბაქოს ბაზრობა, ამ გვარად, ჰქმნის იმ მეტად საჭირო და აუცილებელ კავშირს, რომელიც შეწყვეტილ იქნა ომის გამო. რუსეთის ქარხნების ნაწარმოებს სჭირია, ერთი მხრივ ბაზარი თავის გასაღებისათვის და, მეორე მხრივ, მრეწველობას რუსეთისას სჭირია მრავალი დაუმუშავებელი, ნედლი საქონელი, რომელიც უნდა მისცეს მას სამხრეთ საბჭოთა რესპუბლიკების და მეზობელ აღმოსავლეთ სახელმწიფოების მიერ. სუსტი სავაჭრო და სამრეწველო აპარატი, სატრანსპორტო დაბრკოლებები, საქონლის წაღების ძვირი ფასი (ფარახტი), მცირე სავაჭრო კრედიტი, რთული საბაჟო პოლიტიკა, მოუწყობელი საგადასახადო პოლიტიკა და სხვა ამ გვარი პირობები მეტად აბრკოლებდნენ საქონლის რეგულიარულ გაცვლა-გამოცვლის დამყარებას როგორც საზღვარ-გარეთს ქვეყნებთან, აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკებსა და ქალაქ და სოფლების შორისაც კი. საქონლის ბრუნვის თანამედროვე პირობებში, ბაქოს ბაზრობას ეძლევა დიდი მნიშვნელობა შიდა ბაზარზე საქონლის მასიურ დაყოფაში და გარე ბაზართან საქონლის ბრუნვის გაცხოველების საქმეში. ეს დიადი მნიშვნელობა ბაზრობისა შეიგნო ჩვენს გარდა ევროპამაც, თუმცა მან გაცილებით ნაკლები შერყევა განიცადა, ვიდრე საბჭოთა ფედერაციამ. ეკონომიური კონიუქტურის ცვლილებამ გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ჩეხო-სლოვაკეთში და სხვა ქვეყნებში წამოაყენა საკითხი ბაზრობის აღდგენისა, და თუ იქ ამ საკითხმა მიიღო ფართო განხორციელება, მიუხედავად იმისა, რომ იქ სავაჭრო არტერია სავსებით საღი იყო, და კერძოდ ტრანსპორტი, მაშინ, რასაკვირველია, საბჭოთა რუსეთში ბაზრობის აღორძინება უნდა ჩაითვალოს აუცილებელ საჭიროებათ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენს ბაზრობას სპარსეთთან მტკიცე სავაჭრო კავშირის დამყარებაში, და ჩვენ სავაჭრო პოლიტიკის ამოცანათაც უნდა იყოს მტკიცე ეკონომიურ კავშირის შექმნა სპარსეთთან. ეს თვით სპარსეთისთვის მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან კავშირი მოასწავებს მის, სპარსეთის განთავისუფლებას ევროპის მტაცებელ კაპიტალისაგან, მის მეურნეობის აღორძინებას და მატერიალურ კეთილდღეობას.

ქ. ბაქოს და მის ნავთსადგურის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდგომარეობის, მის სავაჭრო მრეწველობის დიადი მნიშვნელობის გამო, ბაქოს ბაზრობა ხდება პირველ ხარისხის მნიშვნელოვან ფაქტორათ, რომელსაც ეძლევა საზოგადო ფედერატიული მნიშვნელობა. ბაქოს ბაზარი აღადგენს ყოფილ დიდ ვაჭრობისას, რომელიც სწარმოებდა ბაქოს მეოხებით რუსეთსა, ოსმალეთსა, ამიერ-კავკასიასა, თურქესტანსა, სპარსეთსა და სხვა ქვეყნებ შუა.

რკინის-გზების, ბაჟების და სხვა შეღავათები, რომელიც ეძლევა ბაქოს ბაზრობაში მონაწილეობის მიმღებ ვაჭართ, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა და „სტო“-სთან შეთანხმებით, თავდებია დიდძალი საქონლის მოზღვავებისა ბაქოს ამა წლის ბაზრობაზე.

საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ, რომელსაც ბაქოს ბაზრობაზე ეკუთვნის საერთო ხელმძღვანელობა, არის გამომუშავებული უდიდესი შეღავათი სპარსეთის საქონლის შემოტან-გატანისთვის ბაქოს ბაზრობაზე. ყველა სამეურნეო ორგანიზაციებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომელნიც მიიღებენ ბაქოს ბაზრობაში მონაწილეობას, ნება ეძლევათ სრულიად თავისუფლათ (ულიცენზიოთ, მაშასადამე, ლიცენზიის გადასახადის გარეშე) გაიტანონ ბაქოს ბაზრიდან სპარსეთში ყოველგვარ საბაზრო საქონელი განუსაზღვრელ რაოდენობით, როგორც საბჭოთა, აგრეთვე ევროპიულ ნაწარმოებისა, გარდა იმისა, რომელზედაც არის გამოცხადებული მონოპოლია (შაქარი და ნავთი) და რომლის გატანა აკრძალულია საერთო ხელშეკრულების ძალით. ამასთანავე ნება ეძლევათ ბაზრობის დროს გაიტანონ სპარსეთისათვის შაქარიც და ნავთიც, რომელზედაც არის გამოცხადებული მონოპოლია, მხოლოდ აუცილებელია ამისთვის ნებართვა ს. ვ. ს. კ. განყოფილებისა ბაქოში. მხოლოდ ნებართვის მიღებისთვის აუცილებლად საჭიროა შემდეგი პირობა: ვაჭრებმა სამონოპოლიო საქონელი უსათუოდ უნდა იყიდონ ბაზრობაზე, ყოველ უბნისთვის (თავრიზისა და ზღვისპირის) მონოპოლისტებთან—„ზაკვნეშტორგისა“ ანუ „ცენტროსოიუზისა“. ნებადართულია და განთავისუფლებულია ყოველ გვარ გადასახადისაგან სპარსეთის ნაწარმოების შემოტანა ბაზრობაზე. ს. ვ ს. კ-ის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ეს შეღავათი მიეცეს სპარსეთის ზღვის პირა რაიონებსაც. ამ ჟამად არსებული სპარსეთის ვაჭრობისათვის აზიური ტარიფი გაგრძელებულ იქნება ბაზრობის დასრულებამდე.

ამასთანავე მიღებულია ზომები, შესუსტებულ იქნეს მნიშვნელობა ევროპის კაპიტალისა სპარსეთთან ვაჭრობაში, მაგალ., აკრძალულია შემოტანა ბაზრობაზე ევროპაში ნაწარმოებ საქონლისა სპარსეთიდან.

უნდა ითქვას, რომ ბაქოს წარსულ წლის ბაზრობის სისუსტე არ შეიძლება დამახასიათებლად ჩაითვალოს წლევანდელ ბაზრობისათვის. ბაზრობა 1922 წ. გაიხსნა არა ხელსაყრელ პირობებში. შეუფერებლად არჩეული დრო ბაზრობის გახსნისა, მოუმზადებლობა, სისუსტე საკრედიტო აპარატისა, ტრანსპორტის მოუწყობლობა და ნამეტნავად გამოურკვევლობა სავაჭრო განწყობილებისა სპარსეთთან,—ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ ბაქოს ბაზრობაზე 1922 წ., მიუხედავათ იმ უდიდეს ინტერესისა, რომელიც იყო გამოწვეული მის მიერ მთელ ფედერაციაში და სპარსეთში, შეიკრიფა მეტათ მცირე საქონელი, უმთავრესათ სპარსეთისა.

წლეულს ყოველი ეს ნაკლი აცილებულია და ბაზრობის პირობები წინ და წინვე საკმარისათ არის გამოკვლეული.

ამიერ კავკასიის ს. ვ. ს. კომისარიატის და „ზაკვნეშტორგი“-ს ოპერატიულ ორგანოს განზრახული აქვთ მიიღოს უმთავრესი მონაწილეობა ბაქოს ბაზრობაში.

„ზაკვნეშტორგის“ მიერ უკვე იგზავნება ბაქოში 100.000 ფუთამდე შაქარი სპარსეთის ბაზრისთვის, შაქარი გაყიდულ იქნება სპარსეთში გატანის უფლებით. გაგზავნილ იქნება გარდა ამისა 75.000 არშინი „დუშის“ ქსოვილი, რომელიც არის საჭირო ბამბის და მატყლის შესახვევათ, „საბზა“ და სხვა; დიდძალი საზღვარ-გარეთული ქსოვილი, როგორც ძვირფასი, აგრეთვე იაფ-ფასიანი; რუსეთის მანუფაქტურა და სხვა.

ამის გარდა „ზაკვნეშტორგს“ აზრათ აქვს შეაძლიოს ჩრდილოეთ-დასავლეთ სპარსეთისათვის ნავთის ნაყოფი იქიდან გადატანის უფლებით.

„ზაკვნეშტორგის“ გამოსვლა ბაზრობაზე თავის შაქრით და ნავთით, რის რეალიზაციისთვის მას აქვს მინიჭებული მონოპოლია ჩრდილოეთ-დასავლეთ სპარსეთში, მიყიდვა ამ საქონლისა ბაზრობაზე ორგანიზაციებისათვის ანუ სპარსელ ვაჭრებისათვის სპარსეთში გატანის უფლებით მათ ნედლ მასალაზე,—გაცილებით მეტათ ხელსაყრელია სპარსეთის ბაზრისთვის.

ნაწილი თავის საქონლისა „ზაკვნეშტორგი“ ჰფიქრობს გაჰყიდოს ნიმუშებით: მაგალითად სოხუმის ფოთლოვანი თამბაქო, ერევანის ღვინო, ბზაკალი (ხამშიტი), საბზა, ნუში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთო ბრუნვა „ზაკვნეშტორგისა“ ბაზრობაზე არ აღემატება ორ მილიონ მანეთ ოქროს.

თავის საქონლის მაგიერ „ზაკვნეშტორგი“ ფიქრობს იყიდოს ძველი სამზადისის ბამბა—ამიერ-კავკასიისა, თურქესტანისა და სპარსული, მატყლი—ამიერ-კავკასიული და სპარსული, ნაწლავები და ბეწვეულობა, ექსპორტისათვის სპარსული ხის-წებო (გუმი-დრაგან), პარკი, აბრეშუმი, ფრიზონი და სხვა.

სპარსეთის ვაჭრების მიერ ბაზრობაზე მონაწილეობის მიღების სხვა ფორმალურ მხარეების შესამსუბუქებლად „ზაკვნეშტორგი“ თავის სპარსეთის კანტორებს დაავალებს მიიღონ შეკვეთილება სპარსეთ ფირმებისა საკომისიო ოპერაციების საშუალებით.

წარმატება ბაქოს ბაზრობისა 1923 წელს უმთავრესათ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ წესიერათ იქნება მოწყობილი გამოსვლა ჩვენი სახელმწიფოებისა და კოოპერატიულ ორგანიზაციებისა.

ნ. ამირაძოვი,

საქ. საგანგებო კომისიის (ჩეკა) განცხადება

(გადასახლებულთა შესახებ)

საქართველოს საგანგებო კომისია აცხადებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეების საყურადღებოდ, რომ კოლეგიის ა. | წ. 2 მაისის დადგენილების თანახმად გადასახლებული არიან საქართველოს საზღვრებიდან ქვემოდ ჩამოთვლილი ჯგუფები მენშევიკებისა და დაშნაკების, როგორც მავნე ელემენტები, რომლებიც ძირს უთხრიდენ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წყობილებას. ეს პირები თავიანთი ბოროტი და პროვოკატორული მუშაობით ყოველმხრივ ცდილობდენ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება; შედიოდენ რა საბჭოთა ორგანოებში და წარმოებებში, ცდილობდენ შეეტანათ გახრწნა მუშათა მასებში ყოველგვარი საშუალებებით.

ეხლა, როდესაც რესპუბლიკის ცხოვრება ჩადის თავის ნორმალურ კალაპოტში და მშრომელები იწყებენ მტკიცე, აღმშენებლობით მუშაობას, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ნიადაგზე, როდესაც მენშევიკური და დაშნაკური პარტიები განიცდიან სრულ და სამარცხვინო კრახს და მათი რიგებიდან მრავალრიცხოვანი ჯგუფობით გამოდიან მუშები, აცხადებენ რა საქვეყნოდ, რომ დაჰკარგეს ნდობა თავისი ბელადებისადმი მათი გამყიდველური შეთანხმებლობითი პოლიტიკის გამო და მზად არიან მიემხრონ საბჭოთა ხელისუფლებას და კომპარტიას, რომლებიც ჭეშმარიტი დამცველებია მშრომელთა ინტერესების,—ამ დროს ამ პარტიების ქვემოდ ჩამოთვლილი წევრები განაგრძობენ თავიანთ მოღალატურ, პროვოკაციულ მუშაობას.

საქართველოს საგანგებო კომისია, რომელიც სდგას რევოლიუციის სადარაჯოზე და იცავს მშრომელთა მშვიდობიან ცხოვრებას, არ შეეძლო დაუსჯელად დაეტოვებია ასეთი ბოროტმოქმედებრივი გამოსვლები და მან გადასწყვიტა გაეძევებია ისინი, როგორც ზედმეტი და მავნე ბალასტი რომელიც ხელს უშლიდა მშრომელთა მშვიდობიან ცხოვრებას.

საქართველოს მშრომელებს სურთ იმუშაონ და შექმნან ახალი თავისუფალი და შრომის ცხოვრება და მათ არ სურთ დამნგრევლები, რომლებიც უიალაჯო მტრობით ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ჩვენს ნორჩს, მაგრამ უკვე ძლევამოსილ პროლეტარულ სახელმწიფოს.

გადასახლებულნი არიან ქვემოდ ჩამოთვლილი მოქალაქეები:

1. მენშევიკური პარტიის წევრები.

1. მამალაძე ლეონტი ოთარის ძე, 2. გიორგობიანი ვლადიმერ მიხეილის ძე, 3. ბაქუნაიშვილი მიხეილ ხოსროს ძე, 4. ლომთათიძე გაბრიელ ანანიას ძე, 5. სურგულაძე ტიტე კონსტანტინეს ძე, 6. კალანდარაშვილი ვარლამ მიხეილის ძე, 7. ლომთათიძე ისიდორე მაქსიმ. ძე, 8. ბუკია მიხეილ ბესარიონის ძე, 9. გოგობერიძე ბიქტორი გიტოს ძე, 10. თარგამაძე რაფიელ გიორგის ძე, 11. შავიშვილი, ლავრენტი გაბრიელის ძე, 12. მეჯღლუმოვი დავით კარაპეტის ძე, 13. ებანოიძე გრიგოლ მაქსიმელის ძე, 14. არეშიძე ვლადიმერი სოჭის ძე, 15. ხხირტლაძე ვასილ მარკოზის ძე, 16. ცირიკიძე ბაგრატი იოსების ძე, 17. ჩირაძე სერაფიონ ილარიონის ძე, 18. თოპაძე ამვროსი მოსეს ძე, 19. კაშია ვლადიმერ სპირიდონის ძე, 20. რამიშვილი სევასტი მირზაბეკის ძე, 21. ბურჯანიანი ილია ივანეს ძე, 22. ილიეშვილი მოსე საბას ძე, 23. ბრეგვაძე ზაქარია ალექსის ძე, 24. ტუსკია გიორგი დომენტის ძე, 25. მელაძე ელეფთერ მათეს ძე, 26. თოდუა გიორგი ივანეს ძე, 27. ჰანტურია ათანასე პავლეს ძე, 28. ქავშავაძე მიხეილ ირაკლის ძე, 29. ვახვახოვი ლეონ რევაზის ძე, 30 ფირცხალაიშვილი ალექსი ონისიმეს ძე, 31. კალანდაძე მარო ალექსის ასული, 32. ლომჯარია პელაგია ერმილეს ასული, 33. სხიდაძე დავით მალაქიას ძე, 34. ბაბლიძე სვიმონ ევსტაფის ძე, 35. ლიკავა ალექსანდრე ბესარიონის ძე, 36. დევიძე პროკლე ელიზბარის ძე, 37 კილოსანია გერონტი მინას ძე, 38. ბოლქვაძე ლიზა იოსების ასული, 40. ჩხაიძე სვიმონ პორფილეს ძე, 41. რუსაიშვილი ირაკლი იოსების ძე, 42. ორაგველიძე სვიმონ დიმიტრის ძე, 43 დათუნაიშვილი ვლადიმერ სიმონის ძე, 44. სვანიძე კირილე აბესის ძე, 45. გომართელი გიორგი სტეფანეს ძე, 46. რამიშვილი სევერიანე გიორგის ძე, 47. ხოფერია ალისტრატ ბესარიონის ძე, 48. სურგულაძე პავლე კონსტანტინეს ძე, 49. ოკუჯავა გიორგი ევსტაფის ძე, 50. სტურუა გიორგი ლევანის ძე, 51. ნადიმაძე ნიკოლოზ ზაალის ძე, 52. ასანიძე გიორგი ივანეს ძე, 53 მაძანიძე ვარლამ ლუკას ძე, 54. კიკნაძე ივ. (ლადო) გიორგის ძე, 55. გიორგობიანი იოსებ ზურაბის ძე, 56. თევდორაშვილი გიორგი ევგენის ძე, 57. ანთელავა ნიკოლოზ არჩილის ძე, 58. სიხარულიძე კირილე ლუკას ძე, 59. ღუდუშაური დავით იაკობის ძე, 60. თუხაშვილი იოსებ დავითის ძე, 61. პაპაშვილი დავით პავლეს ძე, 62. გორდაძე დიმიტრი მიხეილის ძე, 63. ნაკაიძე მიხეილ სიმონის ძე, 64. ვაშაკიძე თედორე იოსების ძე, 65 ჯინჭარაძე არჩილ გიორგის ძე, 66. რამიშვილი შალვა გიორგისძე, 67. სირდელაძე ერმილე ივანესძე, 68 კაკელიძე თეოფილე მარკ.-ძე, 69. ორაგველიძე აპოლონ ნოეს ძე, 70. ხატიაშვილი გიორგი გაბრიელის ძე, 71. ოსიძე ვასილ თომას ძე, 72. ქურციკიძე გიორგი რომანის ძე, 73. გიორგაძე ივანე დიმიტრეს ძე, 74. ლევაშვილი გიორგი აბრამის ძე, 75. მგელაძე ესე სიოს ძე, 76. დოლიძე გრიგოლ სამსონის ძე, 77. ბუკია აბესალომ გიორგის ძე, 78. ივანიძე ილარიონ იგნატის ძე.

2. დაშნაკცუტიუნის პარტიის წევრები.

1. ხაჩატურიანი სუმბატ არტემის ძე, 2. გამარიანი გრიგოლ მაკარის ძე, 3. მაკარიანი პოლოს მატეოსის ძე, 4. ჩიფლიკიანი გრიგოლი ხუნენოსის ძე, 5. ტოპჩიანი ბაღდასარ აკოპის ძე, 6. პეტროსიანი სტეფანე არუტიუნის ძე, 7. ირგელიანცი ოვაკიმ მელქუმის ძე, 8. ხზარჯიან ლეონ გრიგოლის ძე (ხაჯი ლევონი).

საქართველოს საგანგებო კომისიის პრეზიდიუმი: კვანტალიანი, ზერია, მიქელაძე.

ლორენის რკინის და რურის ნახშირის დაქორწინება

რომ ყურადღებით გადავავლოთ თვალი უკანასკნელი თხუთმეტი წლის ტრაღიკულ ისტორიას, ნათელი იქნება, რომ საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტის მიზეზები უფრო სხვაა ვიდრე ისინი, რომელთაც რეინის ორივე მხარეზე ასახელებენ. ამის მიზეზი მდგომარეობს ნახშირისა და რკინის მადნების სხვადასხვა ერის კაპიტალისტებს შორის გაყოფაში.

1915 წლის მაისიდან გერმანიის შოვინისტები, რომლებსაც აქეზებს რეინის იქითა მხარის მძიმე ინდუსტრია და კარგ გასამრჯელოსაც აძლევს მათ, გააფთრებულ კამპანიას ეწევიან ლორენის რკინის მადნეულის და ბელგიისა და ჩრდილო საფრანგეთის ნახშირის რაიონების ანექსიის სასარგებლოდ.

„გერმანიის სახელმწიფოს მომავალი ომის დროს ყოველგვარი საფრთხიდგან უზრუნველყოფის ინტერესები,—ასე სწერდენ გერმანელი შოვინისტები კონფიდენციალურ მემუარებში,—**მოითხოვს, რომ ლორენის რკინის მადნეულის მთელი რაიონი ჩვენს ხელში იყოს, საჭიროა ჩვენს ხელში იყოს აგრეთვე ციხეები ლონგვი და ვერდენი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამ რაიონის გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა“.**

„ასევე ნახშირის დიდი რაოდენობის ჩვენს განკარგულებაში ყოფნა, განსაკუთრებით გუდრონით მდიდარი ნახშირის, რომელიც მრავლად მოიპოვება საფრანგეთის ჩრდილო რაიონებში, გადამწყვეტ როლს ითამაშებს ომის ასე თუ ისე დამთავრებაში“.

ნათლად, გაბედულათ და ტლანქათ არის ნათქვამი! გერმანიის იმპერიალიზმს უყვარდა პირდაპირობა: მას სურდა ლორენის რკინის, რურის, ბელგიის და ჩრდილოეთ საფრანგეთის ნახშირთან დაქორწინება. ამის წყალობით გერმანიის იმპერიალიზმი შესძლებდა ბატონობას არა მარტო მთელს ევროპაში, არამედ მთელს მსოფლიოში.

პუანკარეს ანექსიონისტური პოლიტიკა.

სულ სხვა გვარად იქცევა საფრანგეთის იმპერიალიზმი. ის [illegible] ფარისევლობს. მიუხედავათ იმისა, რომ ის ისახავს ისეთივე მიზნებს, როგორსაც გერმანიის იმპერიალიზმი, ვერ ბედავს ამის აშკარად აღიარებას და შესწევს კიდევ გამბედაობა ურცხვად უარყოს ეს.

რათა თავის ლტოლვას მსოფლიო ჰეგემონიისაკენ მისცეს მტკიცე საფუძველი, საფრანგეთის ლითონის მრეწველობის კაპიტალიზმი დღიდან დროებითი ზავის დადებისა, ყოველ ღონეს ხმარობს ხელში ჩაიგდოს ვესტფალიის ქვანახშირი, რომელიც საჭიროა მისი ქარხნების და ღუმელების უზრუნველსაყოფად.

აი რათ იცავდა ასე სასტიკად მარშალი ფოში თავის აზრს საფრანგეთის მიერ რეინლანდის ოკუპაციის შესახებ. „საჭიროა, რომ ჩვენი ჯარები დარჩეს რეინზე“,—განაცხადა მან.

და აი, ამერიკისა და ინგლისის მიერ საფრანგეთის ანექსიონალისტური პოლიტიკის უარყოფის შემდეგ, საფრანგეთი ყოველივე ძალღონეს მიმართავდა, რომ თუ სრულიად არა, დროებით მაინც მოეხდინა რეინლანდის ოკუპაცია. საფრანგეთის იმპერიალიზმი ინტრიგების, აჯანყებების და სხვა საშუალებით ცდილობს მიაღწიოს ვესტფალიის ნახშირის პირდაპირ ან არა პირდაპირ ანექსიას: „ვერსალის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოკუპაციის ვადები მხოლოდ მაშინ გავლენ, როცა გერმანია ნამდვილათ შეასრულებს თავის ვალდებულებებს“,—სთქვა პუანკარემ.

დარიაკის მოხსენება.

აი რატომ მოითხოვს იმპერიალისტური საფრანგეთი დამარცხებული გერმანიისაგან კონტრიბუციების გადახდას, რომლის ჯამი, ყველა მიუდგომელ ფინანსიურ ექსპერტების ცნობით, ბევრათ აღემატება გერმანიის გადახდის უნარიანობას. თვით ფრანგი დეპუტატი დარიაკი თავის საიდუმლო მოხსენებაში პალატის კომისიების სახელზე, აღიარებს ამას. ის სიტყვა სიტყვით შემდეგს ამბობს: „ჩვენ ვერ მოვითხოვთ, რომ გერმანიამ 35 წლის განმავლობაში გვაძლიოს ასეთი დიდი თანხები“.

აი რატომ ამზადებდა გენერალი მანჟენი შამპანის სასაკლაოს, ეს მრისხანე ყასაბი, სახელმწიფო გადატრიალებას გერმანიისაგან დამოუკიდებელი რეინლანდის რესპუბლიკის შესაქმნელათ, და თუ ეს გადატრიალება არ მოხერხდა, მხოლოდ პრეზიდენტ ვილსონის ენერგიული ჩარევის წყალობით.

აი რათ უარყვეს საფრანგეთის შოვინისტებმა გერმანიის მუშების გულწრფელი წინადადება ომის დროს დანგრეული ოლქების აღდგენაში დახმარების შესახებ.

აი რატომ ამუშავებდა პუანკარე—„კომიტე დე ფორჟ“-ის (საფრანგეთის გაერთიანებული რკინის მრეწველობის კომიტეტის) ვექილი, ახალ და ახალ გერმანიისთვის შეუსრულებელ მოთხოვნილებებს და მკაცრ სანქციებს.

აი რათ გამოიმუშავა საფრანგეთის პალატის დეპუტატმა და ფინანსიური კომისიის თავმჯდომარე დარიაკმა თავისი ცნობილი კონფიდენციალური მოხსენება რეინლანდის შესახებ, რომელშიც მან დაანახვა საფრანგეთის ლითონის მრეწველობის გაუმაძღარ ტუზებს ამ რაიონის მთელი ბუნებრივი და სამრეწველო სიმდიდრეთა მნიშვნელობა და დაასკვნა, რომ „არის ერთი კითხვა, რომლის აღძვრა დიდხან კიდევ არ შეიძლება: ჩვენ ფიქრიც კი არ შეგვიძლია ამ საწინდარის (ე. ი. სამი ნავთსადგურის—დიუსელდორფის, დიუსბურგის და რუროორტის) დაბრუნების შესახებ!

აი რათ მოითხოვს დარიაკი თავის მოხსენებაში საფრანგეთის მთავრობისაგან, ერთხელ და სამუდამოთ განაცხადოს მან, რომ საფრანგეთის ჯარები არ გავლენ რეინლანდიდან და რომ ის როგორც კრედიტორი შეინარჩუნებს ამ მხარეს, როგორც გერმანიის ვალდებულების გარანტიას. ამას გარდა მოხსენება მოითხოვს, რომ რეინლანდის მოსახლეობა განთავისუფლებული იქნეს „პრუსიის მთავრობისაგან“ რათა ეს რაიონი ჩამოშორდეს გერმანიას და მოეწყოს „თავისუფალი“ რეინლანდი საფრანგეთ-ბელგიის პროტექტორატის ქვეშ.

ორი კაპიტალიზმის თანამშრომლობა.

და მართლაც, პუანკარეს მთავრობამ, რომლის ზურგს უკან მოქმედებს „კომიტე დე ფორჟ“, ყურად იღო წინადადება რურის ექსპლოატაციის შესახებ ორი მსხვილი კაპიტალიზმის—საფრანგეთისა და გერმანიის—თანამშრომლობის და მეგობრული შეთანხმების საშუალებით.

და აი დაიწყო ხანგრძლივი და ხარბი მოლაპარაკება ერთის მხრით „საფრანგეთის რკინის მრეწველობის კომიტეტსა“ და მეორე მხრით გერმანიის სტინესებსა და სხვებს შორის. ამ მოლაპარაკებამ თითქმის მიაღწია სასურველ შედეგებს, მაგრამ ჩაიშალა გაყოფის საკითხში შეუთანხმებლობის გამო: „კომიტე დე ფორჟი“ მოითხოვდა საფრანგეთ-გერმანიის ტრესტში განუყოფელ ჰეგემონიას მისთვის აქციების 60 პროც.-ის დათმობით, სტინესი კი იცავდა აქციების თანასწორად განაწილებას.

და აი მაშინ, რეინის მხარის მაგნატებზე გავლენის მოსახდენათ, საფრანგეთის კაპიტალისტების პოზიციის გასამაგრებლად, პუანკარემ ბრძანება მისცა ჯარს, დაძრულიყო რურისაკენ. ამის შედეგია: ამ მეტად მრეწველობა განვითარებული რაიონის ეკონომიური აპარატის საგრძნობლათ მოშლა; მიმოსვლის თითქმის შეწყვეტა; საფრანგეთში ნახშირისა და კოქსის გადაგზავნის შემცირება; მრავალ მილიარდ მარკების და ფრანკების არანაყოფიერი ხარჯვა და სურსათ სანოვაგეზე ფასების შეუწყვეტელი ზრდა; 1921 წლის გაწვეულთა სახლში გაშვების შეჩერება და 1923 წლის სამხედრო ვალდებულთა ნაადრევათ გაწვევა, და ბოლოს, სისხლიანი შეტაკებები რურში, მაგალითად ესენში უკანასკნელად მომხდარი ამბები.

დორტენი კი, ეს საეჭვო პიროვნება, მოსყიდული ფრანგ ნაციონალისტების მიერ, რომელსაც წყევა-კრულვას უგზავნის რეინლანდის მთელი მოსახლეობა, განაგრძობს თავის საზიზღარ საქმეს—„დამოუკიდებელი რეინლანდის“ შექმნას, რომელიც სავსებით ემსახურება „კომიტე დე ფორჟ“-ის მიზნებს. მიუხედავათ იმისა, რომ პუანკარეს მიერ რურის ოკუპაციამ არ გამოიღო საჭირო შედეგები, ფრანგი ნაციონალისტების ეს საზიზღარი ლაქია, ამ დღეებში ჩამოვიდა პარიზში, რომ აქ მოამზადოს რეინლანდში ახალი გადატრიალება.

საოკუპაციო ჯარების გენერლები ამაოთ ურჩევდენ რურის რევოლიუციონურ პროლეტარიატს დაეკავებიათ ფაბრიკა ქარხნები და პირდებოდენ მათ სამხედრო დახმარებას. გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ ენერგიულად უარყო ეს ფარისევლური ორპირობა, რომლის მიზანი იყო გზების გაწმენდა ამ ფაბრიკა-ქარხნების საფრანგეთის იმპერიალიზმის მიერ საბოლოოთ დასაპყრობათ.

პროლეტარიატის მოვალეობა.

აი, იმ არევ-დარევის მიზეზები, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით ამ რვა წლის განმავლობაში; აი გერმანიის პროლეტარიატის უსაზღვრო შევიწროების და ექსპლოატაციის ნამდვილი მიზეზები; აი სად არის წყარო იმ გაჭირვებული მდგომარეობისა, რომელშიც იმყოფება საფრანგეთის მუშათა კლასი; აი საიდან გამომდინარეობს ახალი ომის საფრთხე.

როგორიც არ უნდა იყოს რურის ავანტიურის შედეგები, ის მაინც გააძლიერებს საფრანგეთ - გერმანიის პროლეტარიატის ექსპლოატაციას საფრანგეთის და გერმანიის კაპიტალიზმის მიერ და გადაიქცევა საშინელი შეიარაღებული კონფლიქტის ბაზათ ერთი მხრით ლოტარინგიის რკინის რურის ნახშირთან დაქორწინებულ საფრანგეთის იმპერიალიზმსა და მეორე მხრით ინგლისის იმპერიალიზმს შორის, რომელსაც თავისი ინტერესების მიხედვით არ შეუძლია გულგრილათ უცქიროს საფრანგეთის გაძლიერებას ევროპაში.

და ეს მოსალოდნელი ახალი ომი იქნება უფრო სასტიკი და განმანადგურებელი, ვიდრე 1914—1918 წ. წ. ომი. ასეთი ომი გამოიწვევს ევროპის ცივილიზაციის სრულ დაღუპვას.

რიგი მშრომელებზეა. მათ შესაფერად უნდა დააფასონ ეს პერსპექტივა, შეიარაღდენ და დაამარცხონ კაპიტალისტური სისტემა—შეიარაღებული კონფლიქტების მუდმივი წყარო—და დაამყარონ თავისი ხელისუფლება, რომელიც მისცემს ზავს მთელს ქვეყანას და მშრომელთათვის უზრუნველყოფს პატიოსან მშვიდობიან შრომას.

ემილ მეილენ.

„ლიუმანიტე“

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

მოსკოვი. 9 მაისი. ამ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში დრო გამოშვებით ადგილი ჰქონდა ტემპერატურის აწევას, რომელიც აღწევდა—37,3, საშარდე ბუშტის მხრივ უმნიშვნელო კატარრალურ მოვლენებთან დაკავშირებით. დღეს ტემპერატურა უდრის—37,1. მაჯისცემა—96. საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

1923 წ. 9 მაისი, დღის 2 საათი.

პროფესორები: მინკოვსკი, კრამერი, ნონნე, ფორსტერი, ბუმკე.
პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.
ექიმი: ელისტრატოვი.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

რურის ოლქის ოკუპაცია

ამხ. დიუპონის დატუსაღება.

ბერლინი. 10 აპრილი ერფურტში გერმანიის პოლიციამ დაატუსაღა პარიზიდან ჩამოსული ფრანგი კომუნისტი დიუპონი.

ოკუპაციის მსხვერპლი.

ბერლინი. 10 მაისი. უკანასკნელი ცნობებით რურის ოკუპაციამ დღემდი იმსხვერპლა 50 კაცი. მათ შორის არის ათი ბავშვი, სამი არა სრულწლოვანი ახალგაზრდა, ერთი 14 წ. ქალიშვილი და 2 სამოცი წლის მოხუცი.

გერმანელ რკინისგზელების გასამართლება.

ბერლინი. 10 მაისი. მაინცში საფრანგეთის სამხედრო სასამართლომ გერმანიის მთავრობის განკარგულებების დამორჩილების გამო ციხეში ჯდომა მიუსაჯა პროფკავშირების და რკინისგზელთა ორგანიზაციების რამდენიმე ხელმძღვანელს. მხოლოდ 17 რკინისგზელს მიესაჯა საერთოდ 75 წლის ციხე.

მუშები მოითხოვენ.

ბერლინი. 7 მაისი. (მოსკოვით). რურის მუშებმა უარჰყვეს სამედიატორო სასამართლოს დადგენილება ხელფასის მომატების შესახებ. სამთამადნო მუშები მოითხოვენ 40 პროცენტის მომატებას.

ლოზანას კონფერენცია

ლოზანას თათბირი ერთ თვეს გასტანს.

ანგორა. 9 მაისი. დეპ. გაზ. „ტანინ" ჰფიქრობს, რომ ლოზანის კონფერენცია კიდევ ერთ თვეს გასტანს, ვიდრე მოკავშირეები გამოარკვევენ სტამბოლში მყოფ ყველა უცხოელ კომპანიების მოთხოვნილებათ.

სირიის საზღვარზე ჯარს აგროვებენ.

პარიზი. 10 მაისი. ადნან ბეისათვის გადაცემულ საფრანგეთის მთავრობის პროტესტში, სირიის საზღვრებზე ჯარის მოგროვების გამო, საფრანგეთის წარმომადგენელმა მიუთითა ადნან ბეის, რომ საფრანგეთი ასრულებს ყველა მუხლებს ოსმალეთთან შეთანხმებისას, ამასთანავე საფრანგეთის წარმომადგენელმა გაახსენა, საფრანგეთის დელეგაციის მომრიგებლის როლი ლოზანაში.

ეკონომიური კომისია.

რომი. 10 მაისი. ლოზანიდან იუწყებიან რომ ეკონომიურ კომისიის სხდომაზე მოკავშირეები შეუთანხმდნენ ოსმალებს ზოგიერთ მუხლებში და მოიწონეს სავაჭრო ხელშეკრულების პირველი მუხლები.

პოლიტიკური კომისია.

რომი. 10 მაისი. პოლიტიკურ კომისიაში ოსმალებმა მოითხოვეს იმ სამხედრო გემების დაბრუნება, რომლებიც მოკავშირეებმა დაატყვევეს დროებითი ზავის ჩამოგდებისას. ვენიზელოსმა უარი განაცხადა ამ საკითხის თაობაზე თავისი აზრის გამოთქმისა, იმ მოსაზრებით, რომ ეს საკითხი იხება საბერძნეთსაც და იგი უნდა განიხილონ ოსმალეთ საბერძნეთის საკონტრიბუციო საკითხთან.

სხდომის ბოლოს განხილულ იქნა საკითხი, რათა ფინანსიურ-ეკონომიურ მუხლების განხილვაში მონაწილეობა მიეღოთ წარმომადგენლებს ბელგიისას, ჩეხო-სლოვაკიისას, პორტუგალიისას და პოლონეთისას. ოსმალეთის დელეგაცია წინააღმდეგი იყო ამ წინადადებისა. ჩენოგორია (ბავშთა) დაჟინებით მოითხოვს მის დაშვებას.

გერმანია და ანტანტა

გერმანიის პრესის განწყობილება.

ბერლინი, 8 მაისი. „ფოსიშე ცაიტუნგი", უკეთებს რა კომენტარიებს საფრანგეთ-ბელგიის ნოტას, ფიქრობს, რომ გერმანიის მთავრობამ ყურადღებით უნდა განიხილოს ეს ნოტა და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს რეპარაციების ჯამს. სოციალ-დემოკრატებს ვერ გადაუწყვეტიათ, განაგრძონ თუ არა პასიური წინააღმდეგობა.

მემარჯვენე გაზეთები აცხადებენ, რომ მოლაპარაკება საფრანგეთის მთავრობასთან ამის შემდეგ შეუძლებელია.

საფრანგეთის პრესა იცვლის პოზიციას.

პარიზი. 8 მაისი. საფრანგეთის პრესის ნაწილმა რამოდენიმედ იცვალა პოზიცია გერმანიის მდგომარეობისადმი. ზოგიერთი გაზეთები უკვე აღარ მოითხოვენ გერმანიის წინადადების კატეგორიულად უარყოფას.

კონფერენციის გარეშე არც ერთი ნაბიჯი

რომი. 7 მაისი. მუსოლინი მოითხოვს მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი გერმანიის ნოტის პასუხის შესახებ.

საფრანგეთს მარცხი მოუვიდა

ლონდონი 8 მაისი. ინგლისის კაბინეტი 8 მაისს იხილავდა ნოტის ტექსტს, რომელიც გაეგზავნება გერმანიას. „ტაიმსის" აზრით, **საფრანგეთმა გადადგა მოუფიქრებელი ნაბიჯი, რითაც დახმარება გაუწია ინგლისს**, გაზეთი ფიქრობს, რომ გერმანიის წინადადება უნდა გადაეცეს გადასაჭრელად საერთაშორისო სარეპარაციო კომისიას.

„მატენი" შიშობს

პარიზი 8 მაისი. „მატენი" შიშობს, რომ კრუზოსაგან მოსალოდნელი პასუხი საშუალებას მისცემს გერმანიას განაგრძნოს პასიური წინააღმდეგობა, რაც დამღუპველ შედეგებს გამოიწვევს.

ინგლისის პოზიცია

ინგლისის პრესის აზრი საფრანგეთის პასუხის შესახებ.

ლონდონი. 7 მაისი. „დეილი ტელეგრაფი" სწერს: **საფრანგეთის მიერ გერმანიის წინადადებების უარყოფას მოჰყვება არა სასურველი შედეგები.** ძლიერ სამწუხაროა, რომ **საფრანგეთმა საჭიროებით გვერდი აუხვია ლონდონის აზრს და თათბირი გამართა მხოლოდ ბელგიასთან.** ბერლინში შეიქმნა საშიში წარმოდგენა მოკავშირეებს შორის ნაკლები სოლიდარობის შესახებ.

„ტაიმსი" სწერს: **„საფრანგეთის მოქმედება ართულებს ისედაც გართულებულ ურთიერთობას მოკავშირეებს შორის.** თუმცა-ღა გერმანიის ნოტა უშედეგოა, მაგრამ ის მაინც წარმოადგენს საფუძველს მოლაპარაკებისათვის.

საფრანგეთი და ინგლისი აფერხებენ მოკავშირეების ერთიანი ფრონტით გამოსვლას.

ინგლისის მუშები მხარს უჭერენ საბჭოთა რუსეთს.

ლონდონი. 8 მაისი. „დეილი ჰერალდში" მოთავსებული წერილის გამო, რომელშიც აღნიშნულია საფრთხე, რომელსაც გამოიწვევს რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევა, „მორნინგ პოსტი" მოწინავეში სწერს, რომ ინგლისის მუშათა პარტია, ინგლისის კომპარტია და ინდოეთის მუშათა პარტია მეტად ერთსულოვნად უჭერენ მხარს „ყაჩაღ" ბოლშევიკებს საკუთარი (ინგლისის) მთავრობის წინააღმდეგ.

ინგლისის კომუნისტური პარტიის მანიფესტი

ლონდონი. 7 მაისი. ინგლისის კომპარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება ყველა ორგანიზაციებისადმი, რომელშიც აღწერილია რუსეთის ნამდვილი მდგომარეობა და კაპიტალისტების ცდა რუსეთზე თავდასხმის მოსაწყობათ. მანიფესტი მოუწოდებს მუშებს ერთიანი ფრონტით გაილაშქრონ იმპერიალისტების წინააღმდეგ. მანიფესტში წამოყენებულია შემდეგი ლოზუნგები: „ხელები შორს რუსეთის სავაჭრო დელეგაციისაგან, რუსეთთან ზავის დადება და მისი ცნობა, ძირს ომი — გაუმარჯოს საბჭოებს, გაუმარჯოს მუშათა რესპუბლიკას". ასეთივე ხასიათისაა ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის მანიფესტიც.

ემიგრაციის სტატისტიკა

რომი. იტალიის გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით, სამი წლის განმავლობაში (1920-1922 წ.) იტალიიდან გადასახლებულა 883,681 კაცი, ინგლისიდან და ირლანდიიდან— 634,514, შვეციიდან—26,551, შვეიცარიიდან—18,180, ესპანიიდან— 289 817, პორტუგალიიდან—104,770, გერმანიიდან—85,053, დანიიდან 14,966, ბელგიიდან—13,551, ფინეთიდან—10,287.

სხვადასხვა ამბები

კომუნისტების დატუსაღება.

რომი 10 მაისი. პრუსიის ლანდტაგის თავმჯდომარემ ბრძანება გასცა ლანდტაგის სხდომის დროს წესრიგის დარღვევის გამო 3 კომუნისტის დატუსაღების შესახებ.

ერთა ლიგის პლენუმი.

პარიზი 10 მაისი. 3 სექტემბერს ჟენევაში გაიხსნება ნაციათა ლიგის პლენარული სხდომა.

ცეცხლითა და მახვილით

რომი. 10 მაისი. ტაჟორგის ახლო იტალიის კოლონიალურმა ჯარებმა ალყა შემოარტყა ტრიპოლიტანელ აჯანყებულებს, რიცხვით 1000 კაცს ამ „ოპერაციის" დროს მოკლეს 200 აჯანყებული, ბევრი დაიჭირა.

ჩინეთი

გლოვის დღე.

პეკინი. 7 მაისი. 7 მაისს, ეროვნული გლოვის დღეს, როდესაც ხელი მოაწერეს ჩინეთისათვის საზარალო ხელშეკრულებას, პეკინში გაიმართა მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 25 000 კაცმა. მანიფესტანტების დროშებზე ეწერა: „მოვითხოვთ, ჩინეთს დაუბრუნდეს იაპონიის მიერ ჩამორთმეული მიწა-წყალი".

გერმანია

მუშათა დემონსტრაცია

ბერლინი 7 მაისი. 6 მაისს მიუნხენის მუშებმა მოაწყვეს დიდებული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდა 100,000 მეტი კაცი; გიტლეროვცები (ფაშისტები) ქუჩებში არ გამოჩენილან.

სკანდალი პრუსიის ლანდტაგში.

ბერლინი. 7 მაისი. (მოსკოვით). პრუსიის ლანდტაგში დიდი სკანდალია კომუნისტების პროტესტის მიზეზით დეპუტატ კაცის გაძევების გამო 15 სხდომიდან. ინციდენტს ამწვავებს დღევანდელი დადგენილება, დეპუტატ პაული გოფმანის გამოშვების შესახებ 8 სხდომიდან რადგანაც უკანასკნელმა უარი განაცხადა დარბაზიდან გასვლაზე. სხდომა შესწყვიტეს. პრეზიდენტმა სხდომის დარბაზში მოიხმო პოლიცია. დღეს გაიმართება კომუნისტების საპროტესტო მიტინგი.

ჩეხო-სლოვაკია.

პრაგა. 7 მაისი. (მოსკოვით). წელს პირველ მაისის დემონსტრაცია მხოლოდ კომუნისტებმა მოახერხეს. სოციალისტების მანიფესტაციას ნაკლები ხალხი დაესწრო და ვერც ისე იყო დარაზმული, როგორც კომუნისტებისა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

დაზღვევის საქმე.

მოსკოვი. 8 მაისი. სახელმწიფო დამზღვევმა კომიტეტმა გასცა პირველი დახმარება ხანძრით დაზარალებულ მეკომურებს დასავლეთ გუბერნიებში—სულ 130,000 მან.

რუსეთში დაბრუნება.

მოსკოვი. 8 მაისი. ამერიკიდან მოსკოვში ჩამოვიდა ერთი წყება კანადელ დუხაბორებისა სულ 23 კაცი, რომლებიც თბილისის გუბერნიიდან მეფის დროს გადასახლებულან ამერიკაში. დუხაბორები მიემგზავრებიან მელიტოპოლის მაზრაში, სადაც დათმობილი აქვთ სასოფლო მეურნეობის ადგილები. თან მიაქვთ თავისი სამიწად-მოქმედო იარაღები. ესენი ამბვის გასაგებად არიან წამოსული 10,000 დუხაბორის დავალებით, რომელთაც სულით და გულით უნდათ თურმე რუსეთში დაბრუნება.

დუხაბორების გარდა ამერიკიდან რუსეთში დაბრუნდა 5 ჯგუფი სასოფლო-მეურნეთა კომუნისა, რიცხვით 40 კაცი. ესენი გაემართებიან ტამბოვის გუბერნიის სოფ. კირსანოვოში, სადაც უკვე არსებობს საბჭოთა მეურნეობა, ამერიკიდან შარშან დაბრუნებულ ემიგრანტებისა. ამათ თან მიაქვთ სასოფლო მეურნეობის იარაღები ღირებული 10,000 დოლლარად. კირსანოვის საბჭოთა მეურნეობა სამაგალითოთ არის მიჩნეული. მას მიღებული აქვს ქების ფურცელი უ. ც. აღმასრ. კომიტეტისა და აგრეთვე პირადად ამხანაგ ლენინისაგან.

მაკარიის ბაზრობა.

მოსკოვი. 8 მაისი. მაკარიის მომავალ ბაზრობისათვის წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია. ბაზრობა გაიხსნება აგვისტოს 1-ს და სექტემბრის 15-დე გაგრძელდება. ბაზრობის მოსაწყობათ, შარშანდელთან შედარებით ერთიორად მეტი შენობებია დამზადებული. ბაზრობის კომიტეტი, რომელიც ჯერ კიდევ მოსკოვში იმყოფება, 10 მაისიდან შეუდგება ბინების გაცემას მთხოვნელებზე.

წელს ბაზრობაზე მოელიან დიდძალ სპარსელსა და საზღვარ-გარეთელ ვაჭრებს. ბაზრობაზე ყველა დიდი ბანკები განყოფილებებს იქონიებენ.

სასოფლო-მეურნეობის ფრონტზე.

ცარიცინი. 7 მაისი. ზამთრის ნათესობას ცარიცინის გუბერნიაში გაუმჯობესობა დაეტყო. გლეხობა სიამოვნებით ეგებება ინსტრუქტორებს და ხალისიანათ ეხმარება მათ მუშაობაში.

პოლტავა. 7 მაისი. პოლტავის გუბერნიაში პურის მოსავალი, მოსახლეობის დაკმაყოფილების გარდა, ვარაუდით მოგვცემს 71 მილიონ ფუთს.

პენზა. 8 მაისი. წელს გაზაფხულის ნათესობას უჭირავს 590,000 დესეტინა ადგილი. გლეხობას დაურიგდა 185,000 ფუთი სათესლე ხორბალი.

გადასახადთა კამპანია.

ირკუტსკი. 7 მაისი. ირკუტსკის გუბერნიაში აპრილის განმავლობაში აკრეფილია გადასახადის 163 პროც.

განათლების საჭიროებისათვის.

ვოლოგდა. 7 მაისი. კანდიკოვის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა, სკოლების ქსელის გასაფართოვებლად, სახალხო განათლების საჭიროებათათვის გადასდო მთელი თავისი შემოსავლის ნახევარი.

პროვინციებში

მდგომარეობა გერმანიის პროფკავშირებში.

ალმასრულებელ ბიუროს სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. ბრანდლერის მოხსენება გერმანიის პროფკავშირთა მდგომარეობის შესახებ. მელითონეთა კავშირის 77 ყველაზე უფრო მნიშვნელოვან განყოფილებებში კავშირის წევრების უმრავლესობა პროფინტერნის მოხრეებია. რეფორმისტულ პროფკავშირების უმაღლეს წრეებში შემჩნეულია ორი მიმდინარეობა: ერთი მერყეობს რეაქციასა და რევოლიუციონურ ელემენტებს შორის, მეორე დაუზოგველ რეპრესიების გზაზე შესდგა კომუნისტებისა და პროფინტერნის მომხრეების მიმართ. გრძელდება რევოლიუციონურ მუშების მასიური განდევნა კავშირიდან. რეფორმისტების ეს შეტევა უშუალოდ არის დაკავშირებული რურის ოლქის მდგომარეობასთან. რურის ოკუპაცია ეხლა მესამე სტადიაში გადავიდა. ოკუპაციასთან დაკავშირებული მოსალოდნელი დიდი გართულებანი ჯერ არ მომხდარა. რურის კონფლიქტი დასასრულს უახლოვდება. სტინესისა და ლუშერის გეგმები სრულებით თანხმდება ერთმანეთთან. შრომის ხელფასის შემცირება და სამუშაო დღის გაგრძელება გათვალისწინებულია როგორც სტინესის, ისე ლუშერის გეგმითაც.

გერმანიის რეფორმისტულ პროფკავშირების ხელმძღვანელები ასეთი დასასრულის მოლოდინში პროვოკაციას ეწევიან პროფმოძრაობის გაყოფაზე, გაყოფის ეს პოლიტიკა ყველაზე ადრე რკინის-გზელთა კავშირს დაეტყო. ბერლინის რკინის გზელთა შორის გაყოფა უკვე მოხდა, თუმცა კავშირის უმრავლესობა პროფინტერნის მომხრეა. გაყოფის წინაშე სდგანან ლეიპციგი, კელნი, ნიურენბერგი, ვიურტემბერგი და სხვა პუნქტების მთელი რიგი. **რეფორმისტების ამ ახალ შეტევასთან ერთად ოპოზიცია მათ კავშირების წყებებში და პროფინტერნის მომხრეთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.** ალმასრულებელმა ბიურომ ამხ. ბრანდლერის მოხსენება მიიღო ცნობათ და მიანდო ამხ. ენდერლეს ალმასბიუროს მახლობელ სხდომისათვის დაამზადოს მოხსენება გერმანიის პროფკავშირების საქმეების მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე წარმოადგინოს პრაქტიკული წინადადებები, რომელთაც საფუძვლათ შეეძლება დაედოს პროფინტერნის მომხრეების მუშაობას გერმანიის პროფკავშირებში.

ტრანსპორტზე მომუშავეთა საერთაშორისო კონგრესი.

შემდეგ ალმასბიურომ მსჯელობა იქონია ტრანსპორტელ მუშების მოსალოდნელ საერთაშორისო კონგრესის საკითხის შესახებ.

ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენლების, ფიმმენსა და ვილიამსთან წარმოებულ მოლაპარაკების და მიმოწერის შედეგათ დადგენილია მოწვეულ იქნეს 23 მაისს ბერლინში ამსტერდამის ტრანსპორტელთა კონფერენცია რუსეთის ტრანსპორტელთა კავშირების წარმომადგენლებთან ერთად.

ამხ. ლოზოვსკიმ წინადადება შეიტანა მოწვეულ იქნეს 20 მაისისათვის ყველა რევოლიუციონურ ტრანსპორტელთა წინასწარი ყრილობა კონფერენციასთან დაკავშირებულ საკითხების გამოსარკვევათ. ალმასბიურომ ამხ. ლოზოვსკის წინადადება მიიღო.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქო. 9 მაისი. 5—7 მაის ბაქოდან ასტრახანში გაიტანეს 532.651 ფუთი დაუმუშავებელი ნავთის ნაწარმოები. პეტროვსკიდან გატანილია პარაფინის ნავთი. ასტრახანში 322,888 ფ. კრასნოვოდსკში 152,136 ფუთი.

დახმარება თესლეულობით

ბაქო. 9 მაისი აზერბეიჯანის 13 მაზრაში სესხად დარიგდა 47,027 ფ. სათესლე.

ბაქოს ბაზრობა.

ბაქო. 9 მაისი. ბაქოს კომიტეტს ყოველ დღე მოსდის დიდძალი საქონელი რუსეთისა და სპარსეთიდან. სამაზრო კომიტეტმა უკრაინაში გაგზავნა წარმომადგენელი იქაურ ბაზართან მჭიდრო კავშირის დასაჭერათ. მონაწილეობის მსურველთა განცხადებათა რაოდენობამ შარშანდელს გადააჭარბა.

კასპიის ფლოტი.

ბაქო. 9 მაისი. კასპიის ფლოტი ამჟამად ასეთს მდგომარეობაშია: სითხის ჩასასხმელი გემიდან მუშაობაშია 25, საერთო წყალწყვით 910,000 ფუთი.

ზამთრისათვის შესაკეთებლად არის 19 გემი საერთო წყალწყვის 1743 ტონით. ნავთსადგურში მუშაობს ერთი გემი, 70,000 ფუთის მტვირთველი, მგზავრების წასაყვან-წამოსაყვანად—9 გემი 382,000 ფუთის მტვირთველი, მცირე შესაკეთებლად არის 2 გემი, 70,000 ფ. ტევისა. ბარგისაზიდად 13 გემი—555,000 ფ ტევისა, ქვაბების ამასასუფთავებლად 8 გემი—177,000 ფ. ტევით, საგემო შეკეთებაში არის 9 გემი—323,000 ფ. ტევისა, სანავთო სადგური მუშაობაში—1 გემი—772,000 ფ. ტევისა, იჯარით გაცემულია 4 გემი—90,000 ფუთის, ტევისა.

სომხეთი

საკოოპერაციო ყრილობა.

ერევანი. 9 მაისი. სრულიად სომხეთის საკოოპერაციო ყრილობის მეორე სხდომა დაიწყო ამხ. ოთამშოლციანისა და ყაზარიანის მოხსენებებით სომხეთში კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებლებმა მოიყვანეს მრავალი სტატისტიკური ცნობები: პარალელი გატარეს სომხეთისა და საბჭოთა სხვა რესპუბლიკის კოოპერაციათა შორის.

სომხეთის დამხმარე კომიტეტი.

ერევანი. 9 მაისი. სომხეთის დამხმარე კომიტეტს თავისი განყოფილებანი აქვს მოსკოვში, სამხრეთ-აღმოსავლეთის რუსეთში თურქესტანში, ციმბირში და უკრაინაში. რუსეთის განყოფილებებმა სომხეთში იუსისაშენის არხის გასაყვანად შემოსწირეს 50.000 მანეთი, მათ შორის მოსკოვმა 15000, როსტოვმა 15,000, ხარკოვმა—5,000, ტაშკენტმა—10,000, ციმბირმა—5 000. მოსკოვმა უკვე შემოიტანა 7,000 მან. შემოწირულების შეკრება გრძელდება.

შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობანი.

ერევანი. 9 მაისი. სახელმწიფო ბანკის საკოოპერაციო განყოფილებამ დაამტკიცა ხუთი ახალი შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წესდება და დებულება: გუმბრისა, დელიჟანისა, ყამარლუსი, ახალ ბაიაზეთისა და დელიჯანისა.

სომხეთი მოსკოვის გამოფენაზე.

ერევანი. 9 მაისი. სააღგილ-მამულო კომისარიატთან არსებული საგამოფენო კომიტეტი შეუდგა გეგმის შემუშავებას იმის გამოსარკვევათ, თუ რა მასალებით მიიღებს მონაწილეობას სომხეთი მოსკოვის სასოფლო მეურნეობის გამოფენაზე.

ამ საქმის გამოსარკვევათ მაზრებში დაინიშნენ რწმუნებულნი. მზადდება კარტოგრამები და დიაგრამები სომხეთის სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან. ტფილისიდან მოწვეული სპეციალისტები ჩამოივლიან სომხეთის ყველა კუთხეებს, რათა შეაგროვონ სასოფლო მეურნეობის მასალები საოჯახო მეურნეობიდან, მანქანათა წარმოებიდან, იარაღები (ინსტრუმენტები), მოდელები და სხვ.

აღწერა.

ერევანი. 9 მაისი. მთელს სომხეთში დაიწყო მცხოვრებთა აღწერა. მცხოვრებნი დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან და ყოველნაირად ხელს უწყობენ აღწერის აგენტებს.

სომხეთის კოოპერატივი.

ერევანი. 9 მაისი. სომხეთის კოოპერატივმა მიიღო საუკეთესო ხარისხის სამი ვაგონი პაპიროსი. ახლო მომავალში მოელიან სამ ვაგონ შაქრის ფხვნილს.

ამიერ-კავკასიაში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების ტექნიკა

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარება დეკრეტის თანახმად დავალებული აქვს სასურსათო სახალხო კომისარიატს და მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს.

მათ შორის შეთანხმებით 5 მაისს მოეწყო საუწყებათაშორისო კომისია გადასახადის გასატარებლად.

კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს კოლეგიების წევრი ამხ. ერქომაიშვილი; კომისიის წევრებად: ამ.-კავკასიის სასურკომიდან—საორგანიზაციო—ადმინისტრატიული ნაწილის გამგე ამხ. დობროხოტოვი, სასურსათო გადასახადის სამმართველოს გამგე ამხ. დენისოვი და ამ-კავკასიის სასურკომის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს სასურსათო გადასახადის განყოფილების გამგე ამხ. როლკე; ამიერ-კავკასიის ფინსახკომიდან—პირდაპირი გადასახადების განყოფილების გამგე ამხ. მირსალაძე, ფინანსიურ—ეკონომიურ განყოფილების გამგე ამხ. ავერბახი და საბიუჯეტო სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. ვასილევსკი.

სასურკომისა და ფინსახკომის მიერ საუწყებათაშორისო კომისიისათვის მიცემულ ინსტრუქციის თანახმად კომისიას დავალებული აქვს:

ა) დამუშავება — დადგენილებისა დებულებებისა და ინსტრუქციებისა, და აგრეთვე მასალებისა გადასახადის ცხოვრებაში გატარების ვადის გამოსარკვევად. ეს დადგენილებები, დებულებები და ინსტრუქციები გამოიცემა სასურკომისა და ფინსახკომის მიერ ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ დეკრეტის მეოცდაერთე მუხლის თანახმად.

ბ) შედგენა დეკრეტების და დადგენილებების პროექტებისა, თაბულებისა, განაკვეთებისა, მეურნეობათა დანაწილება ჯგუფებათ და ხარისხებათ მოსავლიანობის კვალობაზე, რომლებსაც სცემს ამიერ-კავკასიის ცენტრალმასკომი და ამიერ კავკასიის სახკომსაბჭო სასურკომის და ფინსახკომის შუამდგომლობით თანახმად ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ დეკრეტისა.

გ) ყველა იმ პრინციპიალურ კითხვების წინასწარ განხილვა, რომლებიც წამოიჭრებიან ერთიანი სასოფლო-მეურნეობის ცხოვრებაში გატარების დროს.

ყველა დებულებებს, ინსტრუქციებს, დეკრეტის პროექტებს და სხვა, კომისიის თავმჯდომარე უდგენს სასურკომს და ფინსახკომს დასამტკიცებლად ან ამიერ-კავკასიის ცენტრალმასკომში და სახკომსაბჭოში განსახილველად გადასაგზავნად.

კომისიის მუშაობას დაკვრითი ხასიათი მიეცა. კომისიის სხდომები შესაძლოა მოხდეს უქმე დღეებშიც.

კომისია იმავე დღეს შეუდგა მუშაობას.

მან გამოიმუშავა სასოფლო სიების და მისი შესრულების ინსტრუქციის პროექტები, რომელიც ამიერ-კავკასიის სასურკომისა და ფინსახკომის მიერ დამტკიცების შემდეგ დაეგზავნება აღნიშნულ კომისარიატების რწმუნებულებს ადგილობრივ ცხოვრებაში გასატარებლად.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონული კომიტეტი

იუწყება, რომ ა. წ. 11 მაისს, ერთიანი პარტიული დღის ნაცვლად ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში საღამოს 5 ნახ. საათზე, შესდგება

მესამე რაიონის წევრების და კანდიდატების კრება

დღის წესრიგში—ამხ. ქლიავას მოხსენება რ. კ. პ. მეთორმეტე ყრილობის შესახებ.

მდივანის მაგიერ ფირალოვი.

საქალაქო კრება

ქ. ტფილისის ყველა უმაღლეს სასწავლებელთა კომუნისტ სტუდენტებისა, დანიშნული კვირას, 13 მაისისთვის, გადაიდო.

შემდეგი კრება ცალკე გამოცხადდება.

კომუნ.-შრომის ცენტრ. ბიუროს პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ: ხტეფანოვი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილება

წინადადებას აძლევს ყველა უმუშევარ ამხანაგებს, ვინც კი ჩაწერილია ტფილისის კომიტეტში, ორშაბათს, 14 მაისს გამოცხადდენ საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილებაში.

ვინც არ გამოცხადდება, ამორიცხული იქნება უმუშევართა სიიდან.

საორგ.-საინფორმაციო განყოფილების გამგის მაგიერ ი. ჯანელიძე.

— წინადადება ეძლევა ნესტორ გოგოლაძეს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ცენტრალურ კომიტეტის საალრიცხვო-სასტასტიკო განყოფილებაში.

ცენ. კომ. საალრ.-სასტატ. განყოფილების გამგე: ლიცინოვი.

საქციზო სამმართველოს უჯრედი № 22

ამ ათი დღის წინად საქციზო სამმართველოში დაარსდა კომუჯრედი. ხსენებულ სამმართველოში ქალაქ ტფილისში ითვლება 110 მდე თანამშრომელი და მხოლოდ უკანასკნელ დროს მოგვეცა საშუალება გაგვეჩაღებია პარტიული მუშაობა კომუჯრედის დამხმარებას ხელს უშლიდა ის, რომ ზოგი ამხანაგები ვითვლებოდით სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედში. ბოლოს მეოთხე რაიკომის შუამდგომლობით ტფილისის კომიტეტმა დაგვრთო ნება იქიდან გადმოწერის. ამ ჟამად ჩვენს კომ უჯრედში ითვლება 6 წევრი. რომ ეს კომ უჯრედი გაძლიერდეს საჭიროა მეოთხე რაიკომმა დანიშნოს ჩვენთან კარგად მომზადებული, ქართულ ენაზედ მოლაპარაკე ამხანაგი. ამასთანავე მოგვცეს ლექტორი მოხსენების წასაკითხავად და მოგვაქციოს განსაკუთრებული ყურადღება როგორც ახლად დაარსებულსა.

აქ მსახურებენ აგრეთვე ახალგაზრდა კომკავშირის წევრები. საჭიროა იქნეს დაარსებული მათი კავშირიც; ისინიც ჩვენთან ერთად ორგანიზაციულად ჩაებმებიან მუშაობაში და ჩვენი მუშაობაც მეტ ნაყოფს გამოიღებს. იმედი გვაქვს რომ სათანადო ორგანოები ყურადღებას მიაქცევენ ჩვენი უჯრედის მუშაობას გასაცხოველებლად.

მ. ეზიეშვილი.

პარტიული მუშაობა ახალციხის მაზრაში მარტში.

პარტიულ მუშაობას ახალციხის მაზრაში ეტყობა გამოცოცხლება. თუმცა ეს ორგანიზაცია სუსტია რიცხვობრივათ, მაგრამ ძლიერია პარტიული დისციპლინით და ენერგიით. გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობდა ანტი-რელიგიური კამპანია; ჩამორთმეულია 4 ეკლესია: სომხური, კათოლიკური, მართლ-მორწმუნეთა და ებრაელთა სინაგოგა. არავითარ უკმაყოფილების ხმას ეკლესიების გაუქმების გამო ადგილი არ ჰქონია. ცეკასაგან მიღებული ცირკულიარები გატარებულია ცხოვრებაში.

პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა მარტის თვეში მიმდინარეობდა დამაკმაყოფილებლათ. თითქმის მთელი თვის განმავლობაში სწარმოებდა დეტალური შემოწმება მუშაობისა, როგორც წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში, აგრეთვე პოლიტ-წრეებშიაც ადგილებზე. მიზანი შემოწმებისა იყო უმთავრესად გამორკვევა მასწავლებელთა მომზადებისა, მსმენელების რიცხვი და ხარისხი შეძენილი ცოდნისა. გამორკვევამ მოგვცა კარგი შედეგები: შესაძლებელი გახდა შესწავლა წერა-კითხვის და პოლიტიკური უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმის მდგომარეობისა. ამასთან გამორკვევამ მოგვცა საშუალება გაგვეძლიერებია კავშირი ცენტრისა პერიფერიებთან პოლიტ-განათლების ინსტრუქტორის საშუალებით. მინდვრებში მუშაობის მოახლოების გამო მოსწავლეთა რიცხვი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში სოფლად თანდათან კლებულობს და შეიძლება მალე სრულიად შესწყდეს ამ სკოლების მუშაობა. სამაგიეროთ ქალაქში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მიმდინარეობს გაძლიერებული ტემპით. მაგალითად, საანგარიშო თვეში გახსნილია ახალი წ.-კ. უცოდ. სალიკვიდაციო სკოლები პროფკავშირებში და გამასწორებელ სახლში, სადაც რიცხვი მსმენელებისა აღწევს 200 კაცამდი. პოლიტ-განმანათლებელი მუშაობის დარგში არსებობს კავშირი ახ. კომკავშირთან. საანგარიშო თვეში ეწყობოდა საუბრები, წარმოდგენები და დისკუსიები. რიცხვი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებისა ახალ-ციხის მაზრაში უდრის 16-ს, მსმენელთა რიცხვი 291.

მნიშვნელოვან კამპანიებს შორის აღსანიშნავია კამპანია ანტირელიგიური; ამ კამპანიაში აქტიური მონაწილეობას ღებულობდნენ უპარტიონიც და განსაკუთრებით ახალგაზრდობა კომკავშირის მეთაურობით. კამპანიის შედეგათ მივიღეთ 4 ეკლესიის დახურვა, რომლის შენობები განზრახულია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა კულტურულ-განმანათლებელ მიზნებისათვის.

მარტის თვეში პოლიტ-განათლების მიერ მოწყობილ იქნა რამოდენიმე წარმოდგენები თებერვლის რევოლიუციის 6 წლის თავზე, პარიზის კომუნისა და კომპარტიის არსებობის 25 წლის თავისა ამას გარდა ჩატარებულ იქნა კამპანია დახმარების გასაწევათ უცხოეთში დაპატიმრებულ კომუნისტებისათვის, რომელმაც დასტოვა 60 მილიონი მან. საანგარიშო თვეში მაზკომის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილების მიერ გამოყოფილ იქნა რამოდენიმე ამხანაგი—კორესპონდენტები, რომელნიც სისტემატიურად აწვდიან კორესპონდენციებს როგორც ქართულ, რუსულ, აგრეთვე მუსულმანურ ცენტრალურ გაზეთებს. ახალ-ციხის მაზრაში გლეხობაშივე ვრცელდება კოლექტიურათ ხელისმოწერა გაზეთებზე. ამ დღეებში დაიწყებს აქ მუშაობას კინო, მოწყობილი პოლიტ-განათლების მიერ, რომელიც უნდა ემსახურებოდეს წმინდა პოლიტ განმანათლებელ და საგიტაციო მიზნებს.

(დასასრული იქნება)

კიდევ ერთი საყურადღებო შესწორება

ერთი კარგი „მოძველო" ამხანაგი ეს-ესაა შემეკითხა, წავიკითხე თუ არა მე ამხ. **მალაქია ტოროშელიძის „მოგონება ახლო წარსულიდან"?**

მე ვუპასუხე: მე ძლივ-ძლივობით მხოლოდ ტელეგრამების წაკითხვას ვასწრებ —ისიც არა ყოველ დღეს მეთქი... მაშინ მან გადამიშალა 5 მაისის („პრესის დღის") „**კომუნისტის**" ნომერი... იქ მე ჯერ ზერელეთ გადავიკითხე ამ დღისათვის წინადღით ნაკარნახევი ჩემი წერილი... შემდეგ,—თავათ მის მიმყოლი, ამხ. მალაქიას „**მოგონება ახლო წარსულიდან**" ძლიერ გულდასმით წავიკითხე...

გამაკვირვა ამხ. **მ. ტოროშელიძის** მახსოვრობამ, რომ ის ასეთ, მართლაც, „**ახლო წარსულიდან**" მიუტევებელ შეცდომებს აკეთებს და ყოვლად დაუშვებელ მიდგომით სწერს ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებზე...

თუ ჩემი კაი ძველი მეგობრები: ამხ **რაჟდენ კალაძე** და ამხ **ფ. მახარაძე** ოცდაათ (30) წლის წინანდელ ამბების მოგონებაში შეცდნენ, ეს არაა გასაკვირი, ეს ბუნებრივია, და ამას მე ვრაცხ ყოველგვარ მიდრეკილების გარეშე...

ხოლო ხუთი-ექვსი (5—6) წლის წინანდელი ამბების მოგონება-კი არავისთვის არ უნდა იყოს ძნელი, თუ ის დღესაც მოქმედია და **ჯანსაღი** ყოველგვარად...

ასეთად ვთვლი მე ამხანაგ **მალაქიას**.. ამიტომ ცოტა უნდა შევახსენო მას ძველებურათ, მეგობრულათ...

⁂

ძლიერ მოკლეთ რომ ვსთქვათ,—აი, საქმე რაშია.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლიუციის თითქმის პირველ დღეებშივე,—აპრილის თვის პირველ რიცხვებში,— საზღვარგარეთიდან (ემიგრაციიდან) ამხ. **ლენინთან** ერთად პეტროგრადს დავბრუნდი... აპრილის კონფერენციაზე მივიღე მონაწილეობა... შემდეგ დავბრუნდი ამხ. **ფ. მახარაძესთან** ერთად (რომელიც, სიტყვაზე,—თბილისის ამხანაგებს გაეგზავნათ პეტროგრადში ამბების გასაგებად და ბოლშევიკური პოლიტ კურსის ხაზის გამოსარკვევად) ჯერ **ბაქოში** აქ ერთ კვირას დავრჩით. „**აპრილის კონფერენციის**" რეზოლიუციების ბევრჯერ და ბევრ კრებებზე გარკვევის შემდეგ, აქ მოვაწყვეთ ცალკე „**ბოლშევიკური კომიტეტი**"... მანამდე, როგორც „**მუშათა საბჭოში**", ისე პარტიულ ორგანოებში ჩვენი ბოლშევიკები თითქმის გაერთიანებულნი იყვნენ მენშევიკებთან..

8—10 მაისს ამოვედით **თბილისში** და იგივე მოვახდინეთ აქ: დავაარსეთ ცალკე, წმინდა ბოლშევიკური ორგანიზაცია თავისი რაიონებით (ოთხი იყო მაშინ).. გამოდიოდა მხოლოდ ერთი გაზეთი ბოლშევიკური რუსულად—„**Кавказский Рабочий**"(„კავკასიის მუშა"), როგორც მოგონება 1905 წლის რევოლიუციის დროის იმავე სახელწოდების გაზეთისა, სადაც უმთავრესად მუშაობდა შემდეგ უბედურად დაკარგული მოსკოვში ჩვენი ძველი (ეკატერინოსლაველი) ამხანაგი **ხენჟანი** („ისიდორ კორა")...

⁂

როცა მე „**აპრილის კონფერენციის**" რეზოლიუციების შესახებ მრავალ მოხსენებებს ვაკეთებდი **თბილისში** და თანაც ორგანიზაციას ვაწყობდით ამ დროს „**კავკაზსკი რაბოჩი**"-ს თითქმის ყოველ ნომერში უდიდ შეხვეწებოდით განცხადებას: ამ ახლო ხანში გამოვა ქართულ ენაზე ამხ. **მიხა ცხაკაიას** და ამხ. **ფ. მახარაძის** საპასუხისმგებლო რედაქტორობით „**ბრძოლა**"... ჯერ **ყოველკვირეულად**... და სხვა და სხვა..

მართლაც გამოვიდა!..

„სტამბის საქმე" როგორ მოეწყო,—ამას აქ არ ვეხები... ვიცი, რომ „**ბრძოლაზე**" მუშაობდნენ ჩემი კარგი ნაცნობი ძველი მეგობრები - ამხ. გ. ბოლქვაძე, ს. თოდრია და ლადო დუმბაძე.

⁂

რედაქციის საქმე მოაწესრიგა სადღაც ალექსანდროვის ბაღის ახლო ბაზრისკენ ამხ. **რაჟდენ კალაძემ**... ამხ. **ფ მახარაძე** დიდად დამეკადინებული იყო სტატისტიკურ მუშაობაში და ძლიერ ცოტას მეხმარებოდა .. ყოველ შემთხვევაში უამრავი პრაქტიკული (ორგანიზაცია, აგიტაცია, მიტინგები, სადისკუსიო კრებები, ლექციები, ლექციები და ლექციები დაულეველი ყოველგან!) საქმეების შემდეგ, მე, ამხ. **რაჟდენის** დახმარებით, მოვახერხე „**ბრძოლის**" 10 —11 ნომრის გამოშვება, დაწყებული 1-ლ ნომრიდან... შემდეგ (სექტემბრის პირველ რიცხვებში) მე მაიძულეს წავსულიყავი პეტროგრადს „**დემოკრატიულ კრებაზე**" დასასწრებლათ, როგორც ერთად ერთი ბოლშევიკი, სრულიად კავკასიის მუშათა საბჭოების ცენტრიდან, დელეგატი (დანარჩენი მენშევიკები და ესერები იყვნენ)..

ჯერ საოლქო კომიტეტი არ იყო. მხოლოდ იმ დღეებში გაზეთებში გამოცხადებული გვქონდა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი ყრილობის მოწვევა 20 სექტემბრისათვის... ამიტომ პეტროგრადს წასვლამდე მე თბილისის კომიტეტის კრებაზე „ბრძოლის" გაგრძელების პასუხის-მგებლობა გადავეცი ამხ. **ფ. მახარაძეს**, რომელთანაც განაგრძობდა **შეუდრეკელათ და „დედობრივი"** სიყვარულით (დაუვიწყარი ორგანო „ბრძოლისადმი") მუშაობას ამხ. რაჟდენი...

⁂

ჩვენ არ გვქონდა მაშინ საშუალება თბილისის ცენტრიდან ყოველგან მოგვეწყო ჩვენი თაოსნობით ბოლშევიკური ორგანიზაციები.. აი, აქ მოგვეშველა პირველ ხნის ყოველ კვირეული „ბრძოლამ": მაშინ სრულიად და სავსებით „**პროვინციის**" (თბილისის გარდა) ამხანაგების საბოლოო პოლიტიკური თვით გამორკვევა მოახდინა... ამის დამამტკიცებლათ აუარებელი წერილები მოგვდიოდა მრავალთა უმრავლესი (თბილისში მაშინდელ ჩვენი ამხანაგების რიცხვთან შედარებით) ახალ ბოლშევიკებისაგან იმერეთ-რაჭა, გურია-სამეგრელო და ქართლ-კახეთიდან... ამას დაგიმოწმებთ „**ბრძოლის**" რედაქციის ამ დროის უცვლელი ფაქტიური ორგანიზატორი, მდივანი და კორრექტორიც კი—ამხ. **რაჟდენი**...

⁂

ყოველ კვირეულმა „**ბრძოლამ**" გამოარკვია და გამოაღვიძა საქართველოს „**პროვინციები**", შვა მრავალი პარტიის წევრები და, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, გამოჩეკა **შემდეგი** დროისათვის საპასუხისმგებლო ჟურნალისტები-მწერლები.

⁂

აი, უმთავრესად, რა დაავიწყდა ამხ. **მალაქიას** თავის „**მოგონებაში ახლო წარსულიდან**"! ის მოგვითხრობს მხოლოდ ამის შემდეგ ამბებს!.. ვინაიდან ბევრათ სახეში არაა მისაღები „**კოოპერატიული ჟურნალი**", —არა-პოლიტიკური ხასიათის გამოცემა, სადაც თუნდაც ყოფილიყო დასტამბული ამხ. **კოლონტაის** ნაწარმოები, ნათარგმნი კაი ჩვენი ამხანაგი **ისიდორე თალაკვაძის** მიერ...

⁂

აქ ვწყვეტ! დანარჩენ შეცდომებს ან კილოს ამხ. **მ. ტოროშელიძის** „**მოგონებაში**", დროის უქონლობისა გამო, ახლა ვერ შევეხები.. მიდგომითი კილო-კი დიდი ეჩნევა ამხ. **მალაქიას** განსაკუთრებულ ამხანაგებისადმი! ჩვენ-კი უნდა ვეცადოთ **ისტორია** გავაშუქოთ ერთგვარ ობიექტიურ-ფაქტიურად, — მიუდგომელად, —პიროვნებისადმი „ინდივიდუალური" სიმპატია-ანტიპატიის გარეშე...

დროა ზოგი ჩვენი ამხანაგების— მიერ—**გადახრილი ინტერნაციონალური-კომუნისტური გეზი გამოსწორდეს და ის ერთგვარი საერთო კომპარტიული შეიქნეს**, —მით უფრო რ. კ. პ. მეთორმეტე ყრილობის შემდეგ!.. **ეს უეჭველ უნდა მოხდეს!.. შორს, შორს ჩვენგან ყოველგვარი ფრაქციობა უბრჭყალოთ და ბრჭყალებშიაც კი!..**

ამას გვიბრძანებს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ინტერესი!...

გაუმარჯოს მას!

მიხა ცხაკაია.

თფილისი.
1923 წ. 10 მაისი.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობა

რეზოლიუცია ამხ. ტროცკის მოხსენების გამო მრეწველობის შესახებ

1. მრეწველობის საერთო როლი სოციალისტურ მშენებლობაში.

ურთიერთობა, რომელიც ჩვენში არსებობს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, საბოლოო ანგარიშით, ეყრდნობა ურთიერთობას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. თავისი ხელმძღვანელი მდგომარეობის შენარჩუნებისა და გამაგრებას მუშათა კლასი საბოლოო ანგარიშში შესძლებს არა სახელმწიფოს, არა არმიის, არამედ მრეწველობის საშუალებით, რომელიც წარმოშობს თვით პროლეტარიატს. პარტიას, პროფესიულ კავშირებს, ახალგაზრდობის კავშირებს, ჩვენს სკოლებსა და სხვ. მიზნად აქვთ მუშათა კლასის ახალი თაობების მომზადება და აღზრდა. მაგრამ მთელი ეს მუშაობა სილაზე იქნებოდა აგებული, რომ ბაზათ არ ჰქონოდა მრეწველობა, რომელიც იზრდება. მხოლოდ მრეწველობის განვითარება ქმნის პროლეტარული დიქტატურის ურყევ საფუძველს.

სოფლის მეურნეობას, მიუხედავათ იმისა, რომ ის ჩვენში ჯერ კიდევ დაბალ ტეხნიკურ დონეზე იმყოფება, საბჭოთა რუსეთის მთელი ეკონომიკისათვის პირველი მნიშვნელობის ხასიათი აქვს.

მხოლოდ საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის ნამდვილ წინსვლასთან და მძიმე ინდუსტრიის—პროლეტარიატის დიქტატურის ამ ერთად ერთი ბაზის,—აღდგენასთან და აგრეთვე საელექტროფიკაციო მუშაობის დამთავრების მოსახლოებასთან ერთად, შესაძლებელი და აუცილებელია სოფლის მეურნეობის ხვედრი წონის შეცვლა ქვეყნის საერთო ეკონომიკაში და სიმძიმის ცენტრის გლეხის მეურნეობიდან მრეწველობაზე გადატანა. პარტიამ სისტემატიურად და მტკიცედ, მსხვერპლის წინაშე შეუჩერებლად და ღონისძიებათა დაუზოგავათ, უნდა იმუშაოს ამ პროცესის დასაჩქარებლად მრეწველობისა და მძიმე ინდუსტრიის რაც შეიძლება დაჩქარებით აღდგენის გზით.

თუ რამდენ ხანს გასტანს ჩვენი ფედერაციის ეკონომიკაში გლეხის მეურნეობის მნიშვნელობის ჭარბობის პერიოდი, ამას გამოარკვევს არა მარტო ჩვენი შინაური სამეურნეო წინსვლა, რომელსაც, უკვე აღნიშნულ საერთო მიზეზების გამო, მხოლოდ თანდათანობითი ხასიათი ექნება, არამედ ჩვენი ქვეყნის გარეთ განვითარების მსვლელობითაც, ე. ი. პირველ ყოვლისა დასავლეთში და აღმოსავლეთში რევოლიუციის განვითარების მსვლელობა. ბურჟუაზიის დამხობა ერთ რომელიმე მოწინავე კაპიტალისტურ სახელმწიფოში უკვე ჩქარა მოახდენდა გავლენას მთელი ჩვენი სამეურნეო განვითარების ტემპზე და გააძლიერებდა სოციალისტური მშენებლობის ტეხნიკურ და მატერიალურ რესურსებს. ჩვენმა პარტიამ მუდამ თვალწინ უნდა იქონიოს ეს ინტერნაციონალური პერსპექტივა და ამავ დროს ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს ან მხედველობიდან გაუშვას თავისი რომელიმე ნაბიჯის შეფასების დროს გლეხის მეურნეობის ფაქტიური ჭარბობის მნიშვნელობა.

არა თუ მხედველობაში არ მიღება, არამედ არა საკმაო ყურადღებით მოპყრობა ამ მდგომარეობისადმი აურაცხელ საშიშროებას შექმნიდა როგორც ეკონომიურში, ისე წმინდა პოლიტიკურ სფეროში, რადგან უსათუოდ შეასუსტებდა იმ კავშირს გლეხობასა და პროლეტარიატს შორის, გლეხობის იმ ნდობას პროლეტარიატისადმი, რომელიც მიმდინარე გარდამავალი ისტორიული პერიოდისათვის წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის ერთ ერთ ძირითად დასაყრდნობს, რომლის დაცვა და გამაგრება შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის ძირითად პირობას, და მაშასადამე, პარტის ძირითად ამოცანას.

საჭიროა პარტიის წინა ყრილობების დადგენილებების დამახსოვნება, რომლებმაც სამართლიანად გაუსვეს ხაზი, რომ გლეხობისაგან სოციალისტური მეურნეობის მეთოდების ცნობის მიღწევა შესაძლოა მხოლოდ თვალსაჩინო ჩვენების გზით, ე. ი. გლეხობისათვის პრაქტიკაზე მთელ რიგ წლების განმავლობაში იმ ფაქტის დამტკიცებით, რომ კოლექტიური მეურნეობა ეკონომიურად სასარგებლოა, რაციონალურია და სხვა.

ფინანსების დარგში ეხლანდელი პოლიტიკა-სახელმწიფო საშვალებების ეკონომიის სწორი საგადასახადო სისტემის სწორად დაყენებული ბიუჯეტისა, რომელიც შეუსუსტებლის ენერგიით უნდა გატარდეს მომავალში, გადამჭრელ შედეგებს მიაღწევს მხოლოდ და მხოლოდ შემოსავლიანი სახელმწიფო მრეწველობის და მისი ენერგიულად განვითარების პირობებში.

მხარის თავდაცვის ამოცანები, საკადრო შემადგენლობასთან დაახლოვებული შემცირებული არმიის პირობებში და აქედან გამომდინარე მილიციონურ სისტემაზე თანდათანობით გადასვლის დროს, მდგომარეობს ტრანსპორტის და სამხედრო მრეწველობის საკითხში.

ამ მნიშვნელობით ჩვენი ბიუჯეტის მოწყობამ, სახელმწიფო საკრედიტო პოლიტიკამ, სახელმწიფოს თავდაცვისათვის ღონისძიებათა სისტემამ, საერთოდ მთელმა ჩვენმა სახელმწიფო საქმიანობამ პირველ რიგში უნდა დააყენოს ზრუნვა ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის გეგმა-შეწონილ განვითარებაზე.

სახელმწიფო მრეწველობის აღორძინება—ჩვენი ქვეყნის საერთო სამეურნეო სტრუქტურის პირობებში—აუცილებლობის გამო მტკიცე კავშირში იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებასთან, საჭირო საბრუნავი თანხები სოფლის მეურნეობაში უნდა შეიქმნეს სასოფლო მეურნეობის ზედმეტი პროდუქტების შექმნის ჭარბობით სოფლის მოხმარებაზე, სანამ მრეწველობა შესძლებს გადაჭრილი ნაბიჯის გადადგმას წინ. მაგრამ ასეთვე მნიშვნელოვანია მრეწველობისათვის არ ჩამორჩეს მიწად-მოქმედებას, ვინაიდან ამის გარეშე უკანასკნელის საფუძველზე შეიქმნებოდა კერძო ინდუსტრია, რომელიც ბოლოს და ბოლოს გაანელებდა სახელმწიფო მრეწველობას.

ძლიერმოსილი შეიქმნება მხოლოდ ის მრეწველობა, რომელიც მეტს იძლევა ვინემ სჭამს. მრეწველობა, რომელიც არსებობს ბიუჯეტის ხარჯზე, ე. ი. სოფლის მეურნეობის ხარჯზე, ვერ შექმნიდა მტკიცე და ხანგრძლივ დასაყრდნობს პროლეტარული დიქტატურისათვის. საკითხი სახელმწიფო მრეწველობაში ზედმეტი ღირებულების შექმნის შესახებ არის საბჭოთა ხელისუფლების ბედ-იღბალის, ე. ი. პროლეტარიატის ბედ-იღბალის საკითხი.

სახელმწიფო მრეწველობის გაფართოებული აღდგენა, რომელიც წარმოდგენილია სახელმწიფოს მიერ ზედმეტი ღირებულების დაგროვების გარეშე, თავის მხრივ წარმოადგენს ჩვენი მეურნეობის განვითარების პირობას სოციალისტურის, და არა კაპიტალისტურის მიმართულებით.

2. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდის პასივი და აქტივი.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამაცოცხლებელი გავლენა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარებაზე უდავოა. მან თავისი გამოხატულება ჰპოვა სამრეწველო საქმიანობის გამოცოცხლებაში, მრეწველობის მრავალრიცხოვან და ძირითად დარგების პროდუქციის ზრდაში, შრომის ნაყოფიერების და პროდუქტების ხარისხის ზრდაში, მუშების მდგომარეობის აშკარა და საგრძნობ გაუმჯობესებაში და პირველ ყოვლისა—როგორც საერთო ისე კერძო სამეურნეო ამოცანებისადმი უფრო სწორად მიდგომაში, რაც წარმოადგენს ძირითად წინასწარ პირობას მათ გადასაჭრელად მომავალში. მიუხედავად ამისა მრეწველობის ფაქტიური მდგომარეობა ჯერ კიდევ უდიდესათ მძიმეა. მსუბუქი მრეწველობის გამოცოცხლება, რომელიც ბუნებრივად აიხსნება ბაზრის აღდგენის ფაქტით დამაკმაყოფილებელი მოსავლის პირობებში, სრულიად არ წარმოადგენს მსუბუქი მრეწველობის ყველა წარმოების და დარგების სწორი შემდეგი განვითარების პირობას. მიუხედავათ თავისი უკიდურესი სიმაღლისა, განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ფასებთან შედარებით, მსუბუქი მრეწველობის პროდუქტების ფასებს ხშირათ არ აქვთ აღდგენითი ხასიათი, და მაშასადამე, არ უზრუნველყოფენ წარმოების განვითარებას მთელ რიგ ტრესტების აქტიობის გაძლიერება, მიღწეულ იქნა ნედლი მასალის ძველი მარაგების ხარჯზე, რომელთა აღდგენა ამ ჟამად შეადგენს სახელმწიფოს სამეურნეო პოლიტიკის ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს და მწვავე ამოცანას. მეორე მხრით, მძიმე მრეწველობა, რომელიც ოდნავ მოვიდა შეხებაში ბაზართან, რომელიც თითქმის სრულიად დამოკიდებულია სახელმწიფო დაკვეთაზე, თავის აღდგენისათვის საჭიროებს სწორ ანგარიშიანობაზე აგებულ სახელმწიფოს დახმარებას. ეს საგრძნობათ შეეხება როგორც რკინის გზას, ისე წყლის ტრანსპორტსაც.

ამ რიგად ჯერ კიდევ მიუღწეველი საერთო მიზეზების გამო—მსუბუქი მრეწველობის ფასების მოწესრიგება (მათი უკიდურესი სიმაღლე იმ დროს, როცა მათ აღდგენითი დონემდეც არ მიუღწევიათ) და მძიმე მრეწველობის ჩამორჩენა მსუბუქისაგან, წარმოადგენენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდის პასივს, რომელიც გამოწვეულია როგორც მეურნეობის საერთო მდგომარეობით ამ პოლიტიკის შემოღებამდი, ისე სამეურნეო ურთიერთობის ნგრევით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს. ფასების ისეთი მოწესრიგების მიღწევა ბაზრის საფუძველზე, რომელიც უფრო შეეფერება მრეწველობის განვითარების საჭიროებებს, უფრო ნორმალური ძალთა განწყობილების დამყარება მსუბუქი მრეწველობის დარგებსა და მრეწველობის და სოფლის მეურნეობის იმ დარგებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ მას ნედლი მასალით და ბოლოს, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ფრონტის გამოსწორება,—ასეთია სახელმწიფოს ძირითადი ამოცანები სამრეწველო საქმიანობის სფეროში ახალი ეკონომიური პოლიტიკის უკვე დაწყებულ მეორე პერიოდში. ამ ამოცანების გადაჭრა შეიძლება მხოლოთ ბაზარსა და გეგმას შორის სწორი ძალთა განწყობილების პირობებში.

3. გეგმიანი მუშაობის ამოცანები და მეთოდები.

საბჭოთა რუსეთში, სადაც მრეწველობის და ტრანსპორტის მთავარი საშვალებები ეკუთვნის ერთ მეპატრონე — სახელმწიფოს, უკანასკნელის აქტიურმა ჩარევამ სამეურნეო ცხოვრებაში, აუცილებლობის გამო, უნდა მიიღოს გეგმიანი ხასიათი, და სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის და მეპატრონეს, გაბატონებული როლის გამო გეგმიანი საფუძველი უკვე თავიდანვე იღებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

მთელმა წინანდელმა გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ სოციალისტური მეურნეობის გეგმის დაწესება შეუძლებელია აპრიორულათ, თეორეტიულად ან ბიუროკრატიული გზით. ნამდვილი სოციალისტური მეურნეობის გეგმა, რომელიც შეიცავს მრეწველობის ყველა დარგებს მათ დამოკიდებულებაში ურთიერთისადმი და მთელი მრეწველობის სოფლის მეურნეობასთან ურთიერთ დამოკიდებულებას, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ხანგრძლივი მოსამზადებელი სამეურნეო გამოცდილების შედეგში ნაციონალიზაციის საფუძველზე, მეურნეობის სხვა და სხვა დარგების ღონისძიებათა პრაქტიკულად შეთანხმებით და შემდეგის სწორათ აღრიცხვით.

ამ რიგად, ახლო მომავალისათვის, ამოცანას აქვს საერთო დირექტიული და საგრძნობათ მოსამზადებელი ხასიათი. ის არ შეიძლებოდა განისაზღვროს ერთი რომელიმე ფორმულით, არამედ გულისხმობს ხელმძღვანელი სამეურნეო აპარატის, მისი მთავარი დავალებების, მისი მეთოდების, მისი პრაქტიკის თანდათანობითი და ფხიზელ შეგუებას ბაზრის მოვლენებთან და ურთიერთობასთან მხოლოდ თავის საბოლოო განვითარებით გეგმიან მეთოდებს შეუძლია და უნდა დაიმორჩილოს ბაზარი და მით გააუქმოს ის.

აქედან სრულიად ნათელია ორგვარი საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო გეგმიან მეურნეობის მეთოდების გამოყენებასთან ახლობელ ეპოქაში: ა) გეგმიანი ჩარევით სამეურნეო განვითარებისათვის წინ წასწრების, ბაზრის მომწესრიგებელი მუშაობის ადმინისტრატიული ღონისძიებებით შეცვლის ცდის დრო, რომლისთვისაც ცოცხალ სამეურნეო გამოცდილებას ჯერ კიდევ არ შეუქმნია საჭირო დასაყრდნობი, სრულიად აუცილებელი ის სპეციფიური ტიპის კერძო თუ საერთო სამეურნეო კრიზისები, რომლებსაც ჩვენ ვხედავდით სამხედრო კომუნიზმის დროს; ბ) თუ ცენტრალისტური მოწესრიგება ჩამორჩა აშკარათ მომწიფებულ მოთხოვნილებებს, მაშინ ჩვენ გვექნება სამეურნეო კითხვების გადაჭრა ბაზრის არა ეკონომიური მეთოდებით იმ შემთხვევებშიც კი, როცა თავის დროზე ადმინისტრატიულ—სამეურნეო ჩარევა შესძლებდა იმავე შედეგების მიღწევას უფრო მოკლე ხანში, უფრო ნაკლები ძალების და საშვალებების დახარჯვით.

რამდენათაც ჩვენ გადავედით მეურნეობის საბაზრო ფორმებზე, სახელმწიფო მოვალეა მიანიჭოს ცალკე წარმოებებს ბაზარზე სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელი თავისუფლება, არ უნდა შეეცადოს მისი შეცვლა ადმინისტრატიული შეხედულებით. მაგრამ თუ ტრესტმა თავის მუშაობაში თავისუფლად და სრულს პასუხისმგებლად უნდა იგრძნოს თავი მეორის მხრით, ტრესტებში და სხვა გაერთიანებებში სახელმწიფო უნდა ხედავდეს თავის სამსახურის ორგანოებს, რომელთა საშვალებით ის ნიადაგს სინჯავს ბაზარზე და ამით შესაძლებლათ ხდის ღონისძიებათა მთელ რიგს, რომელნიც სჯობნიან ტრესტების ან გაერთიანებათა თავისუფალ ორიენტიროვკას. ცენტრალურ სამეურნეო ორგანოს, მაგალითად, შეუძლია გამოიტანოს დასკვნა ცალკე ტრესტის ლიკვიდაციის შესახებ დიდი ხნით ადრე, სანამ უკანასკნელი საკუთარ პრაქტიკაზე დარწმუნდება თავისი მდგომარეობის უიმედობაში.

ურთიერთობა მსუბუქ და მძიმე მრეწველობას შორის ვერ გადაიჭრება მარტო საბაზრო გზით, რადგან ეს ფაქტიურად ახლობელ წლებისათვის დანგრევას უქადის მძიმე მრეწველობას, ისეთის პერსპექტივით, როცა ის მომავალში შესაძლოა აღდგეს კერძო საკუთრების საფუძველზე.

ამრიგად, ჩვენში კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, გეგმიანი საფუძვლის სფერო არ განისაზღვრება ტრესტების ან სინდიკატების ჩარჩოებით, არამედ ვრცელდება მთელს წარმოებაზე მთლიანად. ეს კიდევ ცოტაა: სახელმწიფო გეგმა უნდა შეიცავდეს მრეწველობის ურთიერთობას ერთი მხრით და მიწად მოქმედების, ფინანსების, ტრანსპორტის, შინაური დ გარეშე ვაჭრობის ურთიერთობას მეორე მხრით.

სხვა სიტყვებით: რამდენათაც სახელმწიფო რჩება არა მარტო მესაკუთრე, არამედ სამეურნეო სუბიექტიც მრეწველობის საწარმოო ძალების, ტრანსპორტის და საკრედიტო საშვალებების მიმართ, იმდენათ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში გეგმიანი საფუძველი ბევრით არ განირჩევა სამხედრო კომუნიზმის გეგმიანი საფუძველისაგან მაგრამ ის რადიკალურად განირჩევა მეთოდების მიხედვით: გლავკოკრატიული ადმინისტრატორობა იცვლება სამეურნეო მანევრებით.

თავის ადმინისტრატიულ გამოყენებაში გეგმიანი მეთოდები უნდა გაფართოვდეს უდიდესი სიფრთხილით, ნიადაგის გულმოდგინეთ მოსინჯვის გზით.

მომზადება უნდა მდგომარეობდეს სათანადო სამეურნეო ორგანოების განჭვრეტაში და ინსტრუქტორობაში ამა თუ იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც აუცილებლათ ან ალბათ წარმოიშობიან ამა თუ იმ სამეურნეო მომენტში (ბაზარზე ახალი მოსავალის პურის გამოჩენა, სოფელში ფულის ნიშნების დაგროვება და სხვა) ამ განჭვრეტის შეძლებისდაგვარათ კონკრეტიზაციაში მრეწველობის ცალკე დარგების და რაიონების მიხედვით, მოსალოდნელი სიტუაციის გამოსაყენებლად სანიმუშო საკალენდარო დირექტივების მიცემაში საჭირო ღონისძიებების მისაღებად.

თავისთავად ცხადია, რომ მრეწველობის ძირითადი და გეგმვის მიღწევა შეუძლებელია თვით მრეწველობის შიგნით, ე. ი. მარტო მისი ხელმძღვანელი ადმინისტრატიული ორგანოს (ს. მ. უ. ს.) გაძლიერებით, არამედ უნდა შეადგენდეს ცალკე საგეგმო ორგანოს ამოცანას, რომელიც მაღლა დგას მრეწველობაზე და ამ უკანასკნელს აკავშირებს ფინანსებთან, ტრანსპორტთან დ სხვა. ასეთ ორგანოს თავისი მდგომარეობით წარმოადგენს სახელმწიფო გეგმიანი მეურნეობას. მაგრამ, სახელმწიფო გეგმიან მეურნეობას უნდა მიეცეს გარკვეული მდგომარეობა, უფრო მტკიცე ორგანიზაცია და უდავო უფლებები, განსაკუთრებით მოვალეობები. ურყევ საფუძვლად უნდა დაწესდეს, რომ არც ერთი საერთო სახელმწიფოებრივი სამეურნეო საკითხი არ გატარდეს რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოებში სახელმწიფო გეგმიანი მეურნეობის გარეშე ამ უკანასკნელმა, იმისგან დამოუკიდებლად, მისგან გამომდინარეობს ინიციატივა თუ რომელიმე სხვა უწყებისაგან, ანალიზი უნდა გაუკეთოს ახალ საკითხს, პროექტს ან წინადადებას მთელ დანარჩენ სამეურნეო მუშაობასთან დაკავშირებით და მით გამოარკვიოს მათი ხვედრი წონა და მნიშვნელობა. საჭიროა გადაჭრით ალგილ იქნეს—როგორც ცენტრში ისე ადგილობრივ—უწყების და დაწესებულებების ცდა მიაღწიონ ამა თუ იმ დადგენილებებს გზის შემოვლებით, სისწრაფის გადაუდებლობის ან იმპროვიზაციის გზით, ასეთი ცდები ალიარაბული უნდა იქნეს როგორც სამეურნეო წინდახედულობის უქონლობის გამოხატულება, როგორც ადმინისტრატიული პარტიზანშჩინის მეტად მავნე ნიშნები.

თითეული უწყების მუშაობის წარმატება შეფასებულ უნდა იქნეს საგრძნობათ იმის და მიხედვით, თუ რამდენათ თავის დროზე შეაქვს თავისი წინადადებები და მოსაზრებები სახელმწიფო გეგმიან მეურნეობაში მათი ყოველმხრივ დამუშავების და შეთანხმების მიზნით. და მით უფრო, სახელმწიფო გეგმიანი მეურნეობის მუშაობის წარმატება უნდა შეფასდეს მის მიერ სამეურნეო კითხვების თავის დროზე აღძვრის, ხვალინდელი დღის სწორათ განჭვრეტის და ცალკე უწყებათა ხარჯთ-აღრიცხვის პრაქტიკულათ და თავის დროზე შეთანხმების თვალსაზრისით.

საჭიროა სახელმწიფო გეგმიანი მეურნეობის საშვალებით ბრძოლა ყოველგვარი დროებითი და შემთხვევითი—გამომკვლევ, მიმმართველ, შემმოწმებელ, და მომზადებელ და სხვა კომისიების შექმნასთან, რომლებიც ჩვენი სახელმწიფო მანქანის მუშაობის უდიდეს ბოროტებას წარმოადგენენ. საჭიროა სწორი მუშაობის უზრუნველყოფა ნორმალურ დ მუდმივი ორგანოების საშუალებით მხოლოდ ასე, მათი ყოველმხრივი შეგუების გზით მათ წინაშე დასმულ ამოცანებისადმი, განუწყვეტელი გამოცდილების საფუძველზე, შესაძლოა ამ ორგანოების გაუმჯობესება და მათში საჭირო ელასტიურობის განვითარება.

იმ საკითხის წიასწარ გადაუწყვეტათ—საჭირო იქნება თუ არა მომავალში ხელმძღვანელი საგეგმო ორგანოს—სახელმწიფო მეურნეობის მთავარი შტაბის—სახელმწიფო გეგმიანი მეურნეობისათვის ამა თუ იმ ადმინისტრატიული უფლებების მინიჭება და სახელდობრ როგორის,—საკმარ ახლობელ პერიოდისათვის მივიღოთ, რომ იმ შემთხვევებში, როცა გეგმიანი საფუძვლები მოითხოვენ იძულებითი ზომებს, სანქცია ამაზე უნდა გამომდინარეობდეს ცენტრალური ხელისუფლების სათანადო ორგანოებიდან (ცალკე სამეურნეო კომისარიატებისაგან, შრომისა და თავდაცვის საბჭოსაგან, სახალხო კომისართა საბჭოსაგან, სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმისაგან).

საერთო სამეურნეო გეგმის გამომუშავება, განსაკუთრებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის პირობებში, წარმატებით შეიძლება მიმდინარეობდეს იმდენათ, რამდენათაც ცალკე სამეურნეო ოლქებს მიენიჭება აუცილებელი დამოუკიდებლობა სამეურნეო საკითხების გადაჭრაში, რომლებიც გამომდინარეობენ მათი ბუნებრივი და საწარმოო პირობებიდან. საერთო საკავშირო გეგმიანი მუშაობა პირველ ყოვლისა უნდა მდგომარეობდეს ცალკე ოლქების მუშაობის სწორ აღრიცხვაში და მიმართვაში და საოლქო გეგმების და საერთო საკავშირო ხასიათის სამეურნეო ამოცანების საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერთიანი გეგმით ორგანიულად გაერთიანებაში.

ძირითად სამეურნეო ამოცანების გადაჭრის დროს სავსებით უნდა იქნეს გათვალისწინებული ნაციონალურ რესპუბლიკების უფლებები და ინტერესები. იმ საერთო გეგმის ამოცანების გადაჭრა, რომლებიც ნაციონალურ რესპუბლიკებსაც შეეხებიან, უნდა ტარდებოდეს მათი სათანადო ორგანოების საშვალებით და მათთან მუშაობის მუდმივ და მტკიცე შეთანხმების გზით. მხოლოდ ამ გზით იქნება მიღწეული თანდათანობით ყველაზე უფრო მიზან შეწონილი განწილება მრეწველობისა ბუნებრივ პირობების, ნედლი მასალის წყაროების, ენერგიის და სხვ. მიხედვით.

4. ტრესტები, მათი როლი და საჭირო გარდაქმნანი

სახელმწიფო არის წარმოების და ტრანსპორტის ძირითადი საშვალებების მესაკუთრე, ცალკე სამეურნეო უწყებები და, მათს შიგნით ცალკე ორგანოები, დაწესებულებები და გაერთიანებანი (ტრესტები) ხელმძღვანელობენ მათ განკარგულებაში მყოფ სახელმწიფო მეურნეობის ნაწილებს დამოუკიდებლობის იმ ფარგლებში, რომლებსაც საჭიროდ ხდის მეურნეობის მოთხოვნილებები და რომლებიც ნაკარნახევია ზევიდან, ე. ი. მათზე მაღლა მდგომ სახელმწიფო ორგანოების მიერ.

სახელმწიფოს უფლება ტრესტების, რკინის გზების და სხვა ვალდებულებისაგან თავისუფალი ქონების განკარგულებაზე, რჩება შეუზღუდავი. სახელმწიფო ხელისუფლების სამეურნეო ორგანოების მიმდინარე მუშაობაში და ამ უკანასკნელთა ცალკე სრულუფლებიან დაწესებულებების ტრესტების დ სხვა მიმდინარე მუშაობაში ჩარევის ფარგლები და ფორმა განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ სამეურნეო მიზანშეწონილებით და წესრიგდება სათანადო დებულებებით.

სახელმწიფო მრეწველობის უმეტესი ნაწილი ეწყობა ტრესტების სახით, ე. ი. სარგებლობს ისეთ გაერთიანებათა ფართე სამეურნეო ავტონომიით, რომლებიც თავისუფლათ გამოდიან ბაზარზე როგორც გაცვლითი მეურნეობანი, ეს სამეურნეო გაერთიანებანი, ისე როგორც მისი შემადგენელი ცალკე წარმოებები, მთავარ ამოცანათ ისახავენ დამატებითი ღირებულების მიღებას დ რეალიზაციას სახელმწიფო დაგროვების მიზნით. რადგან მხოლოდ ამას შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის მატერიალური დონეს ამაღლება და მთელი მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნა.

სახელმწიფო წარმოებანი, რომლებიც უშუალოდ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის უნდა მუშაობდენ, სავსებით დამორჩილებული უნდა იქნენ შრომის ნაყოფიერების გადიდების და ნაწარმოების ერთეულზე თვითღირებულების შემცირების მოთხოვნილებებისათვის.

იმის გამო, რომ თვით გადასვლა სამხედრო კომუნიზმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ტარდებოდა საგრძნობათ სამხედრო კომუნიზმის მეთოდებით, წარმოებების შეჯგუფებას, მათ დანაწილებას ტრესტებათ, ტრესტებს შორის საშვალებების განაწილებას ქონდა და დღემდისაც აქვს აპრიორული, ბიუროკრატიული ხასიათი. სამეურნეო გეგმიანი მუშაობის თვალსაზრისით—ეს არის მხოლოდ მოსამზადებელი ცდა. მისი გასწორება და გადაკეთება საჭიროა და აუცილებელია არა განყენებული გზით, არამედ ცდის საშუალებით, საბაზრო და ადმინისტრატიული ყოველდღიური გამოცდილების ელემენტების კომბინაციის საშუალებით.

საბრუნავი თანხების ნაკლებობაზე ლაპარაკი ნიშნავს იმას, რომ სახელწიფომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას თავისთავზე აიღო სამრეწველო დაწესებულებების უფრო დიდი რიცხვის გაძღოლა, ვიდრე მას შეეძლო მხარის საერთო სამეურნეო პირობებში, როგორც ის შეიქმნა რამდენიმე წლის სამოქალაქო ომის და ბლოკადის შედეგში. ამის შედეგია წარმოებების არამტკიცე მდგომარეობა, მუშაობა დროჩაგდებით და, რაც უმთავრესია, არასაკმაო დატვირთვა, რაც იწვევს პროდუქციის თვითღირებულების არაჩვეულებრივათ გაზრდას და ბაზრის შემცირებას ყველა ამისგან გამომდინარე სამეურნეო დაბრკოლებებით.

ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლება მრეწველობის გეოგრაფიულად უკეთესად მდებარე წარმოებებში კონცენტრაციის საშუალებით. ამის წინააღმდეგ წამოყენებულმა მეორე ხარისხოვანმა და არა არსებითმა მოსაზრებებმა, რა მნიშვნელობისაც არ იყონ ისინი თავისთავად უნდა დაიჭირონ უკანა ადგილი ძირითადი სამეურნეო ამოცანის წინაშე, რომელიც მდგომარეობს სახელმწიფო მრეწველობის საჭირო საბრუნავი თანხებით უზრუნველყოფაში, თვითღირებულების შემცირებაში, ბაზრის გაფართოებაში და მოგების მიღებაში.

დაკვეთების განაწილება მომავალში უნდა ხდებოდეს წარმოების სწორი კონცენტრაციის ინტერესების მიხედვით. ტრესტების შემადგენლობის და აგებულების გადასინჯვა, რომელიც ხდება როგორც წმინდა წარმოებითი ისე კომერციული თვალსაზრისით, თავისუფალი უნდა იყოს ბიუროკრატიული ერთგვარობის ცრუმორწმუნეობისაგან წარმოებების გორიზონტალური თუ ვერტიკალური შეფარდების საქმეში; ხელმძღვანელ როლს გადასინჯვის დროს უნდა თამაშობდეს არა ფორმალური, არამედ მატერიალური მოსაზრებები წარმოებების კავშირის და ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, ტრანსპორტის, ბაზრის მიმართ თუ სხვა (კომბინაციები, სხვა და სხვა) უნდა აღიგვას რა დავა უწყების თუ ადგილობრივი, რამდენათაც ისინი კონფლიქტში ვარდებიან წარმოების შემოსავლიან საფუძვლებზე მოწყობის პრინციპთან, საჭიროა თვით დაინტერესებული ტრესტების და ცალკე ქარხნების აზრის ყურადღებით მოსმენა და მისთვის ანგარიშის გაწევა, რამდენათაც მათმა ცოცხალმა გამოცდილებამ დაამტკიცა ორგანიზაციული სქემატიზმიდან უკან დახევის აუცილებლობა.

წარმოების ხარჯების შემცირება უნდა ხდებოდეს არა ბაზარზე შემთხვევითი. წარმატების თვალსაზრისით, არამედ ქვეყნის სამეურნეო ძლიერების აღდგენის და განვითარების პერსპექტივაში.

კალკულიაციას, რომელიც ნედლ მასალას ანგარიშობს გუშინდელი დღის ფიქტიური ფასებით, არავითარი საერთო არა აქვს თვითღირებულების შემცირებასთან და სასტიკად უნდა ისჯებოდეს, როგორც სახელმწიფო ქონების გაფლანგვა.

ასევე უდრისად შემცდარი და დამღუპველი იქნებოდა ფასების დროებით გაიაფების პოლიტიკა მძიმე მრეწველობისათვის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანის მიყენების ხარჯზე. უკანასკნელის აღდგენის გარეშე მსუბუქი მრეწველობა, ისე როგორც მთელი სამეურნეო მშენებლობა, მოკლებული იქნებოდა მტკიცე ფუნდამენტს. ნახშირი, ნავთი, ლითონი—აი მრეწველობის ის დარგები, რომელთა წარმატება ჭეშმარიტად უზრუნველყოფს რესპუბლიკის სამეურნეო აყვავებას და მის საგარეო მშვიდობიანობას.

ს. მ. უ. ს. მიერ ტრესტების ყოველ დღიურ და მტკიცე ხელმძღვანელობით,—რომელიც—ზემოთ აღნიშნულ დირექტივების მიხედვით—შეიცავს მრეწველობის ყველა ძირითად ელემენტებს, სჭვრეტს და ამზადებს მათ საჭირო კომბინაციას, უზრუნველყოფს წარმოების ყველა ფაქტორების გამოყენებას ყველა მის სტადიებში (ფაბრიკები, ნახევრად ფაბრიკები, სათბობი მასალა. მუშა ხელი, მანქანები და სხვა),—შესაძლოა არა მარტო კერძო, არამედ საერთო წარმატება სამრეწველო ფრონტზე.

5. ვაჭრობა და მრეწველობა.

რეალიზაციის საქმის სწორად მოწყობის გარეშე წარმოების წარმატება მომავალშიც გამოიწვევს სავაჭრო დამატებითი ხარჯების არაჩვეულებრივად ზრდას, საქონლის ნაწილობრივ სიმრავლეს, ე. ი. სავაჭრო უსუსურობის კრიზისებს, რომელიც გამართლებას ვერ პოულობს თუგინდ დღევანდელი ვიწრო ბაზრის პირობებშიც სავაჭრო აპარატის ისეთი სისტემის შერჩევა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ნამდვილი, შეძლებისდაგვარათ არა მრავალრიცხოვანი კავშირი მრეწველობისა გლეხურ ბაზართან, უნდა იდგეს პირველ რიგში. რაც შეეხება სინდიკატების ორგანიზაციას, რომელიც მოწოდებულია ითამაშოს უფრო და უფრო მნიშვნელოვანი როლი, ის ახლობელ პერიოდშიც უნდა ტარდებოდეს საჭირო წინდახედულობით, ბაზრის მდგომარეობასთან და ტრესტების რესურსებთან სრულ შეფარდებით. სინდიკატების გადაქცევა სავაჭრო „გლავკებათ“ არაფერს, გარდა დამატებითი ხარჯების ზრდისა და სავაჭრო საქმიანობის შევიწროებისა, არ მოიტანდა. სინდიკატებში გაერთიანების იძულებითი ხასიათი მომზადებული უნდა იქნას სამეურნეო მხრივ და გამართლებული კომერციულად.

ყრილობა ადასტურებს წინათ მიღებულ ყველა დადგენილებებს კოოპერაციის როგორც სავაჭრო აპარატის შესახებ, რომელიც მოწოდებულია უფრო და უფრო შეაკავშიროს სახელმწიფო მრეწველობა სოფლის მეურნეობასთან. ამ აპარატის შემდეგი განვითარება დამატებითი ხარჯების რადიკალურად შემცირება, ყველა სახელმწიფო ორგანოების მიერ კოოპერატიული აპარატის შემდეგი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა ამ აპარატის სახელმწიფო მრეწველობასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას შორის მთავარ შუამავლად გადასაქცევად—სახალხო მეურნეობის სახელმწიფო მოწესრიგების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

სავაჭრო აპარატის ოპერაციების სიდიდესთან უდიდესათ შეუსაბამობის გამო საჭიროა მთელი ძალღონის მიმართვა სავაჭრო ხარჯების შესამცირებლად სავაჭრო აპარატის შემცირების, გასაღების პროცესის მოწესრიგების, ზედმეტი წარმომადგენლობის ლიკვიდაციის და კერძოთ სავაჭრო ფუნქციების მთელი რიგის ადგილობრივ არსებობის უნარის მქონე სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოებისათვის გადაცემის საშუალებით.

სავაჭრო ორგანოები, როგორც სახელმწიფო ისე კოოპერაცია, ყურადღებით უნდა ისწავლიდენ ბაზარს, უნდა აქეზებდენ მსუბუქი მრეწველობის წარმოებებს მეტის სისტემატიურობით და ყურადღებით შეუგუონ თავისი წარმოება მომხმარებელ მუშის და გლეხის მოთხოვნილებებს.

ტრესტების და წარმოებების მეტი ოპერატიული დამოუკიდებლობა, სინდიკატების მეტი ელასტიური საქმიანობა და საერთოდ ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა მოითხოვს წმინდა წარმოებითი და წმინდა ვაჭრული საქმიანობის უფრო მეტ შეთანხმებას. ეს შეეხება როგორც საგარეო ისე საშინაო ვაჭრობას. ამ შეთანხმების ფორმების წინდაწინვე განუსაზღვრელად, საჭიროა უკვე ახლა აღიარება, რომ ამ სფეროში დაგროვებული გამოცდილების სისტემატიური შესწავლა და სავაჭრო და სამრეწველო საქმიანობის შეთანხმების პრაქტიკული მეთოდების გამომუშავება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომლის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ს. მ. უ. ს., საგარეო ვაჭრობის კომისარიატის და შინაური ვაჭრობის კომისიის ღონისძიებათა შეთანხმებით და სახელმწიფო გეგმიანი მეურნეობის აქტიური მონაწილეობით შრომისა და თავდაცვის საბჭოს საერთო ხელმძღვანელობით.

6. ფაბრიკა.

საწარმოო ცხოვრების წარმატების ან წინააღმდეგ შეფერხების ფესვები იმყოფება სამრეწველო ერთეულში, ესე იგი ფაბრიკაში ან ქარხანაში. საქმის სწორათ დაყენება თითეულ ცალკე წარმოებაში არა მარტო ტეხნიკურ-წარმოებითი მხრივ, არამედ კომერციული მხრითაც, წარმოადგენს გადამჭრელი მნიშვნელობის საკითხს. ტრესტმა, რომელიც თავის ხელში იტოვებს წარმოებების საერთო ხელმძღვანელობას და ცენტრალისტურ საფუძველზე აგებს იმ წარმოებითი და კომერციულ დარგებსა და ოპერაციებს, რომლებიც სამისოთ მომწიფებული არიან, ამავ დროს ყოველგვარად უნდა ეცადოს აიშოროს სულის შემხუთველი ცენტრალიზაცია, ინიციატივის ჩაქრობა და თავისი საწარმოო დარგების მუშაობაში მექანიკურად შეჭრა.

თითეული ქარხნის დამოუკიდებელი კალკულიაცია და დამოუკიდებელი ბალანსი უნდა იძლეოდეს არა მარტო მისი შემოსავლიანობის, მისი ზრდის და დაცემის გამორკვევის შესაძლებლობას, არამედ უნდა წარმოადგენდეს პრემიალური სისტემის საერთო საფუძველს, რომელიც მტკიცედ იქნება შეგუებული წარმოების თავისებურობასთან.

7. კალკულიაცია, ბალანსი და კანტროლი.

დღევანდელ პირობებში წარმოების, ტრესტის, სახელმწიფოს ურთიერთ დამოკიდებულების ერთად ერთი სერიოზული და საიმედო ემპირიული შემოწმება ისე, როგორც მთელი მეურნეობის სისწორის შემოწმება, მისი მატერიალური შედეგებით, შეუძლია მოგვცეს მხოლოდ კომერციულ ბალანს. გარეშე სწორი ანგარიშწარმოებისა, რომელიც შეეხება მთელ მეურნეობას, ყველა მის მხარეებს, გარეშე მეცნიერულად დაყენებული კალკულიაციისა, რომელიც არკვევს სახელმწიფო მრეწველობის პროდუქტების რეალურ თვითღირებულებას, არ არის არავითარი გარანტია ნაციონალიზაციაქმნილი საკუთრების განიავების ან გატაცების წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში ტრესტებს შეუძლია გახდენ იმ ხვრელებათ, რომელთა საშუალებით სახელმწიფო სიმდიდრე გადავა სხვის ხელში.

ერთნაირი ანგარიშწარმოების მეთოდების გამომუშავება, ყველა ტრესტებისათვის მტკიცე, სავალდებულო საანგარიშო ერთეულის დაწესება, ანგარიშწარმოების ორგანიზაციაში ხელმძღვანელობის და ინსტრუქტორობის ერთიანობა, თანამედროვე ბიუროკრატიულ ანგარიშიანობის, სხვა და სხვა ანკეტების, სპეციალურ გამოკვლევების, ფორმელიარების შეცვლის და სხვ. გამარტივებასთან და შემცირებასთან ერთად—ყოველმხრივი გაუმჯობესება და სისწორის შეტანა—უნდა გახდეს ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოების, კერძოთ სახელმწიფო გეგმიანი მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ამ მუშაობის მიზანი უნდა იყოს მთელი სახელმწიფო მრეწველობისათვის, შემდეგში კი საერთოდ მთელი სახელმწიფო მეურნეობისათვის ერთიანი რეალური ბალანსის მიღწევა.

სამრეწველო კალკულიაციის სახელმწიფოს მიერ შემოწმების საქმის სწორი ორგანიზაცია შეადგენს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სასიცოცხლო ამოცანას. ასეთი კომპეტენტური და კვალიფიციური კანტროლის უქონლობა ოცნებად ხდის სამეურნეო ინსპექტორობის სხვა სახეებსაც, სთესს უპასუხისმგებლობის გრძნობას, რაც ვერ ეგუება სწორად დაყენებულ მეურნეობას.

8. შრომის ხელფასი.

განვლილ პერიოდში შრომის ხელფასის პრაქტიკამ საერთოდ და მთლიანად დაადასტურა პარტიის მეთერთმეტე და პროფკავშირების მეხუთე ყრილობების დადგენილებების და გადაწყვეტილებების სისწორე, კერძოდ პროფკავშირებსა და სამეურნეო ორგანოებს შორის კოლექტიური ხელშეკრულების დადების შესახებ.

შრომის ხელფასის საერთო პოლიტიკა მომავალში მიმართული უნდა იქნას შრომის ხელფასის ხაზის ცოტად თუ ბევრად გამოსწორებისკენ მრეწველობის ყველა დარგებში, საჭირო შესწორებით საშუალო კვალიფიკაციაზე ისე, რომ ერთგვარი ან ერთნაირი მნიშვნელობის კვალიფიკაციის მუშები დაახლოებით ერთგვარ გასამრჯელოს იღებდენ მრეწველობის სხვა და სხვა დარგებში, შეძლების დაგვარად ბაზრის კერძო რყევის გარეშე, მაგრამ ისე კი, რომ შრომის ხელფასი განისაზღვრებოდეს გამომუშავების საშუალო ნორმით. სათანადო სახელმწიფო ორგანოებმა პროფკავშირებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული თავისი ღონისძიებები უნდა მიმართონ იქით, რომ მრეწველობის ამა თუ იმ დარგის ხელსაყრელი კონიუქტურით ისარგებლონ არა მარტო ამ წარმოების მუშებმა, არამედ მთელმა მუშათა კლასმა საერთოდ, გაადიდოს შრომის ხელფასი ჩამორჩენილ დარგებში, და პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიაში და ტრანსპორტზე.

ყოველგვარად უნდა ცდილობდენ რა მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას, სახელმწიფო ორგანოებს და პროფესიულ კავშირებს უნდა ახსოვდეთ, რომ ხანგრძლივი და ყოველმხრივი გაუმჯობესება შესაძლოა მხოლოდ განვითარების გზაზე მყოფი ე. ი. შემოსავლიანი წარმოების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, ისეთი ზომები, როგორიცაა მაგალითად ცოტა ტვირთის მქონე წარმოების ამუშავება, ან ქარხანაში მუშების ისეთი რიცხვების შენახვა, რომელიც არ შეეფერება წარმოების ფაქტიურ ნაყოფიერებას, წარმოადგენს სოციალური უზრუნველყოფის ყველაზე უფრო საზარალო და არა რაციონალურ ფორმას და ამ რიგად მიმართულია მუშათა კლასის ხვალინდელი დღის წინააღმდეგ.

სამრეწველო წამოწყებების სხვა და სხვა გვარი წარმოებიდან არგამომდინარე და კანონით განუსაზღვრელი, დამატებითი ხარჯებით დატვირთვას, როგორი მნიშვნელობისაც არ უნდა იყვნენ ისინი, აურაცხელი ზიანი მოაქვს მეურნეობისათვის და სახელმწიფოსათვის, რადგან ძირს უთხრის სწორი კალკულიაციის შესაძლებლობას და ნახევრათ დაფარული სახით თავს ახვევს სახელმწიფოს ისეთ ხარჯებს, რომელთა გაღება, მისი საშვალებების ახლანდელი მდგომარეობის პირობებში მას არ შეუძლია. თავისუფალი, კანონის მიერ არნაჩვენები და სახელმწიფოს მიერ მოუწესრიგებელი „შეწირულებანი“ ტრესტების მხრივ, წარმოადგენენ სახელმწიფო ქონების გაფლანგვას, სხვას არაფერს, და როგორც ასეთი სასტიკად უნდა ისჯებოდეს კანონის მიერ.

საჭიროა ყურადღებით შემოწმება ეხლანდელ პირობებში ფაქტიურად გამოყენებისა შრომის კოდექსის და საერთოდ ყველა დებულებებისა მუშა ხელზე, შრომის ხელფასზე, შრომის დღის ხანგრძლივობაზე სხვა და სხვა კატეგორიებისათვის, სოციალური დაზღვევისათვის და კულტურულ მიზნებისათვის გადარიცხვაზე და სხვა, ერთის მხრით მუშების ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით, რამდენათაც ეს შესაძლებელია მრეწველობის ეხლანდელი მდგომარეობის პირობებში, და მეორეს მხრით—მეურნეობის ახლანდელ მდგომარეობის პირობებში აშკარათ შეუსრულებელი დებულებების ასაცილებლად ან სრულიად შესაცვლელად. მეურნეებმა და პროფესიონალისტებმა სრულის ობიექტიურობით უნდა შეარჩიონ ფაქტიური მასალა ზემოდ აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებისათვის ან ადმინისტრატიული ღონისძიებებისათვის.

9. ფინანსიური და საკრედიტო დახმარება, გადასახადები და საბაჟო განაკვეთები.

მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის გაჯანსაღების და განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის ნამდვილი მოწესრიგება, მისი სახელმწიფოს რეალურ რესურსებთან და გეგმიან დახარჯვასთან დაახლოვების მნიშვნელობით.

საჭიროა ბოლო მოეღოს, როგორც უდიდეს ბოროტებას, იმ, საგრძნობით ობიექტიური პირობებით გამოწვეულ პრაქტიკას, რომლის დროსაც არ იყო ერთობა და თანხმობა ჩვენს საწარმოო გეგმებსა და რესურსებს შორის, რომლებიც რეალურად მოგვეპოვებოდა მათ განსახორციელებლად. ეს პრაქტიკა აუცილებლათ იწვევდა ყოველგვარი—სამრეწველო და ფინანსიური—გეგმის დარღვევას და არყევდა მნიშვნელოვანი სამეურნეო დაწესებულებების სიმტკიცეს.

ასეთივე შედეგები ჰქონდა მრეწველობის (სათბობი მასალის, ლითონის, მანქანების ამშენებელი) პროდუქტების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევას, უმთავრესად ტრანსპორტისა და სამხედრო უწყებისათვის, უფასოთ ან თავისუფალ ფასებში, რომლებიც არ ფარავდენ აღნიშნულ პროდუქტების თვითღირებულებას.

თუ მომავალშიც აღმოჩენილი იქნა შეუსაბამობა რეალურ შემოსავალსა და ხარჯთ-აღრიცხვის ვარაუდს შორის და აქედან გამომდინარე აუცილებლობა ბიუჯეტის გასავალის შემცირებისა, ეს უნდა მოხდეს არა ნილაბ ქვეშ, არამედ ღიად, ბიუჯეტის ხელახლა გადაჯგუფების გზით, აქედან გამომდინარე გარკვეული შედეგებით—ტრანსპორტის სამრეწველო დაწესებულებების და არმიის გეგმიანი შემცირების მნიშვნელობით. მიუხედავათ ამისა ყრილობა ცენტრალური კომიტეტის ყურადღებას აქცევს ამ შემთხვევაში მძიმე ინდუსტრიის (მინერალური სათბობი მასალა და მეტალურგია) ინტერესების სავსებით გათვალისწინების აუცილებლობაზე, რათა ამ დარგებში მიღწეული პირველი დადებითი შედეგები, რომლებიც გამოწვეულია უკანასკნელ ხანებში მათთვის ფინანსიური დახმარების სა-

ქმის გაუმჯობესებით, დაცულ იქნეს რაც არ უნდა დაჯდეს ეს.

მრეწველობისათვის კრედიტის მიცემა, წარმოადგენს არა მარტო ფინანსიურ, საბანკო ამოცანას, არამედ მრეწველობის ორგანიზაციისა და სახელმწიფო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ამიტომ საჭიროა, რომ სახელმწიფოს მიერ მრეწველობისათვის ფინანსიური დახმარების გაწევა შეკავშირებული იქნას ერთ საკრედიტო დაწესებულებაში, რომელიც მტკიცე კავშირში იქნებოდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან.

საჭიროა გულმოდგინებით განხილვა საკითხებისა, გადასახადებისა და აქციზების მრეწველობის გადახდის უნარიანობასთან და ბაზრის ტევადობასთან შეფარდების შესახებ და შემოტანილ საქონელზე ამა თუ იმ საბაჟო განაკვეთების მნიშვნელობის შესახებ შინაური მრეწველობის ზოგიერთი დარგების დაცვის მნიშვნელობით.

ასევე საჭიროა შეთანხმება რკინის გზის ტარიფებისა ბაზრის გაფართოების საჭიროებასთან (კერძოთ აღმოსავლეთში გატანის საჭიროებასთან). საზღვარ-გარეთ შეძენა და დაკვეთა, თუ გინდ შინაურზე ნაკლებ ფასებში, გადაჭრით უნდა იქნას უარყოფილი იმ შემთხვევებში, როცა ისინი აუცილებლათ არ არიან საჭირო და როცა სათანადო დაკვეთების სახელმწიფოს შიგნით განაწილება საგრძნობ სტიმულს მისცემს ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის სათანადო განვითარებას.

მხოლოდ თანდათანობით და მტკიცეთ გატარებულ სოციალისტური პროტექციონიზმის სისტემას შეუძლია უზრუნველყოს დღევანდელ გარდამავალ პერიოდში კაპიტალისტურ რკალში მყოფი საბჭოთა სახელმწიფოს მრეწველობის განვითარება.

10. უცხოეთის კაპიტალი.

გასული წლის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ სახელმწიფო სოციალისტური მშენებლობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში სავსებით შეიძლება შეთავსებული იქნეს გარკვეულ და მასთან ერთად ფართე ფარგლებში კერძო, მათ შორის უცხო კაპიტალის აქტიურ როლთან მრეწველობის სფეროში. საჭიროა შემდეგი სისტემატიური ღონისძიებანი, მიმართული მრეწველობაში უცხოეთის კაპიტალის ჩაბმისაკენ ყველა იმ ფორმებში, რომელთა მიზანშეწონილობა დღემდი უკვე გამოირკვა: კონცესიები, შერეული საზოგადოებანი, იჯარა. იმ კითხვების გულმოდგინეთ დამუშავება თუ მრეწველობის და წარმოების რომელი დარგების და როგორ პირობებში შეიძლება გაცემა უცხოეთის კაპიტალზე ქვეყნის მეურნეობის განვითარებისათვის სარგებლობის მოტანით, უნდა შეადგენდეს საგეგმო და საერთოდ ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოების უმთავრეს ამოცანას.

11. მეურნეები, მათი მდგომარეობა და ამოცანები, ტეხნიკოსების და მეურნეობის ახალი თაობის აღზრდა

ურთიერთობა პროფკავშირებსა და სამეურნეო ორგანოებს შორის, როგორც ეს განსაზღვრა პარტიის მეთერთმეტე ყრილობის რეზოლიუციებმა, დადასტურებული უკანასკნელი წლის გამოცდილებით, შემდეგშიც უნდა განვითარდეს და განმტკიცდეს ამ რეზოლიუციის დედა-აზრის მიხედვით.

ნამდვილი ერთიანი მმართველობის სისტემა უნდა გატარდეს მრეწველობის ორგანიზაციაში თავიდან ბოლომდი. მუშაკების შერჩევა, მათი გადაყენება და გადაყვანა ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოების ხელში აუცილებელი პირობაა მრეწველობის ნამდვილი ხელმძღვანელობისათვის და მისი ბედიღბალში პასუხისმგებლობის. პროფკავშირების რეკომენდაცია და ატესტაცია ყურადღებით უნდა იქნას განხილული, მაგრამ ეს სრულიად არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობიდან სათანადო სამეურნეო ორგანოებს, რომლებსაც არსებული დებულებები შერჩევის და დანიშვნის სრულ თავისუფლებას ანიჭებენ.

ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის სუსტ მხარეს წარმოადგენს მისი სიმძიმე, უძრაობა, საკმაო ფხიანობის უქონლობა. ამის მიზეზია—სამეურნეო მუშაკების არასაკმაოთ შერჩევა, მათი გამოცდილების სიმცირე, მათი არა საკმაოთ დაინტერესება საკუთარი მუშაობის შედეგებით. ამ მიმართულებებით საჭიროა სწორი, სისტემატიური ღონისძიებები: კერძოთ წარმოების ხელმძღვანელების დაჯილდოვება დამოკიდებული უნდა იყოს ბალანსზე, ისე როგორც შრომის ხელფასი – გამომუშავებაზე.

ხელმძღვანელ მეურნეების (ცეხის უფროსი მუშების, ფაბრიკა ქარხნების დირექტორები, ტრესტების გამგეობის წევრების და თავმჯდომარეების) მუშაობა, რამდენათაც მათ ამოცანას შეადგენს წარმოების ხარჯების შემცირება და მოგების მიღება, ხვდება მეტად დიდ დაბრკოლებებს, რომლებიც ხშირად იწვევენ კონფლიქტს, გადაყენებას ან გადაყვანას. მეურნე ყოველთვის ორი საფრთხის წინაში დგას: ა) თავისი ზედმეტი მოთხოვნილებებით აამხედროს თავის წინააღმდეგ წარმოების მუშები, მათი წარმომადგენლობითი ორგანოები ან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები; ბ) შრომის ნაყოფიერების შრომის ხელფასის და სხვა საკითხებში წავიდეს უმცირესი წინააღმდეგობის ხაზით, და მით დათმოს წარმოების შემოსავლიანობა და მაშასადამე, მისი მომავალიც. რასაკვირველია, საბჭოთა ფაბრიკის დირექტორი უდიდესი ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს მუშების მატერიალურ და სულიერ ინტერესებს, მათ გრძნობებს და სულიერ განწყობილებას. მაგრამ მან მხედველობიდან არ უნდა გაუშვას, რომ მის უდიდეს მოვალეობას მუშათა კლასის წინაშე მთლიანად შეადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მუშური სახელმწიფოს განკარგულებაში მატერიალურ ღირებულებათა რაოდენობის გადიდება პარტიული და პროფესიული მუშაკები მოვალენი არიან საბჭოთა დირექტორს აღმოუჩინონ ამ მხრივ ყოველგვარი დახმარება. ყურადღება, სიმტკიცე და ანგარიშიანობა წარმოადგენენ საბჭოთა მეურნის აუცილებელ თვისებებს. მისი საუკეთესო ატესტაცია არის წარმოების აქტიური ბალანსი.

საჭიროა მუშათა მასებისათვის დახმარება იმის გაგებაში, რომ დირექტორი, რომელიც ცდილობს მოგების მიღებას, ისევე ემსახურება მუშათა კლასის ინტერესებს, როგორც პროფესიული კავშირის მუშაკი, რომელიც ზრუნავს მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე.

ის დირექტორი, რომელიც კარგათ ასრულებს თავის მოვალეობას, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ყოველგვარ მოულოდნელობისაგან, შემთხვევებისაგან, ყოველგვარ, აუცილებლობის გარეშე, გადაყენებისა და გადაყვანისაგან.

იმ დირექტორის დასახმარებლად და დასაცავად, რომელმაც თავი გამოიჩინა თავისი მუშაობის დადებითი შედეგებით, პარტიის ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ მთელი თავისი ავტორიტეტი.

მეორე მხრით, საჭიროა სასტიკის სიმტკიცით გატარება, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთელს ტერიტორიაზე სავალდებულო წესისა, რომ დირექტორი, რომელმაც არ შეასრულა თავისი ვალდებულება, არ შეიძლება მიწვეული იქნეს კვლავ ასეთ ან უმაღლეს სამუშაოზე, სანამ ის დაბალ თანამდებობებზე მუშაობით არ დაამტკიცებს, რომ შეიძინა საკმაო გამოცდილება სერიოზული საქმის დავალების კვლავ მისაღებათ.

ახალი სამეურნეო მუშაკების მომზადებამ უნდა მიიღოს სისტემატიური და მასთან ერთად ღრმა სპეციალობის ხასიათი. ძველი მეთოდები, როცა ასწავლიდენ საჩქაროდ, ზერელე უნდა შეიცვალოს სისტემატიური სწავლებით გარკვეული გეგმის მიხედვით და სათანადო სტაჟის გავლით. იმ მუშაკებს, რომლებიც წამოაყენა პირველმა პერიოდმა და რომლებმაც ვერ მოასწრეს საჭირო ცოდნის მიღება, შესაძლებლობა უნდა მიეცეს შეავსონ ყველაზე მეტად თვალსაჩინო დანაკლისი.

კერძოთ, ყრილობა საჭიროთ თვლის მოანგარიშე მუშაკების მოსამზადებლათ მუშაობის გაძლიერებას, ამ საქმისათვის, სწორი ანგარიშიანობის ორგანიზაციის ამოცანების უფრო წარმატებით გადაჭრის მიზნით, პარტიის წევრების საკმაოთ დიდი რიცხვის დათმობას.

მაგრამ პრაქტიკულ საქმიანობის მიხედვით სპეციალიზაცია, მტკიცედ უნდა იყოს დაკავშირებული პარტიული კავშირის და თეორიული და პოლიტიკური დონეს ამაღლებასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში სპეციალობა ზიანს მიაყენებდა პარტიას, ისე როგორც „ყველაფრის ცოდნა“ აზარალებს მეურნეობას

პარტიამ და პროფკავშირებმა მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მრეწველობის მმართველ ორგანოების იერარქიის ყველა საფეხურზე მეურნე მუშების, განსაკუთრებით კომუნისტების, კადრის გადიდებას, და პირველ რიგში ამოცანათ უნდა იქონიონ ფაბრიკა-ქარხნების უზრუნველყოფა წითელი დირექტორების საკმაო კადრით.

ახალი თაობისათვის ტეხნიკის შესწავლა უნდა იყოს არა მარტო სპეციალობის, არამედ რევოლიუციონური მოვალეობის საკითხი. მუშური სახელმწიფოს პირობებში, მთელი ის ენტუზიაზმი, რომელიც იხარჯებოდა მუშა-ახალგაზრდობის მიერ პოლიტიკურ ბრძოლაში, მიმართული უნდა იყოს მეცნიერებისა და ტეხნიკის დასაძლევათ საჭიროა, რომ მოწაფე, რომელიც გულგრილათ ეკიდება მეცადინეობის საქმეს, ხვდებოდეს ისეთ მოპყრობას, როგორსაც ბურჟუასიასთან ბრძოლაში დეზერტირი ან შტრეიკბრეხერი. სოციალისტური მეურნეობის მოწყობა პროლეტარული ავანგარდისათვის არის—არა კარიერა, არამედ გმირობა.

12. სპეციალისტების ჩაბმა წარმოებაში

მრეწველობის სათანადო დონეზე დაყენება მოითხოვს წარმოებაში ტეხნიკური ძალების გაძლიერებას. ტეხნიკური ძალების დანაკლისის ტეხნიკებისა და ინჟინერების ახალი კადრით შევსება მოხდება აუცილებლობის თანდათანობით, ნელ-ნელა. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფი ტეხნიკური ძალების საუკეთესოდ გამოყენება და განაწილება. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში სპეციალისტების დიდი ნაწილი, რომელიც წინეთ მუშაობდა წარმოებაში, გადავიდა უფრო თავისუფალ ან უკეთესად მოწყობილ მუშაობაზე დაწესებულებებში, სამმართველოებში, კანცელარიებში ან საკომისიონერო და სავაჭრო მოღვაწეობაზე. დღის ლოზუნგი უნდა შეიქნეს: „უკან წარმოებისაკენ, ქარხნებსა და ფაბრიკებში“. ამის მისაღწევად საჭიროა მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა, რომელიც მორალურათ და მატერიალურათ დააკმაყოფილებს წარმოებაში გაწვეულ სპეციალისტებს, კერძოთ კი საჭიროა ყოველმხრივი წაქეზების პრინციპის გატარება უშუალოდ წარმოების პროცესში მიღწეულ ტეხნიკურ ან სამეურნეო წარმატებისათვის (სხვა და სხვა ხასიათის ეკონომია, ახალი გამოგონება, გაუმჯობესება და სხვა). ადმინისტრატორები და ტეხნიკოსები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სასარგებლო და ინიციატივიანი მუშაობით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, წარჩინებული უნდა იქნან პარტიის, საბჭოთა ორგანიზაციების და პროფკავშირების მიერ, როგორც განსაკუთრებით სასარგებლო მუშაკები და მათზე უნდა გავრცელდეს ის საზოგადო პატივისცემა რომლითაც სარგებლობენ წითელ ჯარში მომუშავე სპეციალისტები.

13. პარტიული დაწესებულებები და სამეურნეო ორგანოები.

პარტიამ თავისი რევოლიუციონურ აღმზრდელობითი ამოცანების ერთი წუთითაც დაუვიწყებლად, ანგარიში უნდა მისცეს თავის თავს იმაში, რომ რევოლიუციის მიმდინარე სამეურნეო მშენებლობის პერიოდში სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობა საბჭოთა მშენებლობის მთავარ პუნქტებში შეადგენს და უნდა შეადგენდეს პარტიის მუშაობის მთავარ შინაარს. პარტია მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას, როცა პარტიის სამეურნეო გამოცდილება გაიზრდება საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგომ სამეურნეო ამოცანების გართულებასთან ერთად.

ამიტომ პარტიის მეთორმეტე ყრილობა ფიქრობს, რომ არა მარტო მუშაკების სწორად განაწილება, არამედ სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობა ძირითად პუნქტებში,—განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, რომელიც ქმნის მეურნეების შემადგენლობის შინაური გარდაქმნის და ეკონომიურ მშენებლობაში პროლეტარული ხაზის გადამახინჯების საფრთხეს,—შეადგენს პარტიის მოვალეობას. ეს ხელმძღვანელობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიქცეს, რასაკვირველია, პრაქტიკაზე სამეურნეო მუშაკების კერძო და შეთანხმებულ გადაყენებათ და გადაყვანათ, სამეურნეო ორგანოების ყოველ-დღიურ მუშაობაში ჩარევათ ან უშუალო ადმინისტრატორობის ცდათ.

დღევანდელ პირობებში პარტორგანიზაციების მხრივ აუცილებელ და საჭირო დირექტივებთან ერთად კონკრეტულ საკითხებში, საჭიროა სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობისათვის პარტიული ორგანიზაციების მხრივ მიეცეს მტკიცე გეგმიანი ხასიათი, რამაც უნდა გამოიწვიოს მიმდინარე პრაქტიკის გამო ცალკე და კერძო საკითხებში უშუალო ადმინისტრატიული ჩარევის შემთხვევების შემცირება.

პარტიის ხელმძღვანელობა იმდენათ სრულად იქნება უზრუნველყოფილი, რამდენათაც სწორად გატარდება თვით სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრატიული და სამეურნეო მუშაობა პარტიის მიერ წამოყენებულ საგეგმო ამოცანების შესასრულებლათ.

მეთორმეტე ყრილობა ადასტურებს მეთერთმეტე ყრილობის რეზოლიუციებს შრომის განაწილების და პარტიულ და საბჭოთა, კერძოთ სამეურნეო მუშაობის განსაზღვრის შესახებ და მოითხოვს ამ რეზოლიუციის უფრო სრულად და სისტემატიურად გატარებას ცენტრში და ადგილობრივ. მეთორმეტე ყრილობა განსაკუთრებით მოაგონებს, რომ მეთერთმეტე ყრილობის დადგენილების თანახმად „პარტიული ორგანიზაციები სამეურნეო საკითხებს სწყვეტენ იმ შემთხვევაში და იმ ნაწილში, როცა ეს საკითხები ნამდვილათ მოითხოვენ პარტიის პრინციპიალურ დადგენილებას“.

პარტიის ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს მხარის დაჭერა ისეთი წესისათვის, როდესაც კომპეტენტურ სამეურნეო ორგანოებს ექნებოდათ არა მარტო ფორმალური უფლება, არამედ სამეურნეო მუშაკების აღზრდის, და მათში გამოცდილების დაგროვებასთან ერთად მათი წინ წაყენების ფაქტიური შესაძლებლობა.

ეს შესაძლებელია მხოლოდ სამეურნეო მუშაკების სამეურნეო გამოცდილების, საქმიანობის და უნარიანობის მიხედვით სისტემატიური შერჩევით, და აგრეთვე სამეურნეო ორგანოებს შიგნით დისციპლინის საფუძვლების და მუშაობის ცალკე დარგების და ამ დარგების სათავეში მდგომ მუშაკების თანადამორჩილებით.

თავის მხრივ, მთელმა პარტიამ, მთელმა მისმა ორგანიზაციებმა, მეურნეებზე ამ ჟამად დაკისრებული მუშაობის განსაკუთრებული მნიშვნელობის და პასუხისმგებლობის ხასიათის გამო, ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ მათ და უნდა იზრუნონ ისეთი პირობების შექმნაზე, რომელიც უარყოფს მეურნეების ცალკე ჯგუფების პარტიისაგან მოწყვეტის შესაძლებლობას.

სტამბების საქმე.

საკითხს სტამბის საქმის სწორად დაყენების შესახებ აქვს არა მარტო ეკონომიური, არამედ უდიდესათ კულტურული მნიშვნელობა.

ყრილობა სტამბის საქმის მდგომარეობას არადამაკმაყოფილებლად აღიარებს და საჭიროთ მიაჩნია მის გასაუმჯობესებლათ გადამჭრელი ზომების მიღება.

საჭიროა პირველ ყოვლისა მასიური გავრცელებისათვის დანიშნულ გამოცემათა ტეხნიკის გაუმჯობესება. საკითხი სასტამბო მრეწველობის ორგანიზაციის შესახებ უნდა გადაიჭრას მოკლე ხანში იმ მიმართულებით, რომ მსხვილ გამომცემლობებს საქმის ტეხნიკურად დამაკმაყოფილებლად, ფართედ და სწორად დაყენების საშვალება მიეცესთ.

რეზოლიუცია სოფლად საგადასახადო პოლიტიკის შესახებ

1. სოფლის მეურნეობა უმთავრეს როლს თამაშობს საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ ცხოვრებაში. საბჭოთა ხელისუფლების ძალა მდგომარეობს კავშირში მუშებსა და გლეხებს შორის. მხოლოდ ამ კავშირში პოულობს ის ძალებს გარეშე დამონების და კაპიტალის ბატონობის აღდგენის წინააღმდეგობისათვის ამ კავშირის დაცვა და გამაგრება მიმდინარე ისტორიულ პერიოდში—კომუნისტური პარტიის ძირითადი ამოცანაა.

2. მუშებისა და გლეხების მებრძოლი კავშირი შეიქმნა კაპიტალისტური წესების დამხობის და მიწის დაპყრობის მიზნით. მაშინ, როცა შემდეგ მუშებისა და გლეხების მონაპოვართა დაცვა საჭირო გახდა ღია სამოქალაქო ომში, ეს კავშირი განმტკიცდა, მიუხედავად იმისა, რომ გლეხობას დასჭირდა დიდი მსხვერპლის გაღება პროლეტარიატისა და არმიის გამოსაკვებად. აშკარა სამოქალაქო ომის პერიოდში ყველა ეს ტვირთი დააწვა გლეხობას სასურსათო „რაზვიორსტკის“ სახით. როგორც კი დამთავრდა ეს პერიოდი კომუნისტურმა პარტიამ გაატარა გადასვლა სასურსათო „რაზვიორსტკიდან“ სასურსათო გადასახადზე. ამ გადასვლამ საგრძნობი შემსუბუქება მისცა გლეხობას და საქმეებით გაამართლა თავისი თავი, როგორც ეკონომიურად ისე პოლიტიკურად. მაგრამ ის წარმოადგენდა მხოლოდ პირველ ნაბიჯს, რომლის გადადგმა შეეძლო კომუნისტურ პარტიას გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქების და ომითა და კონტრრევოლიუციით განადგურებული სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესების გზაზე.

3. სასურსათო „რაზვიორსტკიდან“ სასურსათო გადასახადზე გადასვლა ნიშნავდა გლეხის უფლების ცნობას თავისი შრომის პროდუქტის თავისუფლად მოხმარაზე, მაგრამ ეს უფლება შეზღუდული იყო საბჭოთა სახელმწიფოს საჭიროებით მიეღო თავის განკარგულებაში პურის გარკვეული მარაგი, როგორც ძირითადი ნატურალური ფონდი არმიის უზრუნველსაყოფად და მეურნეობისა და ტრანსპორტის აღსადგენად.

4. საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების საერთო გაჯანსაღების დაწყების გამო, რომელიც გამოსახატება საქონლის ტრიალის, როგორც გამოცოცხლებაში ისე გადიდებაში, პარტიას შეუძლია და უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯი გლეხებისათვის თავისი შრომის პროდუქტის თავისუფლათ მოხმარის შესაძლებლობის გაფართოების საქმეში. საბჭოთა რესპუბლიკას შეუძლია და მოვალეა ბაზრის ტევადობის გაფართოებასთან შეფარდებით გაათავისუფლოს გლეხობა ვალდებულებიდან, შეიტანოს თავისი გადასახადები მთავრობისათვის ნატურალური სახით და მისცეს მას შესაძლებლობა ამ გადასახადების ნაწილი შეიტანოს ფულით.

5. ნატურალური გადასახადის ნაწილის ფულით გადახდით შეცვლა ამსუბუქებს გლეხების მდგომარეობას და სარგებლობას აძლევს გლეხობის მეურნეობას არა მარტო გადასახადის შესატანათ ხარჯების შემცირებით, არამედ იმითაც, რომ შესაძლებლობას აძლევს გლეხს თავისუფლათ შეიგუოს, აირჩიოს სასარგებლო კულტურები, მიმართოს თავისი ძალები სასარეწაო საქმიანობაში და სხვა. ამასთან ერთად ეს ზომა გააუმჯობესებს მხარის საერთო სამეურნეო მდგომარეობასაც, რადგან გამოიწვევს საქონლის ტრიალის შემდეგ განვითარებას, გადაიქცევა ფინანსიური ნგრევის ლიკვიდაციის გზათ და უზრუნველყოფს ფულის ტრიალის სიმტკიცეს. უკანასკნელი კი სრულიად აუცილებელია ქალაქსა და სოფელს შორის ვაჭრობის განსავითარებლად, რომელიც შეუძლებელია, სანამ ფულის ფასების შეუწყვეტელი დაცემა ძირს უთხრის ფულის ტრიალს და ხელს უშლის როგორც სოფლის მეურნეობას, ისე მრეწველობის პროდუქტების რეალიზაციას. ამ რიგად, უშუალოდ ამსუბუქებს რა გლეხობის მდგომარეობას, ეს ზომა ამაგრებს ქვეყნის მთელ მეურნეობას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გლეხობას უფრო დაჩქარებით გამოვიდეს სიღატაკიდან და სიბეჩავიდან, აღადგინოს თავისი ინვენტარი და აამაღლოს თავისი მეურნეობის ტეხნიკური დონე.

6 გარდა ნატურალური დაბეგვრიდან ფულით გადახდაზე გადასვლისა, კომუნისტურმა პარტიამ, გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით უნდა გაატაროს გაერთიანება ყველა სახელმწიფო პირდაპირი გადასახადებისა, რომელიც აწევს გლეხობას (სასურსათო გადასახადი, კომლობრივი და შრომისა და ტვირთზიდვის), და აგრეთვე ყველა ადგილობრივი პირდაპირი გადასახადებისა, ერთიან პირდაპირ სასოფლო-სამეურნეო გადასახადში. ერთიანმა სასოფლო-სამეურნეო გადასახადმა გადაჭრით უნდა მოუღოს ბოლო გადასახადების მრავალრიცხვიანობას, რომელიც იწვევს გლეხების სამართლიან უკმაყოფილებას და ხელს უშლის მას მტკიცე ჯამი გაუკეთოს თავის შემოსავალ-გასავალს და ამისდა მიხედვით აწარმოოს თავისი მეურნეობა. კომუნისტურმა პარტიამ უნდა გაატაროს ისეთი საგადასახადო სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემდა გლეხს წინდაწინვე იცოდეს მისი ხვედრი პირდაპირი გადასახადის ჯამი და საქმე იქონიოს მხოლოდ ამ გადასახადის ამკრეფთან.

ერთიანმა სასოფლო-სამეურნეო გადასახადმა უნდა უზრუნველყოს შეფარდება თითეული მეურნეობის დაბეგვრის სიმძიმისა და მისი შემოსავლის რაოდენობასთან და ნაყოფიერებასთან იმ ყველა ცნობების აღრიცხვით, რომლებიც არკვევენ მეურნეობის სიძლიერეს და მის გადახდის უნარიანობას (სულადობა, ნათესების და სათიბების სივრცე, მუშა და საკლავი საქონლის რიცხვი, მოსავალის საშუალო რაოდენობა). ამის წყალობით პირდაპირი გადასახადი საშუალებას მისცემს საბჭოთა ხელისუფლებას საუკეთესო გზით გაატაროს ულარიბეს და საშუალო გლეხობის ინტერესების დაცვის პოლიტიკა. კომუნისტურმა პარტიამ უნდა განუმარტოს სოფლის ამ წრეებს პირდაპირი დაბეგვრის ყველა უპირატესობანი, რომლის დროს გადასახადების სიმძიმე სამართლიანად ნაწილდება სოფლის სხვადასხვა წრეებს შორის მათი კეთილდღეობის ხარისხის მიხედვით და ულარიბესი გლეხობისათვის უდიდესი სარგებლობით.

7. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და აგრეთვე მისი ნატურალური და ფულიანი ნაწილის რაოდენობის დაწესების დროს, საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა იხელმძღვანელოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ამაღლების ინტერესებით, გულმოდგინეთ შეაფასოს სოფლის მეურნეობის საგადასახადო ძალა, როგორც მთლიანად ისე ცალკე რაიონებში. ამიტომ გადასახადის რაოდენობის და მისი ფორმების—ფულიანის და შერეულის ამა თუ იმ რაიონის გლეხის მეურნეობის მდგომარეობასთან უფრო სრულათ შეფარდების მიზნით, საჭიროა ანგარიში გაეწიოს განსაკუთრებულ პირობებს ცალკე რაიონებში, რომლებიც განსხვავდებიან უფრო მეტად მიწადმოქმედების ან უფრო მეტად სამრეწველო ხასიათით.

ამავე მიზნით გადასახადის შესატანად უნდა დაინიშნოს არა ერთი, არამედ რამდენიმე ვადა, რომელიც შეესაბამება მოსავლის აღების, ზედმეტის გაყიდვის და სხვა მომენტებს.

ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობის ამაღლებისათვის ხელის შეწყობის მიზნით საჭიროა გლეხობის ფართე მასებისათვის დღევანდელ პირობებში მისაწვდომ მეურნეობის განვითარებულ მეთოდების წაქეზების სისტემის შემოღება. (ადრე დახვნა განვითარება ტეხნიკურ და შრომის კულტურებისა, საქონლის მოვლა მოშენების რაციონალიზაცია). რაიონები, ოლქები და კოლექტივები, რომლებიც ამ მხრივ თავს გამოიჩენენ, მიწად მოქმედების ორგანოების წარმოდგენით, დაჯილდოვებული უნდა იქნენ საგუბერნიო აღმასკომების მიერ მათი ხვედრი სამეურნეო გადასახადიდან ნაწილობრივ დაკლების ფორმით და გადასახადის საერთო ჯამის ერთი პროცენტის ფარგლებში.

8. პურზე მეტად დაბალ ფასებთან რომელიც აღატაკებს გლეხის მეურნეობას და ამავე დროს აბრკოლებს მრეწველობას, გადამჭრელი ბრძოლის ერთ-ერთ საშვალებათ უნდა გახდეს საზღვარ-გარეთ გლეხის პურის იმ ზედმეტი გატანის შემსუბუქება, რომლის მოხმარა ქვეყნის შიგნით არ შეიძლება, გლეხის მეურნეობის ამ სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით საბჭოთა მთავრობამ უნდა მიაღწიოს გლეხის პურის საზღვარ-გარეთ დაუბრკოლებლად რეალიზაციის საშუალებას. სოფლის მეურნეობისათვის იმპერიალისტური ომის ეპოქაში საზღვარ-გარეთ დაკარგული ბაზრების დაპყრობა, უნდა გახდეს საბჭოთა ხელისუფლების უახლოესი ამოცანა, რადგან რუსეთიდან სასოფლო მეურნეობის პროდუქტების არ გატანის პირობებში აუცილებელია დაბალი ფასები პურზე შინაურ ბაზარზე. ეს კი თავის მხრივ გამოიწვევს პურის ნათესების სივრცის შემცირებას, გლეხის მეურნეობის კრიზისს, და, მაშასადამე სახელმწიფო ექსპორტის საერთო სამეურნეო კრიზისს.

კერძო შუამავლობის ასაცილებლად პურის ექსპორტის საქმე უნდა წარმოებდეს სახელმწიფოსა და მისი ორგანოების საშუალებით.

9. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ აპარატის შემადგენლობის ხარისხს, რომლის საშვალებით საბჭოთა ხელისუფლება აგროვებს გადასახადებს და რომელთა საშუალებით განხორციელებული იქნება პურის შეძენა სახელმწიფოს მიერ. კომუნისტურმა პარტიამ ამოცანათ უნდა იქონიოს ამ აპარატის შემადგენლობის მუდმივ გაუმჯობესება და გაიაფება, მას მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ მასში გლეხობა უნდა ხედავდეს მუშებისა და გლეხების ფართე მასების ნამდვილ წარმომადგენელს.

არა მარტო ყოველგვარი უკანონობა, არამედ გლეხობის კანონიერ უფლებისადმი საგადასახადო ორგანოების მიერ მათი მძიმე, პასუხსაგები და საბჭოთა სახელმწიფოსათვის აუცილებელი მუშაობის შესრულების დროს გადასახადების შესაკრებათ უყურადღებობაც კი, უნდა ხვდებოდეს მტკიცე გაკიცხვას პარტიის მხრივ და სასტიკ სასჯელს საბჭოთა ხელისუფლებისაგან.

10. კომუნისტური პარტია სრულს ანგარიშს უწევს როგორც ომისა და კონტრ-რევოლიუციის მიერ განადგურებული გლეხის მეურნეობის მძიმე მდგომარეობას, ისე მასზე დაკისრებულ ვალდებულებათას იმძიმეს. ის ზომები, რომელსაც ახლა საბჭოთა ხელისუფლება ატარებს გლეხის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რომლებიც საგრძნობ ნაბიჯს წარმოადგენენ წინ გლეხის მეურნეობის მოსაწესრიგებლად, სრულიად არ ათავისუფლებენ მას ვალდებულებისაგან დასჭიმოს ყველა ძალები საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გლეხობისათვის წაყენებულ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ყველა მშრომელთა საერთო ინტერესები, მუშურ-გლეხური რევოლიუციის მონაპოვართა დაცვის საერთო ინტერესები მოითხოვენ ძალების ამ დაჭიმვას და მუშებისაგან და გლეხებისაგან მოითხოვენ ამ მსხვერპლს. საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტი, მიუხედავად იმისა, რომ ის ორნახევარჯერ შემცირებულია მემამულეებისა და თავადების [illegible] შედარებით, [illegible] რჩება, რადგან [illegible] შემოსავალი არ ფარავს აუცილებელი ხარჯების ნაწილსაც კი. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც უზრუნველყო გლეხობისათვის მიწა და გაანთავისუფლა ის მემამულესათვის ღალის მიცემიდან, უნდა მოსთხოვოს, რომ თითეულმა, მიუხედავათ სიძნელისა, შეასრულოს თავისი ვალდებულება მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინაშე. გლეხობა უნდა დარწმუნდეს, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა გადასახადების შეკრებასთან ერთად ამცირებს არა ნაყოფიერ ხარჯებს და წარმოადგენს სინამდვილეში ყველაზე იაფ მთავრობას ქვეყნისათვის. კომუნისტურმა პარტიამ ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი, რომ გადასახადებით მიღებული საშვალებები იხარჯებოდეს უდიდესი ეკონომიით და ნამდვილათ აუცილებელ საჭიროებისათვის:

პირველ რიგში მუშებისა და გლეხების რევოლიუციონურ მონაპოვართა დასაცავათ, სწავლა-განათლების საქმის განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობისათვის ყოველგვარი დახმარების აღმოსაჩენათ იაფი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის, აგრონომიული დახმარების და სხვათა მოწყობით, სოფლის დასახმარებლათ, მსხვილი მრეწველობის ფართედ განვითარებისათვის, რომლის გარეშე სახელმწიფოს მოსახლეობა განწირული იქნებოდა სამეურნეო გაყინვაზე და ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობაზე. ამ ხარჯების გაწევის მუშურ-გლეხური მთავრობა ანგარიშს უნდა უწევდეს გლეხობის შესაძლებლობას.

11. ზემოთ-აღნიშნულ ღონისძიებათა გადაჭრით და სისტემატიურად გატარებას, მოყვება სოფლისა და ქალაქის საწარმოო ძალების სწრაფად გაშლა, ულარიბეს და საშუალო გლეხობის ინტერესების დაცვა, მუშისადმი გლეხის ნდობის გამაგრება და მუშასა და გლეხს შორის კავშირის განმტკიცება იმ სახალხო სიმდიდრის ზრდის მაგარ ფუნდამენტზე, რომლის ბატონ-პატრონი საბჭოთა სახელმწიფოს დროს არიან თვით მშრომელი მასები.

სახელმწიფო აპარატი და მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალური საკანტროლო კომისიის ამოცანები.

1. დაანგრია რა ბურჟუაზიული ხელისუფლების ძველი ფორმები და საფუძველი ჩაუყარა რა სრულიად ახალი (საბჭოთა) ტიპის სახელმწიფოს, ჩვენმა პარტიამ შინაურ და გარეშე ფრონტებზე გამწვავებული შეიარაღებული ბრძოლის გამო ვერ დაუთმო სათანადო ყურადღება და დრო ჩვენი მმართველობის და მეურნეობის ძირითად გაუმჯობესებას.

მშვიდობიანი მშენებლობის ამ პერიოდში, როცა რევოლიუცია შევიდა გადამჭრელ სამეურნეო ფაზისში, პარტიამ უნდა წამოაყენოს მმართველობის და მეურნეობის ორგანოების რეორგანიზაციის საკითხი, როგორც, სახელმწიფო აპარატისათვის ბრძოლის საკითხი, რომელიც წარსულიდან მემკვიდრეობათ მიღებული თავისი ტეხნიკური სტრუქტურითა და შემადგენლობით, უცხოა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მიზნებისა და ამოცანებისადმი.

ახლა მომქმედი მძიმე დიდი და ძვირი სახელმწიფო აპარატის სტრუქტურისაგან გასარჩევათ, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება მუშებსა და გლეხებს, მმართველობის და მეურნეობის ახალი სტრუქტურა და მასში საქმეების წარმოების ახალი მეთოდების მაქსიმალურად უნდა გამარტივდეს და აეგოს შრომის და მმართველობის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძვლებზე, რომელიც სრულიად უარყოფს ბურჟუაზიული გადამახინჯების შესაძლებლობას.

მხოლოდ მმართველობის მთელი ტეხნიკის ასე რადიკალური გზით შეცვლით, მასში ყოველგვარი არასაჭირო და ზედმეტის აღმოფხვრით, და აგრეთვე სახელმწიფო აპარატის ენერგიულად გაწმენდით პარტია და და სახელმწიფო შესძლებენ აიძულონ სახელმწიფო აპარატი უდიდესი სისრულით ემსახურონ მუშებისა და გლეხების ინტერესებს, შექმნან სახელმწიფო აპარატი უფრო ახლო და ნაკლებ დამამძიმებელი მშრომელი მასებისათვის და ამით, მაშასადამე, გაამაგრონ კავშირი გლეხებსა და მუშებს შორის.

2. ეს ამოცანა არ გადაიჭრება ერთი რომელიმე რეფორმის გატარებით მისი განხორციელებისათვის საჭირო დარჩება მძიმე და მტკიცე შრომის მთელი რიგი წლები. სახელმწიფო აპარატში სამუშაოთ მოწოდებული მუშებმა და გლეხებმა უნდა შეითვისონ საჭირო ცოდნა, გამოცდილება და კულტურა. სახელმწიფო აპარატის შრომისა და მმართველობის მეცნიერულ საფუძველზე აგება, მხოლოდ იმ პირობებში გამოიღებს სასურველ შედეგებს თუ პარტიისა და მუშათა კლასის მტკიცე ღონისძიებებთან ერთად წამოყენებული ამოცანისადმი მიპყრობილი იქნება სახელმწიფო აპარატის ყველა ხელმძღვანელების ყურადღება, რომლებიც საბჭოთა და პარტიული წესით პასუხისმგებელი იქნებიან ამა თუ იმ აპარატზე და ისინი გამოიჩენენ საჭირო ინიციატივასა და თვითმოქმედებას აპარატის გამარტივებაში და გეგმაშეწონილ შინაურ კანტროლის დაწესებაში.

3. იმ ორგანოებათ, რომლებიც სპეციალურად მოწოდებული არიან სახელმწიფო აპარატის ახალ საფუძველზე რეორგანიზაციის საკითხის გადასაჭრელად, მისი კონკრეტიული შინაარსის დასამუშავებლად და ჩამოსაყალიბებლად, ცხოვრებაში პრაქტიკულ ღონისძიებათა გასატარებლად და იმ ზომების შესათანხმებლად, რომლებსაც იღებენ პარტიული ორგანიზაციები და, აგრეთვე, ცალკე ორგანიზაციები (შრომის ცენტრალური ინსტიტუტი და სხვა,) უნდა იყოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია და რ. კ. პ. ცენტრალური საკანტროლო კომისია, რომლებიც ორგანიზაციულად არიან დაკავშირებული მათზე დავალებული ამოცანის—სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების, გადასაჭრელად. ამისათვის საჭიროა ც. ს. კ. ფუნქციების და შემადგენლობის გაფართოება, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კი—სრული რეორგანიზაცია, როგორც კონსტრუქციის და მუშაობის მეთოდების, ისე შემადგენლობის მხრივ. უკანასკნელი ამოცანა ახლო დროისათვის აღიარებული უნდა იქნეს ძირითადად, რადგან მის გადაუჭრელად, ე. ი. მუშგლეხინის სანიმუშო აპარატად გადაქცევის გარეშე, რომელიც მტკიცედ იქნება დაკავშირებული პარტიასთან, სახელმწიფო და პარტია მოკლებული იქნებიან ორგანოს, რომლის საშვალებით ისინი პრაქტიკულ ნიადაგზე დააყენებდენ ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაჭრას.

4. მუშგლეხინის ისეთ სანიმუშო აპარატათ გადაქცევის წინასწარ და აუცილებელ პირობას, რომელიც შესძლებს მასზე დაკისრებული ამოცანების გადაჭრას, შეადგენს ხანგრძლივი მუშაობა თვით რეორგანიზაცია ქმნილი მუშგლეხინის მუშაკების ხანგრძლივი მომზადება ამ ამოცანებისათვის. რამდენათაც ახალი მუშათა და გლეხთა ინსპექცია უმწიკვლო უნდა იყოს თავისი საკუთარი სტრუქტურის მხრივ (საქმის დაყენების მნიშვნელობით, და აბსოლიუტურად ავტორიტეტული დანარჩენი სახალხო კომისარიატებისათვის, როგორც ორგანო, რომელმაც ნამდვილად იცის და შეუძლია მეცნიერულ სიმაღლეზე დააყენოს სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმე,—ყრილობა წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს და ცენტრალურ საკანტროლო კომისიას მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაციის დროს იხელმძღვანელონ შემდეგით: 1) მუშგლეხინის მუშაკების პირადი შემადგენლობის გამორკვევის დროს: ა) დაუყოვნებლივ შეუდგინ ახლანდელი მუშგლეხინის რეორგანიზაციას და დასტოვონ ახლანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ ისინი, რომლებიც ნამდვილად შეეფერებიან მუშგლეხინის წინაშე ახლა წამოყენებულ ამოცანებს, ბ) მუშაკები შეარჩიონ თავდადებულ კომუნისტებიდან, მუშებისა და გლეხებისაგან, უმთავრესად პრაქტიკაში წინ წაწეულ ელემენტებიდან, ადმინისტრატორებიდან და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიდან, რომლებიც მზად არიან ხელი მოჰკიდონ ხანგრძლივ და დაუღალავ მუშაობას მმართველობის და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შესასწავლათ, გ) ცენტრალური საკანტროლო კომისიის წევრების თანაშემწეებათ შერჩეული უნდა იქნან სპეციალისტების განსაზღვრული რიცხვი, მათთვის აუცილებელი პირობებით—წინასწარ დაიჭირონ გამოცდა: 1) ჩვენი ახლანდელი სახელმწიფო აპარატის (ცოდნაში და 2) მმართველობის, საქმის წარმოების, შრომის ორგანიზაციის და სხვ. მეცნიერების თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლის ცოდნაში.

ძირითად ამოცანას, რომელიც ამ შემთხვევაში მიღწეული უნდა იქნეს, წარმოადგენს ისეთი პირადი შემადგენლობა, რომ ყველა ის ელემენტებმა,—რომლებსაც რეკომენდაცია გაუკეთეს კომუნისტებმა,—სამუშაოთ მოწვეულმა სპეციალისტებმა და სამდივნო შემადგენლობამ, მუშაობის ისეთ თანხმობას მიაღწიონ, რომ საერთოდ ეს საკმაო თავდები იყოს მთელი მუშაობის წარმატების და ნაყოფიერებისათვის. 2) მმართველობის და შრომის ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდების შესწავლის საქმის სწორათ დაყენების მიზნით ყრილობა ურჩევს:

ა) დაუყოვნებლივ გადასინჯული და გამორჩეული იქნას არსებული შრომის ინსტიტუტებიდან და ანალოგიური დაწესებულებებიდან ისეთები, რომლებშიც საქმის ნამდვილი სერიოზული და მეცნიერული დაყენება გარანტიას იძლევა ამ საქმის წარმატების; დახმარება გაეწიოს ამ დაწესებულებებს ისე, რომ ისინი ნამდვილათ იდგენ თანამედროვე მეცნიერების სიმაღლეზე; დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას მათი საქმიანობის კოორდინაცია;

ბ) გამოცხადდეს კონკურსი შრომის ორგანიზაციის საერთოდ და მმართველობის კერძოდ ერთი ან რამდენიმე სახელმძღვანელოს შედგენაზე.

გ) გაიგზავნოს საზღვარ-გარეთ (შემდეგში ეს გაგზავნა შემოღებული იქნეს სისტემად) მთელი რიგი სათანადო მომზადების მქონე კეთილსინდისიერ სპეციალისტებისა და კომუნისტებისა ამავე კითხვების თეორიულად და აგრეთვე დასავლეთში მათი პრაქტიკულად გამოყენების შესასწავლად და ამავე კითხვებზე ლიტერატურის შესარჩევად.

თანამედროვე მეცნიერების მიღწევების სისტემატიზაცია და მისი ჯამის გაკეთება საბჭოთა ხელისუფლების აპარატთან და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს საჭიროებებთან შეფარდებით. ასეთია განსაკუთრებული მიზანი, რომელსაც უნდა ისახავდეს რეორგანიზაციაქმნილი მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

მუშგლეხინის მუშაობის მეთოდები.

5. ა) მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ხელი უნდა აიღოს სახელმწიფო ორგანოების ყველა, ფულით და ქონებით ოპერაციების მთლიან, ყოველდღიურ და ფორმალურ კანტროლზე და ჩვენი სამეურნეო და მმართველობის აპარატის მთავარ და შემაერთებელ პუნქტების შემოწმება მოახდინოს წინასწარ გამომუშავებული გეგმით და თანახმად ცხოვრების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებისა;

ბ) შრომის და მმართველობის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების შესწავლის და დაწესების დროს, რომელიც არ უნდა იყოს მარტო აკადემიური, საჭიროა საქმიანი პრაქტიკული შემოწმების და მეცნიერულ განმაზოგადოებელ დასკვნების მტკიცედ შეერთება; ამ შესწავლის პრაქტიკული ფორმა უნდა იყოს სისტემატიური დაკვირვება მმართველობის მუშაობის სფეროში იმ მოვლენებზე, რომლებიც მუდმივ მეორდებიან და ტიპიური არიან; გამოცდილების დადგმა წინდაწინვე აღნიშნულ გარკვეულ მიზნებით, უმთავრესად, აპარატის იმ ნაწილების გამოკვლევა, რომელთა შესწავლა განსაკუთრებით საჭიროა მიზნისაკენ სწორათ მიმავალ გზების დაჩქარებით გამოსაძებნათ და მასში არსებულ დეფექტების ასაცილებლად.

გ) საკანტროლო მოქმედებას ძირითად მიზნათ უნდა ქონდეს: სამეურნეო და ადმინისტრატიულ ორგანოების პრაქტიკულ მიღწევების ან ნაკლულოვანებათა გამორკვევა; აღმოჩენა ამა თუ იმ დარგისათვის მტაცებლობის ტიპიური მეთოდებისა და მათი თავიდან აშორების საშვალების გამოძებნა, ცალკე ბოროტ-მოქმედების და მტაცებლობის გამორკვევისაკენ გადაუხრელად.

6. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალური საკანტროლო კომისიის ახლო ამოცანები შემდეგი უნდა იყოს:

ა) ყოველმხრივი წაქეზება სახელმწიფო ადმინისტრატიული და სამეურნეო ორგანოების მათი აპარატის გაუმჯობესებაზე, ამ მხრივ მათთვის დახმარების აღმოჩენა, მათი გამოცდილების აღრიცხვა, შეთანხმება და გაერთიანება მათ მიერ მიღებულ ზომებისა პროფკავშირებთან მტკიცე კავშირში და ამ საქმეში წარმოებებში და დაწესებულებებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა ჩაბმა, განსაკუთრებით ცალკე თვალსაჩინო მუშაკების, წითელი დირექტორებისა და სხვა.

ბ) სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების მუშაობის არსებითად შეფასება და შემოწმება, სახელმწიფოსა და პარტიისათვის ხელმძღვანელ პირად შემადგენლობის შერჩევაში დახმარების აღმოჩენა, მუშებისა და გლეხების პრაქტიკული მომზადება პასუხსაგებ თანამდებობების დასაჭერათ მუშგლეხინის და ცენტრალური საკანტროლო კომისიის მუშაობაში ჩაბმის საშუალებით მათ მიერ მმართველობის ტეხნიკის პრაქტიკულად შეთვისების მიზნით, და დახმარების აღმოჩენა ყველაზე უფრო კეთილსინდისიერ და საქმისათვის თავდადებულ მუშაკებისათვის;

გ) სახელმწიფო აპარატების ხელმძღვანელების და თანამშრომლების დაუდევრობისა და ბოროტმოქმედების მიზეზების შესწავლა და გამოკვლევა, ბრძოლა მექრთამეობასთან და ამ დარგში თავისი მუშაობის შეთანხმება სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს და იუსტიციის სახალხო

კომისარიატის შესაფერ საქმიანობასთან პერიოდული თათბირების საშუალებით ან სხვა გზით, და აგრეთვე ზომების მიღება სახელმწიფო ორგანოების და წარმოების იმ ხელმძღვანელების პასუხისგებაში მისაცემათ და გადასაყენებლად, რომლებიც გაურბიან ზრუნვას თავისი აპარატების გასაუმჯობესებლათ და გასაწმენდათ;

დ) მმართველობის საქმის თეორიულად და პრაქტიკულად შესწავლა, მომქმედ ორგანოების დადებითი მხარეების და ნაკლულევანებათა გამორკვევა, განმტკიცება ერთის და აშორება მეორესი, გამოცდილების დაყენება, მთელ რიგ პრაქტიკულ ზომების ცხოვრებაში გატარება მმართველობის ტეხნიკის, საქმის წარმოების, ანგარიშის წარმოების, ანგარიშიანობის, ების გამომუშავების და ამასთან შირებით სახელმწიფო ორგაის სტრუქტურის გამოცვლის, ონალიზაციის მიზნით, როგორც მუშაობის გაუმჯობესების ისე თვით კონტროლისათვის ნორმალური პირობების შექმნით, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მხრივ თვალყურის დევნებას;

ე) პარტიულ და საბჭოთა ხასიათის ამოცანების და დავალებების შესრულება, და აგრეთვე კონტროლი და თვალყურის დევნება სახელმწიფო ორგანოების მიერ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების იმ დადგენილებების ცხოვრებაში სწორათ გატარებისათვის, რომლებიც პირველ რიგში მიმართული არიან სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და თანამდებობის პირთა ბიუროკრატიზმისა და ბოროტ-მოქმედებასთან ბრძოლისაკენ;

ვ) სახელმწიფო აპარატის და სამეურნეო ორგანოების განსაკუთრებით გულმოდგინებით გაუმჯობესება იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ ეხება მოსახლეობას, საბჭოთა მოხელეების სასტიკი დასჯა ბატონურად მოპყრობისა და უყურადღებობისათვის მუშებისა და გლეხების მოთხოვნილებებისა და საჭიროებისადმი, განსაკუთრებით წერა-კითხვის უცოდინართა ან ნაკლებ მცოდნეთა, და კერძოდ სხვა ეროვნების მშრომელთა მიმართ;

ზ) მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ საბჭოთა და პარტიული პრესის სისტემატიურად და გეგმა შეწონილად გამოყენება, როგორც ყოველგვარი ბოროტ-მოქმედების, მექრთამეობის, დაუდევრობის და პარტიის მიერ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის ნაჩვენები გზის სისტემატიურად გვერდის ავლის გამომჟღავნების მიზნით, აგრეთვე ც. ს. კ. და მუშგლეხინის ორგანიზაციული მშენებლობის საქმეში მუშაობის შესასწავლათ და მისთვის ჯამის გასაკეთებლათ.

მუშგლეხინის და საკონტროლო კომისიების ადგილობრივ ორგანოების შესახებ.

7. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეორგანიზაცია ზემოთაღნიშნულ საფუძვლებზე ვრცელდება მხოლოდ ცენტრალურ მუშგლეხინზე და ც. ს. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას და ც. ს. კ. ევალება ერთი თვის ვადაში გამოიმუშავოს და შეიტანოს ცენტრალურ კომიტეტში დებულება მუშგლეხინის და საკონტროლო კომისიების ადგილობრივ ორგანოების შესახებ, რომლებიც, ამ საკითხის ნაჩვენებ წესით გადაჭრამდი, განაგრძობენ მუშაობას ძველ საფუძვლებზე.

კოოპერაცია

ცეკავშირის მე 17 სესიის მუშაობა.

მეორე დღეს, რაც დამთავრდა საქართველოს კოოპერაციის მე 17 სესია უნდა აღინიშნოს ამ სესიის საქმიანი მუშაობა. ეს იმით აიხსნება, რომ ცეკავშირის ახალ გამგეობის არჩევის შემდეგ საქართველოს კოოპერაცია სრულიად გამოცოცხლდა და შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას მტკიცე ენერგიით, რომელიც წამოაყენა ფეხზედ როგორც ცეკავშირი, ისე პერიფერია. აღსანიშნავია ადგილებიდან ჩამოსული ამხანაგების მოხსენებები კოოპერაციის გამოცოცხლების შესახებ, ყველა ერთხმად აღნიშნავდა ცეკავშირის საქმიან და ნაყოფიერი მუშაობის შედეგებს.

უმთავრესი საკითხები, რომელიც წამოიჭრა სესიის გადასაჭრელათ, იყო ახლათ წამოყენებული სავაჭრო ოპერაციების მოგვარება, რუსეთში გაგზავნილი საქონლის რეალიზაცია და შეძენილი მანუფაქტურის მოხმარებლებზედ მიწოდება. მეორე თვალსაჩინო საკითხი იყო ცეკავშირის საწარმოო მუშაობის გაცხოველება, საორგანიზაციო მომავალი მუშაობის შესახებ, კოოპერაციის რეორგანიზაცია მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებებათ, პარკისა და სიმინდის ოპერაციების წარმოება. დელეგატების დიდი ყურადღება მიიქცია პარკის ოპერაციამ. მთავრობის მიერ გადაეცა პარკის ოპერაცია საქართველოს კოოპერაციას; ეს ერთობ დიდი და მნიშვნელოვანი საქმეა და მის პირნათლად შესრულებას შესძლებს ცეკავშირი და მისი ადგილობრივი ორგანოები. წინა წლებში ამ ოპერაციებს აწარმოებდა მთავრობის დავალებით ძირითადი კოოპერატივები და ვინაიდან პრაქტიკამ კარგი შედეგები მოგვცა, აბრეშუმის პარკის წლევანდელი მოსავალი შარშანდელზედ ორჯერ ზედმეტი არის ნავარაუდევი იმის მიხედვით, თუ რამდენი დარიგდა აბრეშუმის თესლი. მეაბრეშუმენი აღტაცებით იძენენ თესლს, რადგანაც ახსოვთ, რომ შარშანდელი მათ მიერ დამზადებული პარკის სასყიდელი მათ მიიღეს სრულად. აგრეთვე ითქმის სიმინდის ოპერაციაზედაც; დღევანდელი გლეხების მდგომარეობა უნუგეშოა იმ მხრივ, რომ მათ ნაწარმოებზე ფასი მეტად მცირეა სხვა საქონლის ფასებთან შედარებით. ამისათვის ცეკავშირმა გადასწყვიტა გაიტანოს საქართველოდან რამოდენიმე ასი ათასი ფუთი სიმინდი ოსმალეთში და სხვაგან, სადაც მასზე მოთხოვნილება არის, რომ ამით გასავალი მისცეს სოფლის ნაწარმოებს. საერთოდ სესიის მუშაობას ჰქონდა საქმიანი ხასიათი, რომელშიაც ყველა დელეგატები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ. დარწმუნებული ვართ, რომ ამხანაგი დელეგატები ადგილობრივ დაბრუნებისას აქტიურათ მოჰკიდებენ ხელს იმ დირექტივების ცხოვრებაში გატარებას, რომელიც გამოუშვა ყრილობამ.

ვლ. ცაგარელი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(10 მაისი)

ოქროს 10 მან.—15,600 ათასი.
ჩერვონეცი — — 9 800 ათასი.
გირ. სტერ. (ჩეკ.) 8.150 ათასი.
დოლარი „ 1,960 ათასი.
ოსმ. ქალ. ლირა— 1,375 ათასი.
საბჭ. ფულის ნიშ.—17 ათასი.

საქონლის ბაზრის ფასები.

(ბითუმად)

ყუბანის ხორბალი—1,100-1500, ადგილობრივი—950 1000, ლობიო—700-1100, ბრინჯი — 6.500 7,000, ფქვილი „კრუპჩატკა“—2250, ყუბანის 1 ხარ.—1900 2000, ადგილობრივი—1150, შაქარი რაფინადი ყუთი 33 ლირა. კარაქი 1 ხარ.—17000-18000, თუშური ყველი—7500 1000, ინგლისური ჩაი—85 90 ლირა, რუსული ხირმა არშინი—380.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილების თანახმად, საქონელზე სალიცენზიო გადასახადიდან განთავისუფლების შეღავათი მიეცემათ იმ კოოპერატივებს, რომლებიც შედიან ცენტროსოიუზის ამიერ-კავკასიის განყოფილების შემადგენლობაში.

ვალიუტა ბაქოში.

ოქრო 10 მან.—15,000 ათასი.
გირ. სტერ.— 9,450 ათასი.
დოლარი— 2,100 ათასი.
ლირა — 1,380 ათასი.
ჩერვონეცი— 9,750 ათასი.
საბჭ. ფულ. ნიშ. — 16,7 ათასი.

ძვირფასი ლითონების კურსი

(10 მაისი)

ოქრო მისხალი 96 სინჯის – 3 მ. 60 კ., ოქრო 56 სინჯის—1 მ. 80 კ., ვერცხლი 84 სინჯის—7 კაპ., 1 მანეთი ვერცხლის ხურდა—18,5 კაპ.

განწყობილება ვალიუტის ბაზარზე

(10 მაისი).

ვალიუტის ბაზარზე ემჩნევა კურსის მცირეოდენი აწევა. დიდი მოთხოვნილებაა ჩერვონცებზე.

პროფკავშირებში

საბჭოთა მუშაკების კავშირში.

ყარაიაზის აღმასკომის საბჭოთა მუშაკების კავშირში ჩარიცხვა.

საბჭოთა მუშაკების კავშირის ცენტრალ. გამგეობის დადგენილებით, ყარაიაზის აღმასკომის თანამშრომელნი ჩარიცხულ იქნენ საბჭოთა მუშაკების კავშირში.

რევოლიუციისათვის მებრძოლთა ფონდი.

კავშირის ქუთაისის სამაზრო განყოფილებამ შეაგროვა 25 მილიონი რევოლიუციისათვის მებრძოლთა ფონდის სარგებლოდ.

აფხაზეთის პროფკავშირებში ჰაეროპლანის შეძენა.

აფხაზეთის პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა ჩაატაროს ფართე კამპანია საჭირო თანხების შესაგროვებლად აფხაზეთისათვის ჰაეროპლანების შეძენის მიზნით.

მუშებისათვის კრედიტის გახსნა.

აფხაზეთის პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა მიმართოს აფხაზეთის კომსართა საბჭოს, რათა მან დააჩქაროს მუშებისათვის კრედიტის მიცემის საკითხის გადაჭრა.

ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის რაიონულ გამგეობაში.

რაიონულ პლენუმის მოწვევა.

ფოსტა ტელეგრაფის კავშირის რაიონულ გამგეობის პრეზიდიუმმა დაადგინა რაიონული პლენუმი მოიწვიოს 17 მაისს.

წითელ ჯარში

სენაკის მაზრის ახალ წვეულთა მიერ გამოტანილი რეზოლიუცია

ჩვენ, 1901 წელში დაბადებულ ახალგაზრდებმა, საქართველოს წითელ ლაშქარში ახლად გაწვეულებმა და დროებით განთავისუფლებულებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ვ. ჩაკვეტაძის და ვ. თავართქილაძისა, გამოვიტანეთ შემდეგი რეზოლიუცია:

1) დღეს, როდესაც დასავლეთ ევროპის კაპიტალი აწარმოებს შეტევას საერთაშორისო მუშათა კლასის წინააღმდეგ და ლამობს მუშურ-გლეხური ხელისუფლების განადგურებას,—ჩვენ ახალგაზრდები, მომავალი წითელ-არმიელები სრულიად შეგნებით მივდივართ წითელ არმიაში მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასაცავად. მუშურ-გლეხურ საბჭოთა ხელისუფლება გვაბარებს ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკას დასაცავად გარეშე იმპერიალიზმისაგან და ჩვენ, გლეხების შვილები, უსიტყვოდ მივდივართ ჩვენი მოვალეობის შესასრულებლად.

2) ჩვენ გაგებული გვაქვს, თუ როგორ სტანჯავდა და უბნევდა გონებას ახალგაზრდობას მეფის მთავრობა. მაშინ ყაზარმა წარმოადგენდა ჯარის კაცის გონების დამჩლუნგებელ ადგილს, სადაც ხშირად ქონდა ადგილი აუწერელ ფიზიკურ დასჯას და არა-ადამიანურ მოპყრობას. მეფის მთავრობა ეყრდნობოდა ჯარისკაცთა შეუგნებლობაზე და, სარგებლობდა რა ამ შეუგნებლობით, იყენებდა მათ, როგორც უსულო მანქანას თავისი ინტერესების განსახორციელებლად, მუდამ ტერიტორიის დასაპყრობად და მუშათა ინტერესების ჩასახრჩობად.

3) წინააღმდეგ ნიკოლოზის ყაზარმისა, წითელი ყაზარმა წარმოადგენს სკოლას, სადაც ახალგაზრდობა იწვრთნება შეგნებულად, ვითარდება პოლიტიკურად და ხდება სრულიად შეგნებული დამცველი მუშურ-გლეხურ ხელისუფლების,—სწავლა, განათლება, შეგნება,—აი რაზე ეყრდნობა საბჭოთა მთავრობა.

4) ჩვენ სრულიად შეგნებით მივდივართ ჩვენი მოვალეობის შესასრულებლად, მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიერ დაკისრებულ მოვალეობის შესასრულებლად.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ლაშქარს, რომელიც არის პატარა რაზმი საერთაშორისო წითელ არმიის.

გაუმარჯოს ჩვენს ძმას, რუსეთის წითელ არმიას.

გაუმარჯოს წითელ არმიის ბელადებს ამხ. ამხ. ტროცკის და კამენევს.

გაუმარჯოს მესამე კომინტერნს.

გაუმარჯოს დიდ ინტერნაციონალურ წითელ ლაშქარს.

ასეთივე შინაარსის რეზოლიუცია იყო ყოველგან გამოტანილი, თვით, როგორც ახალწვეულების, აგრეთვე მშრომელ გლეხების მიერ: ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებში.

ცეკას და პოლიტ-განყოფილების რწმუნებული კ. გვალია

ცენტრარმკლუბში

— **შტატების შემცირება.** ცენტრარმკლუბში, მოსამსახურეთა შორის მოხდა შტატების შემცირება. შტატის გარეშე დატოვეს 30 მოსამსახურეზე მეტი, რომელნიც გადაყვანილი არიან საერთო ტარიფზე. შტატში დარჩა 6.

— **საგიტაციო საღამოები.** მაისის თვის განმავლობაში განზრახულია ახალ გაწვეულთათვის მოეწყოს სამი აგიტ-საღამო

— **წითელი ყაზარმა.** პირველი საღამო გაიმართება წითელ ყაზარმის აღსანიშნავად. წარმოდგენილი იქნება ს. ერ.—ელის პიესა „წითელ ყაზარმაში“ და ხუციშვილის სააგიტაციო ინსცენიროვკა.

— **ანტირელიგიური საღამო.** წითელ ყაზარმის საღამოს შემდეგ გაიმართება ანტირელიგიური საღამო.

— **სანიტარული საღამო.** მაისის თვის ბოლოში ახალგაწვეულთათვის გაიმართება სანიტარული საღამო ინსცენიროვკით „სიკვდილის აჩრდილი“, მოხსენებით და სხვ.

— **საზაფხულო თვეებში.** ვინაიდან ქართულ ჯარის ნაწილები საზაფხულოთ მიემგზავრებიან აგარაკებში, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა გადატანილ იქნება ცენტრიდან აგარაკებში, სადაც იდგმებიან ნაწილები.

1 მაისის დღესასწაული ჯარის ნაწილებში

— **დღესასწაული მეხანგრე ასეულში.** აღნიშნულ ნაწილში შესდგა წითელ არმიელთა საერთო კრება, რომელზედაც დაისწრენ ახლად წვეულნიც. მოხსენებები პირველი მაისის შესახებ წაიკითხეს ამხ. ჭელიძემ, მაჩიტაძემ და სხვ. მოხსენებები მოსმენილ იქმნა ყურადღებით.

— **დღესასწაული პირველ ლეგიონში.** პირველ მაისს პირველ ლეგიონში შეხვდენ არაჩვეულებრივი აღტაცებით. ყაზარმა შემკობილი იყო რევოლიუციონურ პლაკატებით და გალამაზებული იყო წითელი კუთხეები.

— **წიგნების გამოფენა.** დღესასწაულის გასაშუქებლად სამკითხველოსაგან გამოფენილ იქნა სათანადო წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და გაწყობილი წითელი კუთხეები.

— **კედლის გაზეთი.** ამ დღისათვის გამოვიდა შესაფერისად შედგენილი კედლის გაზეთი „წითელი დროშა“.

— **წრეებში.** დღესასწაულისა და ახალ წვეულთა შესახვედრათ ამოძრავდა მთელი რიგი წრეებისა: დრამატიული, ლიტერატურული, სამხატვრო და სხვ.

— **მიტინგი.** საღამოს 8 საათზე 1-ლ მაისის საზეიმო მიტინგი გახსნა ამხ. ცომაიამ. მოხსენებები გააკეთეს ამხ. ნანაძე, თვალჭრელიძე, ცომაია, აბუთიძე და ქუთათელაძე.

— **წარმოდგენა.** დასასრულ გაიმართა წარმოდგენა და ლექსთა კითხვა, რამაც დიდებითი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეთათვის.

სამხედრო რევტრიბუნალში

ქართული დივიზიის რევტრიბუნალი 14 მაისს საჯაროთ გაარჩევს შემდეგ საქმეებს.

1. ძირითადი სამოსწავლო ათასეულის წითელ არმიელის ქიმერიძის, რომელსაც ბრალად ედება სახაზინო ნივთების მოპარვა, ნაწილიდან და საპატიმროდან გაქცევა.

2. ამავე სამოსწავლო ათასეულის წითელ არმიელ მიქაბერიძისას, რომელსაც ბრალად ედება პატიმრის გალახვა.

3. ქართულ მსროლელ უმწყობრო გუნდის წითელ არმიელი შალვა ბოჭიაშვილის, რომელსაც ბრალდება დეზერტირობა და სამხედრო ქონების მითვისება.

იგივე რევტრიბუნალი 15 მაისს საჯარო სხდომაზე გაარჩევს საქმეებს,

1. ქართულ ცხენოსან ლეგიონის წითელ მოლაშქრე შალვა შალიკაიანის, რომელსაც ბრალად ედება დეზერტირობა

2. მე 2 ლეგ. მე-2 ათას. მე-5 ასეულის წითელ არმიელ სარქის როსტიევისას, რომელსაც ბრალდება უფროსის მოქმედებით შეურაცხყოფა და დეზერტირობა.

3. ქართულ მსროლელ ლეგიონის წითელ არმიელებს მჭედლიშვილის, წივილაშვილის, ამონაშვილის, რომელთაც ბრალდებათ სამხედრო წესების დარღვევა და აგრეთვე შეურაცხყოფა თავიანთი უფროსის სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს.

მეცნიერება და ტეხნიკა

როგორ აშენებენ ამერიკელები ხიდებს.

აღმშენებლობის ტეხნიკა ამერიკაში დიდ სიმაღლემდე ავიდა. მთავარი—სიჩქარე... ამერიკა ყოველთვის მიისწრაფის, არ შეიძლება ხიდის ჩქარა გაკეთება. შეიძლება .. ამერიკაში ცდილობენ სიტყვა „არ შეიძლება“-ს გაუქმებას.

გზის გასაყვანათ კლდიან მთებში პატარა ჩქარი მდინარე ჯუაზე (ცალ ნგტონის შტატი), საჭირო შეიქნა 125 მეტრის სიგრძე ხიდის აშენება, აშენების სიჩქარისა და დასაყრდენობ ადგილების უქონლობის პირობების დაცვით. ჩვეულებრივ ასეთ პირობებში რელსებს გადებენ ხოლმე ერთი ნაპირიდან მეორეზე და მასზე უკვე ჰკიდებენ ხიდებს. ამერიკელებმა გადაწყვიტეს, რომ ამას დიდი დრო სჭირია. და რელსების გადაუდებლათ მათ დაიწყეს უკვე გზა ხიდების შენება. და სანამ ხიდის წინა ძირითადი ნაწილები უმაგრდება უკვე დამზადებულ ნაწილს, უკან გაცხარებული მუშაობაა ხიდის შესრიგში მოსაყვანათ, ასეთი სისტებით ეს 125 მეტრის სიგრძე (60 საჟ) ხიდი აშენებული იყო 14 დღეში მეცამეტე დღეზე ხიდი დაუახლოვდა მოწინააღმდეგე ნაპირს, მეთოთხმეტე დღეზე გადებულ იქნა რელსები, მეთოთხმეტე დღეზე კი ხიდზე გავიდა პირველი ორთქლმავალი.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში.

— **ახალი ნიხრი აბანოებში.** ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ 10 მაისიდან დააწესა შემდეგი ფასები: გოგირდის აბანოებში ნომერი 450-500 ათას მანეთამდე. საერთო ნომერში ყველგან 100 ათასი მან. ხოლო ორთქლის აბანოში ნომერი 500 ათასი მან. საერთო 150 ათასი მან.

— **ბრძოლა ანტი-სანიტარულ პირობებთან.** ქალ. აღმასკომთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია ქალაქში სისუფთავის დასაცავათ და ეპიდემიურ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ზომების გამოსანახავათ.

— **ტრამვაი და წყალსადენი.** ტფილისის წყალსადენს მიეცა 10 მილიარდი მანეთის მასალა, რათა დაუბრკოლებლივ და სუფთა წყალი მიეცეს მცხოვრებლებს. აგრეთვე ტრამვაის მიეცა 90 000 მან ოქროთი გაუქმებულ ხაზების გასაახლებლად და საჭირო მასალების შესაძენად.

— **შემოსავალ - გასავალი.** იანვრის, თებერვლის და მარტის განმავლობაში აღმასკომის სალაროში შემოვიდა 324,101 მილიონი მან. და დახარჯა—262,300 მილ. მანეთი.

სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში.

— **კვირეულის მოწყობა.** 20 მაისიდან 27 მაისამდე სოც უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ მოწყობილი იქნება ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კვირეული. კვირეულის სათანადოთ ჩასატარებლათ შემდგარია განსაკუთრებული კომისია.

— **დამხმარე კომიტეტებში.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს საქართველოს დაბაქალაქებში გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტები.

— **პენსიონერები,** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რათა რესპუბლიკის ყოველი პენსიონერი გადმორიცხულ იქნას ხსენებული კომისარიატის განკარგულებაში, კომისარიატს დადგენილი აქვს აგრეთვე სათანადო დასტურის შემდეგ გადასინჯოს რესპუბლიკის პენსიონერთა სია და გაუდიდოს დახმარება რევოლიუციის ყოველი დარგის მოღვაწეებს.

სხვა და სხვა.

— **მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი** დღეს, მაისის 11-ს, დილის 10 საათზე მთლიან მუშათა კოოპერატივის შენობაში (კირკისა და კამოს ქ კუთხე). დაიწყება სამაზრო სასურსათო კომისართა თათბირი ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებთან ერთად. თათბირმა უნდა განიხილოს საკითხი 1923—1924 წლის მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პრაქტიკულად განხორციელების შესახებ.

— **მტკვრის ადიდება.** (ბორჯომი) მტკვარს ადიდება დაეტყო 4 მაისს, ხოლო 5 და 6 მაისს მდინარემ მოიმატა სიმაღლე 4 არშინ ნახევარი და დაფარა ყველა ახლო-მახლო ადგილები. მდინარემ გააფუჭა ბორჯომ-ახალციხეს შუა ყველა მოკირწყლული გზები, ალაგ სრულებით დანგრია და აგრეთვე დაამსხვრია ყველა ტელეფონის და ტელეგრაფის ბოძები. ამავე მდინარემ წაიღო ორი ხიდი ერთი ბორჯომზე 15 ვერსით დაშორებული სოფ. ჩომის ხევის და მეორე 16 დაშორებული ს დვირის დაზიანებულია და ალაგ-ალაგ სრულებით გაფუჭებული ბორჯომიდან 26—28 ვერსის მანძილზე რკინის გზის ლიანდაგი. 7 მაისს მდინარის დაეტყო დაკლება და საღამოს 5 საათზე დაიწია 1 არშ. და ნახევარი. წყალის დაკლება გრძელდება.

— **სამხრეთ-ოსეთის რევოლიუციონური ჰიმნი.** [illegible] კომისარიატმა დაადგინა მენშევიკებთან ბრძოლაში დახოცილ ამხანაგების ხსოვნის და მათთან რევოლიუციონური ბრძოლის მოსაგონარად გამოაცხადოს კონკურსი რევოლიუციონურ სახალხო ჰიმნის შესაქმნელათ ოსურ ენაზე. საუკეთესო შინაარსის და მუსიკის ჰიმნი დაჯილდოვებული იქნება 30 მილ. მან. უკანასკნელი ვადა კონკურსის დანიშნულია 1 ივნისს.

— **მფრინავის დაღუპვა ბაქოში.** 8 მაისს ბაქოს ჰაეროდრომზე ფრენის დროს დაიღუპა მფრინავი და ჰაეროპლანი „გიდი“—მანქანის ცეცხლის გაჩენის გამო.

— **ინვალიდების არტელის სახელოსნო.** ინვალიდების სახლთან, № 1 ამ დღეებში გაიხსნება ინვალიდებისაგან შემდგარი არტელის ქაღალდ-კარდონებისაგან საბავშვო სათამაშოების დამამზადებელი სახელოსნო. არტელის ყველა წევრი არის ომში დასახიჩრებული. სახელოსნოს გამგეთ მიწვეულია სპეციალისტი, სამოქალაქო ომში დაშავებული ამხ. ანდრიუშევი. სახელოსნო აგრეთვე დაამზადებს კონვერტებს, სხვა და სხვა სახის ყოველგვარ კოლოფებს და სხ.

— **ინგლისური ცხენები.** რუსეთის მიწად-მოქმედების კომისარიატმა საქართველოს ცხენთა სადგურს აჩუქა 4 საუკეთესო ინგლისური ჯიშის ცხენი „ნარიადნი“, „საფარ“, „ობუხ“ და „კვარც“.

ხელოვნება

ივანე ფალიაშვილის ბენეფისი.

დღეს, 11 მაისს, ოპერის თეატრში გაიმართება დირიჟორ ივანე ფალიაშვილის ბენეფისი. ფალიაშვილი ცნობილია თავისი ნიჭით როგორც ჩვენში ისე მთელ რუსეთში, მას აქვს იშვიათი ერუდიცია და მასნური ალღო თავის სპეციალობის, რომელმაც მიმდინარე სეზონი ოპერის მიუყვანაო დღემდე განსაკუთრებული სიყვარულით და ენერგიით. ფალიაშვილი როგორც დირიჟორი დიდი ხელოვანია მსოფლიო მასშტაბით, რაც ამ სეზონში არა ერთხელ დაუმტკიცებია მის მაგიურ ხელს და გამახვილებულ სმენას. ამასთანავე ფალიაშვილი როგორც პიროვნება უაღრესათ ნათელი სულის მატარებელია და ზედმიწევნით ჯენტლმენი. მან თავის საბენეფისოდ ამოირჩია ვაგნერის რთული ოპერა „ლოენგრინი“, რომელსაც დგამს კოტე მარჯანიშვილი. და ეს ფაქტი თავდებია მისი რომ აღნიშნული ოპერა ივანე ფალიაშვილის ტემპერამენტით და კოტე მარჯანიშვილის სიმძაფრით წარმოდგენილი იქნება რცვორც ტრიუმფი.

„ლოენგრინში“ მონაწილეობას ღებულობენ საუკეთესო მომღერლები ოპერის და გაძლიერებული ორკესტრი შერჩეული ძალებით.

კახი.

გ. იორდანიშვილის იუბილე.

გიგო იორდანიშვილის სასცენო იუბილეს აღსანიშნავათ განახლებული იქნა გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპო“.

საერთო შესრულება პიესის მართლაც რომ კონცერტიული იყო, უმთავრესად, რასაკვირველია, ჩვენი დამსახურებული მსახიობების: ვასო აბაშიძის, გოცირიძის, ჩერქეზიშვილის და ნ. ჯავახიშვილის პიესაში მონაწილეობის წყალობით. მე არ ვიცი, რომელ მათგანს მივანიჭო პირველობა. როცა მათ უცქერ, გავიწყდება რომ თეატრში ხარ, რადგან სცენაზე წარმოდგენა კი არა, ნამდვილი ცხოვრება იყო. კომედია „პეპო“ ამოღებულია თბილისის ცხოვრებიდან; თუ ის ტიპები, რომლიდანაც სუნდუკიანცმა გადაიღო თავისი პერსონაჟები ეხლა ცოცხლები არ არიან, ყოველ შემთხვევაში ცოცხალია მათი კეთილშობილი შთამომავლობა.

ვასო აბაშიძე—ჩარჩი ზიმზიმოვი, ალბათ იცნობდა იმ პირს, რომლიდანაც სუნდუკიანცმა გადაიღო თავისი გმირი, ვიცნობდი მას სურათებიდან მეც. მსგავსება შეუდარებელია. როგორი თვალისმჭრელი, ნიჭი აქვს დამსახურებულ მსახიობს, დროს სრულებით არ დაუჩნევია თავისი დაღი მისი ნიჭისათვის. სცენაზე მსახიობი აბაშიძე კი არა,—ნამდვილი ზიმზიმოვი იყო, ძველი თბილისის მოქალაქე, სომეხი, რომელიც მხოლოდ ფულის მოგების მიზნით სცხოვრობდა, როგორი გზითაც არ უნდა ყოფილიყო ეს. ზიმზიმოვს მეორე ცოლი ჰყავს, თავისებურათ ლამაზი ახალგაზრდა ქალი, ზიმზიმოვი ქალთა მოყვარულია, მას უყვარს, რასაკვირველია, მხეცური გრძნობით თავისი ახალგაზრდა ცოლი, არ ვიცი კი, რა უფრო მეტად უყვარს ცოლი თუ ფული.

აბაშიძე გვაძლევს დასრულებულ მხატვრულ სურათს. მშვენიერი იყო, მაგალითად, სცენა ცოლთან, და რა კარგათ გადმოგვცემს მსახიობი ზიმზიმოვის დაბნეულობას და საწყლობას, როდესაც გამოირკვევა, რომ ზიმზიმოვის ხელწერილი აღმოჩენილია და მას აღარ შეუძლია უარი სთქვას 1000 მან. ვალის გადახდაზე, მშვენიერი იყო, რასაკვირველია, მოქ. ჩერქეზიშვილი მოხუცებულ შუშანიას როლში მსახიობს მრავალფეროვანი ნიჭი აქვს, მე ვნახე მის შესრულებაში მოხუცებულ ქალის მეორე ტიპი (მზის დაბნელება) და იქ მსახიობი სულ სხვანაირათ ტიპიც, მიმიკაც და ჟესტიკულიაციაც და ლეჩაქიც კი სხვანაირათ აქვს დახურული,—და მოხუცებულ ქალის ორივე ტიპები თითქოს ცოცხლებიდან არის ამოგლეჯილი. მშვენიერია მისი გებრული ლაპარაკი, მისი მხატვრული გამოთქმანი (დადა მიწა ჩასკდეს, შენი თავი ჩაიტანოს და სხვა). ჩერქეზიშვილი მშვენიერია აგრეთვე ზნეჩვეულებების გამომხატველ როლებში. თავისი ნიჭით ის მაგონებს დაუვიწყარ ნატა გაბუნია ცაგარლისას, რომლის ნიჭიც ზნე ჩვეულების გამომხატველ ახალგაზრდა ქალების როლში უფრო მრავალმხრივი იყო, მაგრამ მოხუცე-

ვაგნერი და მისი შემოქმედება მსოფლიო მუსიკის ისტორიაში

(ლოენგრინის დადგმის გამო ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის სცენაზე)

თბილისის საოპერო საქმის მუსიკალურ ნაწილის გამგის ივანე პეტრეს ფალიაშვილის არტისტიულ მოღვაწეობის აღსანიშნავად, ჩვენს საოპერო სცენაზე განახლებული იქნება გენიალურ გერმანელ კომპოზიტორის რიხარდ ვაგნერის ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი „ლოენგრინი“.

ეს დიდი მოვლენაა საოპერო ანნალებში, რადგან ვაგნერის ოპერების დადგმა შეუძლია მხოლოდ (ამ ოპერების, როგორც სცენიურ, ისე ორკესტრიულ ნაწილის სირთულის გამო) ისეთ თეატრებს, რომლებსაც ყავს გამოჩენილი ოპერის მომღერლები, დიდი ორკესტრი და მდიდარი სცენარიუმი. რამოდენიმე წლის წინათ ლოენგრინი დადგმული იყო საოპერო ამხანაგობის მიერ და დიდის წარმატებითაც ჩატარდა ვგონებ თორმეტჯერ. ეხლა ოპერას ანახლებენ. მთელის თავისი არსებით მივესალმები ამ მოვლენას. ამ წერილში მე შევეხები გენიალურ გერმანელ კომპოზიტორის შემოქმედებას, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუსიკის ისტორიაში, შემოქმედებას, რომელმაც ახალი გზები აღმოაჩინა ოპერის ხელოვნებაში და ასე თუ ისე გავლენა იქონია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარის კომპოზიტორების მოღვაწეობის მიმდინარეობაზე, დაამკვიდრა რეალიზმი საოპერო ლიტერატურაში და საძირკველი ჩაუყარა ვერისტების სკოლას, რომელმაც თავის მოღვაწეობის მიზნათ დაისახა ძველი საოპერო ფორმებისაგან განთავისუფლება (მეიერბერი, ვერდი და ფრანგულ და იტალიურ სკოლების სხვა კორიფეები) და თავის კომპოზიციების საფუძვლად დაუდეს რეალიზმი და ცხოვრების სიმართლე (Verifas) გატარება.

შევეხები რა გაკვრით რუსულ საოპერო მუსიკას, მე უნდა ვთქვა, რომ რუსეთის სკოლის ახალ კომპოზიტორებიდან მხოლოდ ერთი ჩაიკოვსკი დარჩა განზე, რომელმაც თავისი მელოდიური სტილი შექმნა და, შეიძლება, რიმსკი-კორსაკოვიც (ზღაპრულ-ლეგენდური სტილი) მისი უკანასკნელი საოპერო შემოქმედების ნაწარმოებების გამონაკლისით, მუსორგსკი კი, რომლის შემოქმედებითაც ჩვენ ამას წინათ დავტკბით (ბორის გოდუნოვი) იყო ვაგნერის გარკვეული მიმდევარი.

ვილჰელმ რიხარდ ვაგნერი,—ოპერის უდიდესი რეორგანიზატორი, დაიბადა 1813 წ. და გარდაიცვალა 1883 წ. ვენეციაში. ბავშვობაში ვაგნერი არც კი იჩენდა მუსიკის სიყვარულს. მისი მუსიკალური გენია გამოაშკარავდა ახალგაზრდობაში და პირველი მისი ოპერა, რომელმაც იხილა რამპის სინათლე „კოლდი პიენსი“ დაწერილი იყო 1837 წელში პარიზში, სადაც ხანგრძლივ მგზავრობის შემდეგ ჩამოვიდა მაშინ იმ ქამად ახლად დაქორწინებული ახალგაზრდა, ყველასათვის უცნობი რიხარდ ვაგნერი. საშინელ გაჭირვებაში, სადღაც ჭერზე სცხოვრობდა პარიზში ახალგაზრდა კომპოზიტორი.

მისი ოპერების დადგმა არ უნდოდათ და პარიზის მუსიკალურ ქვეყანაში იმ დროს ყოვლის შემძლე „ჰუგენოტების“ და სხვა ოპერების ავტორის (grands operas)—მეიერბერის წყალობით, დასდგეს დრეზდენში ვაგნერის ოპერა „piensu“,—ოპერა სრული წარმატებით ჩატარდა და ვაგნერზე ალაპარაკდენ მუსიკალურ სფეროებში, ჩქარა ამის შემდეგ გამოვიდა მისი ტანგეიზერი და შემდეგ კი ლოენგრინი. ამ ნაწარმოებებში ვაგნერი ჯერ კიდევ ინახავს მელოდიურ ფორმებს, ამ ოპერებში არის კარგი ნომრები და ensembles.

თუმცა ლოენგრინში პირველად აშკარავდება ვაგნერის კომპოზიციის დამახასიათებელი ნიშანი—ე. წ. „leitmotiven“ (ლეიტმოტივები). როდესაც თვითეული მომქმედი პირი ხასიათდება ორკესტრში განსაკუთრებული მოტივით, რომელიც ჩნდება ორკესტრში იმ დროს, როდესაც საჭიროა ოპერაში მოქმედი ამა თუ იმ პიროვნების ან და ამ პიროვნებასთან დაკავშირებულ მოქმედების განვითარების დახასიათება (რიმსკი-კორსაკოვმა პირველად შეიტანა leitmotiven თავის ოპერა „მეფის სასძლოში“).

შემოქმედების ამ პერიოდში დადგა 1848 წ., ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოებში იფეთქა რევოლიუციამ და ვაგნერი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს რევოლიუციონურ მოძრაობაში და იბრძვის ბარიკადებზე მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. ვაგნერს დააბრალეს აჯანყებაში მონაწილეობის მიღება და ის იძულებული იყო გამგზავრებულიყო შვეიცარიაში, სადაც სცხოვრობდა 1860 წლამდე, რომელ დროისათვისაც მას მოუსწრო ამნისტიამ და მას შეეძლო სამშობლოში დაბრუნება. განდევნის დროს განსაკუთრებით ინტენსიურად გამოჩნდა ვაგნერის კომპოზიტორული მოღვაწეობა,—ის ეძებდა შემოქმედების ახალ გზებს. ის უარყოფს თანამედროვე ხელოვნებას, რადგან ის, დიდებულ რეფორმატორის აზრით, აღარ ემსახურება წმინდა სილამაზეს, როგორც ეს იყო ძველ საბერძნეთში და გართობის ცარიელ იარაღად გადაიქცა. ეს იდეა გახდა გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად ვაგნერისათვის მის შემდეგ კომპოზიტორულ მოღვაწეობაში და მიიყვანა ის მუსიკალურ დრამის შექმნამდი (რეინის ოქრო, ვალკირია, ზიგფრიდი და ღმერთების დაღუპვა - ვაგნერის ცნობილი ტეტრალოგია), რომ დაუბრუნდეს თეატრს მხატვრული მნიშვნელობა, ამტკიცებდა ვაგნერი, საჭიროა თვითეულ ცალკე ხელოვნების გამოთქმების საშუალებების ერთად შეერთება და მით სილამაზის საერთო ჰარმონიის შექმნა,—სადაც პოეზია შეიტანს ტექსტს, მუსიკა სიმღერას და ორკესტრს მხატვრობა—დეკორაციებს, არქიტექტურა შექმნის თეატრს, სკულპტურა და ხორეოგრაფია კი პლასტიკურ პოზებს და მიმიკას,—ერთი სიტყვით სილამაზის იდეალის შექმნა.

ყველა ეს, რასაკვირველია, ჯერჯეროობით მიუღწეველია და უტოპიაა მთლიანა სახით,, მაგრამ ვაგნერის იდეა განსაზღვრულ ნაწილში უკვე განხორციელდა თეატრებში. ავიღოთ თუ გინდა, თამაშის მოთხოვნილება, პლასტიკა, მიმიკა თანამედროვე ოპერაში, რომელიც, საბედნიეროთ, ჩვენს სცენაზეც მიღებულია.

მუსიკალურ ტეტრალოგიის შინაარსი (რომელზედაც მე ზევით ვლაპარაკობდი) აღებულია გერმანულ ლეგენდებიდან, მაგრამ დამოუკიდებელი ნაწარმოებია ვაგნერის მუსიკალურ მისტერიის ხასიათის მატარებელი.

„პარსიფალი“—და აქაც სიმბოლიზმი სჭარბობს. თუ ნიბელუნგის მითში მოქმედების მთავარ მამოძრავებელ ძალათ ძალაუფლების და სიმდიდრის წყურვილია (რომლის სიმბოლოთაც „ოქროს ბეჭედია“—„რეინის ოქრო“), პარსიფალის ცენტრათაც გრაალის წმინდა ბარძიმია, რომელიც მოითხოვს თავის არჩეულთაგან მხოლოდ სასულიერო ხასიათის გმირობას.

ასეთივე იდეა დაედვა საფუძვლად ოპერა ლოენგრინსაც. მუსიკალურ ტეტრალოგიის საწინააღმდეგოდ, სადაც სიმძიმის ცენტრი ორკესტრშია, რომელმაც ვაგნერის შემოქმედებაში ფართო სიმფონიური განვითარება მიიღო და სადაც ვოკალური მხარე მხოლოდ უბრალო დამატებითი ხმას წარმოადგენს,—ოპერა ლოენგრინში მელოდიას, ensemble ს და გუნდის ადგილებს ფართო ადგილი აქვს დათმობილი. ოპერა იწყება პოლიფონიურ, (ოთხი ხმა) თავ სებურ უვერტიურით, რომელიც ერთბაშათ იტაცებს მსმენელს თავისი უსაზღვრო სილამაზით. მოკლეთ ლოენგრინის შინაარსი შემდეგია: ტრუბადურების და საშუალო საუკუნოების მომთხრობელთა სიტყვებით შორეულ აღმოსავლეთში იყო მაღალი მთა, რომელსაც მონსალვატი ერქვა, ამ მთის წვერზე იდგა მშვენიერი თეთრი მარმარილოს სასახლე, რომლის წიაღშიაც იყო ტაძარი, სადაც სცხოვრობდა რაინდთა ორდენი, რომელსაც შეწირული ჰქონდა თავისი თავი ტაძარში შენახულ უდიდეს სასწაულის მომქმედ გრაალის წმინდა ბარძიმის დაცვისათვის.

გრაალის რაინდების ცხოვრების მიზანი იყო სუსტთა და დაჩაგრულთა დაცვა, ისინი ეხმარებოდენ მათ, როგორც უმაღლეს ქვეყნის მიერ წარმოგზავნილები. წმინდა გრაალის ძალა მოქმედებდა მათი საშუალებით, მხოლოდ სხვებისათვის ის უცნობი უნდა დარჩენილიყო,—თუ რაინდები თავის მისიის შესრულების დროს გაამხელდენ თავის თავს, მაშინ ისინი კარგავდენ თავის უმაღლეს ძალას, ანდა უნდა დაბრუნებულიყვენ მონსალვატის წმინდათა წმინდაში. ერთი ასეთი რაინდთაგანი იყო ლოენგრინიც, რომელსაც ღვთაებრივმა ძალამ მიანდო ბრაბანტიის პრინცესსა ელზისათვის ბრალდების ჩამოხსნა (ელზას ბრალი დასდო გერმანიის მეფის გენრიხის ერთ-ერთ ვასსალმა, გრაფ ფრიდრიხ ტელრამუნდომ) ბრაბანტიის ტახტის ხელში ჩაგდებისათვის თავის მცირეწლოვან ძმის გოტფრიდის მოკვლაში. მეფე ელზას იხმობს სასამართლოში. ყველაფერი იმ ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ ლაპარაკობს, რომელსაც გრაფი ახალგაზრდა ქალს აბრალებს. ელზა ამბობს, რომ ის დამნაშავე არ არის და მას სწამს, რომ მოვა რაინდი, რომელზედაც ის დიდი ხანია ოცნებობს გაურკვეველ მოჩვენებაში, რომელიც დაიცავს მას და მოხსნის მისგან მძიმე ბრალდებას. მაგრამ გეროლდის მეორე დაძახებაზე—ელზას დამცველი არა სჩანს. ქალი ექსტაზში განაგრძობს რწმენას და ელის დამცველს. უეცრად შორს გამოჩნდება თეთრი გედი, რომელსაც ნავი მოყავს და ნავში სდგას არაჩვეულებრივი სილამაზის ახალგაზრდა კაცი ნათელ ტანთსაცმელში გამოწყობილი. ელზა ხედავს მასში თავის მხსნელს—ლოენგრინს, აღფრთოვანებული ჰიმნით ხვდება მას და მადლობას უძღვნის გედს, რომელიც ნელნელა უკანვე გაცურდება. ლოენგრინი გამოუცხადებს დამსწრეებს, რომ ელზა არ არის დამნაშავე, რომ მისი ძმა გოტფრიდი მოკლა ფრიდრიხმა და ელზას დასაცავად ის იწვევს ფრიდრიხს დუელში. ყველა გაკვირვებულია ახალგაზრდა რაინდით. ბოლოს ლოენგრინი დაამარცხებს ფრიდრიხს დუელში და ელზას მიერ აღტაცებული სთხოვს მას გახდეს მისი ცოლი, რაზედაც მადლიერი და უაღრესათ ბედნიერი ქალი დასტურით უპასუხებს. მაგრამ ლოენგრინი მათი ბედნიერებისათვის ერთ პირობას თხოულობს, რომ ელზამ ყოველ ეჭვების გარეშე, მოუფიქრებლად მიანდოს მას თავისი გული და ბედი, რომ მან არავითარი მიზეზით არ მოინდომოს გაგება იმისი, თუ საიდან მოვიდა რაინდი და რა სახელი აქვს მას, ბედნიერებით დამთვრალი ქალი უყოყმანოთ პირდება ლოენგრინს აასრულოს მისი სურვილი. ახალგაზრდები ბედნიერი არიან ქორწინების მოლოდინში. მაგრამ არ დავიწყნია შეურაცყოფა ბოროტ და შურიან ფრიდრიხის ცოლს გრაფინია ორტრუდას, რომელმაც მოიკატუნა რა თავი დაბეჩავებულათ, მოიპოვა ელზას ნდობა და ძისდამი თანაგრძნობისა და განწყობილების მიზეზით დაურღვია მას სულიერი სიმშვიდე და ბედნიერება. ის ეჭვებს აღუძრავს ელზას იმაში, თუ ვინ არის, მართლაც, უცნობ ადგილიდან მოსული, ყველასათვის უცნობი ყრმა. ელზას სიმშვიდე დარღვეულია, ქორწინების დროს ორტრუდა სახალხოთ შეურაცყოფას აყენებს სასძლოს. **„ყველასათვის დასანახათ მე მე მოვითხოვ, რომ შენმა რაინდმა სთქვას ვინ არის ის და საიდან მოვიდა“**, ამბობს ორტრუდა. ლოენგრინი გულმშვიდათ ისმენს ორტრუდას შეურაცყოფას და ამბობს, რომ ის მეფის წინაშეც კი არ არის ვალდებული ანგარიში მისცეს თავის ჩამომავლობის შესახებ, მხოლოდ თუ ამას გაგებას ელზა მოისურვებს,—ის ეტყვის მას. ორტრუდა მოშორებულია და ქორწილი მშვიდობიანათ ჩატარდა. ქორწინების ღამე, ახალგაზრდები მარტო არიან და სტკბებიან ბედნიერებით, მაგრამ ეჭვები აწვალებენ ელზას, — ველარ ითმენს აღელვებას და სთხოვს ლოენგრინს უთხრას მას ვინ არის ის და საიდან მოვიდა **„მითხარი შენი სახელი, შენი სამშობლო და შენი შთამომავლობა“**—სთხოვს ელზა. დიდხანს აფრთხილებს ლოენგრინი, რომ მათ ბედნიერებას ბოლო მოეღება თუ ის დაარღვევს გრაალის რაინდის ფიცს, მაგრამ ელზა ჯიუტია. ლოენგრინი უძლურია და დაპირდება მეფის თანდასწრებით გაუხსნას მას თავისი წარმოშობის ისტორია. **„ეხლა ჩვენ ბედნიერებას ბოლო მოეღება“**, ამბობს ის. აქ იწყება ოპერის ყველაზე უფრო ნაზი ადგილი—ლოენგრინის მოთხრობა. როდესაც ის დაიწყებს თავის მოთხრობას, ის თავის აზრებში უკვე შორსაა გარემოდან, ის იქ არის ნათელ მონსალვატში.

„არის შორეული ქვეყანა
თქვენთვის მიუწდომელი

....მე გრაალის მიერ გაგზავნილი ვარ მონსალვატიდან თქვენთან, მამა ჩემი პარსიფალია, მე ლოენგრინი, .. მას ვემსახურებოდი მე იქ“. მშვენიერმა [illegible] ლოენგრინი გადაიყვანა მონსალვატის ღრუბელ ზევით სიმაღლეებში. ელზა დარჩა თავის არამიწიერ ბედნიერების განთიადზე. ასე თავდება ეს სიყვარულის იდეალური დრამა, ნაზი, როგორც სურნელოვანი ყვავილი.

წმინდა, უბიწო ელზამ მოიტაცა წმინდა გრაალის რაინდი, მაგრამ მისი თავისთან გასაჩერებლად მას ძალღონე აღარ ეყო. როგორც მე ზევითაც ვთქვი, ოპერა თავიდან ბოლომდე, სავსეა მომხიბლავ მელოდიებით, ამიტომ ლოენგრინი არის რიხარდ ვაგნერის შემოქმედების საუკეთესო ნიმუში; ვაგნერმა თავისი გენიის განვითარების ხანაში შექმნა დიდებული მუსიკალური დრამა.

ორკესტროვკისა და ინსტრუმენტოვკის სფეროში ვაგნერი ნამდვილად დიდი მხატვარია. ზემო ბავარიის ქალაქ ბაირეიტში აშენებულია რიხარდ ვაგნერის სახელობის თეატრი, სადაც მხოლოდ მისი ოპერები და მუსიკალური დრამები იდგმება, თეატრი აშენებულია თვით ვაგნერის ხარჯზე, ამ ქამად ის ეკუთვნის დიდებულ კომპოზიტორის მემკვიდრეებს. ყოველ წლიურად, შემოდგომის დასაწყისში ბაირეიტის თეატრში იდგმება ვაგნერის ოპერების და დრამების ციკლი და დღესასწაულზე მოდიან გენიალურ კომპოზიტორის თაყვანისმცემლები მთელი ქვეყნის კუთხეებიდან. იქვე პარკში ასაფლავია რიხარდ ვაგნერი.

მუსიკოსი.

მუშათა ცხოვრება

ბრძოლა ჭლექის წინააღმდეგ.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი მაისის 12, 13 და 14-ს აწყობს სამდღეულს ჭლექთან საბრძოლველად.

განსაკუთრებით მუშები დიდი თანაგრძნობით უნდა შევხვდეთ ჭლექის სამდღეულს, არაფერი უნდა დავზოგოთ მისთვის და ყოველნაირი საშუალებით ვეცადოთ, რაც კი შეიძლება, ფართე ხასიათი მიეცეს ჭლექთან ბრძოლას.

ჭლექი უმთავრესად ხშირი სტუმარი და თანამგზავრია მშრომელი ხალხისა, რადგან ცხოვრების პირობები მუშა ხალხისა ჯოჯოხეთური იყო ძველად, თვითმპყრობელობის დროს და მაშინდელი უკულმართობა დღესაც ვერ გამოსწორებულა სრულიად, თუმცა ყოველნაირი ენერგიით და საშუალებით სცდილობს საბჭოთა ხელისუფლება, რამდენადაც კი შეიძლება, უკეთეს პირობებში ჩააყენოს მშრომელი ხალხი და დაიფაროს მისი ჯანმრთელობა ამ საშინელ ავადმყოფობისაგან.

ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს ახლო წარსული და ისიც, თუ ვინ რას ზრუნავდა მშრომელი ხალხისთვის, ვის შესტკიოდა გული მისთვის, ვინ იყო მისი ჭირისუფალი. თითქმის არავინ! მისთვის არ ზრუნავდა.

მშრომელი ხალხის ხვედრი იყო უზომო მუშაობა, ნესტიანი საცხოვრებელი ბინები, რაც იწვევდა ორგანიზმის დაუძლურებას, ავადმყოფობას და მომეტებულად კი ნადგურდებოდა ჭლექისაგან.

მშრომელ ხალხს ხელი არ მიუწვდებოდა საექიმოდ, სახსარი მას არ გააჩნდა წამლისვის და სამუშაოზე ხშირად ავადმყოფი მუშა დაითრებოდა, სანამ სრულებით არ დაეცემოდა და სამუდამოდ არ გამოესალმებოდა წუთი-სოფელს.

სანატორიუმები, აგარაკები — ეს მდიდართა ხვედრი იყო და მშრომელი ხალხისთვის უცნობ ხილს წარმოადგენდა.

მშრომელი ხალხის ბედზე არც მენშევიკური მთავრობა ზრუნავდა. მაშინაც კურორტ-აგარაკები მდიდრებისთვის იყო მარტო და თუ რომელიმე მუშას ეღირსებოდა, ისიც თავიანთი „შინაური" ავან-ჩავანი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ რაც წინად იყო და კეთილდღეობდა მდიდრებისთვის, მშრომელი ხალხის კლასობრივ მტრებისთვის, დღეს იმას ვერ გააკეთებს საბჭოთა ხელისუფლება და უმთავრესად მისი ყურადღება მიპყრობილია მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, მის უზრუნველსაყოფად.

ძველად უკულმართი წეს-წყობილება ეყრდნობოდა უსამართლობას, ღარიბ-ღატაკთა ცრემლებს, შიმშილ-წყურვილს, ჩაგვრა მონობას და მშრომელთა ჩონჩხებზე აგებდა თავის ბატონობას.

დღეს კი საბჭოთა ხელისუფლება უერთგულესი დამცველი არის მშრომელთა კლასისა, მუშურ გლეხური ხელისუფლება ემყარება სამართლიანობას, მშრომელთა ჭირი თავის ჭირად მიაჩნია და ლხინება თავის ლხინად.

მუშათა ჯანმრთელობისთვის სხვა ვინ იზრუნებს ისე, როგორც თვით მუშურ-გლეხური ხელისუფლება?

რასაკვირველია, არავინ.

ამ ჟამად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს მეტად დიდი მოვალეობა აწევს კისრად ჩვენი ხალხი განიცდის ექიმების სიმცირეს, საავადმყოფების სიმცირეს, კერძოდ აუცილებელი არის ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლისთვის სანატორიუმების ფართოდ მოწყობა რომ ისინი ყველასთვის ხელმისაწვდენი გახდენ.

მართალია, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ცდილობს დასახულ მიზნების განხორციელებას, მაგრამ ყველა ამის სისრულეში მოყვანას სჭირდება დიდძალი თანხები და მშრომელი ხალხის ფართე დახმარება.

ჩვენი უმთავრესი მოვალეობა არის, როგორც ზევითაც ვსთქვით, ამ საქმეში ჩვენ, მუშებმა, მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ და ჩვენი საქმე ჩვენ თვითონვე მოვაწყოთ ჩვენი ხელისუფლების დახმარებით.

მუშკორი—დ—ელი.

საპონ-ზეთის და საფეიქრო ტრესტის მუშებში

30 აპრილს, პირველ ათასეულის კლუბის დარბაზში მოხდა საზეიმო გამოშვება პოლიტ ანბანის სკოლის კურს დამთავრებულ საპონ-ზეთის და საფეიქრო ტრესტის მუშების. ეს დღე დაუვიწყარი იქნება როგორც მუშებისათვის, ისე იქ მყოფ წითელ-არმიელთათვის. დანიშნულ ადგილას მოვიდა 200 მუშა. ათასეული საპატიო ყარაულით ხვდება მათ. მუსიკა ინტერნაციონალს უკრავს. ათასეულის სახელით მუშებს მისასალმებელ სიტყვით მიმართავს სამხედრო კომისრის თანაშემწე, რომელიც ხაზს უსვამს მუშათა და წითელ-არმიელთა შორის მჭიდრო კავშირის არსებობის აუცილებლობას. მუშების სახელით საპასუხო სიტყვას ამბობს ამხ. არაქელოვი, რომელიც მადლობას უძღვნის წითელ-არმიელთ გულწრფელ მიღებისთვის.

მუშები ხელს ართმევენ წითელ-არმიელებს. ამის შემდეგ გაიმართა ცხენების ჯირითი და ტანვარჯიშობა. ვინც ჯირითში თავი ისახელა მუშებისაგან ჯილდო მიიღეს.

საზეიმო სხდომას და საღამოს ხსნის კომიაჩეიკის მდივანი. მესამე რაიკომის და ქიმიკოსთა ცენტრალურ კავშირის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ არაქელოვი. სცენაზე გამოდის 50 მუშა ქართულ-სომხურ სკოლებიდან. თავმჯდომარე მათ ეკითხება, თუ რა არის კაპიტალი, ვინ არიან კომუნისტები, მენშევიკები, რას წარმოადგენს ახალი ეკონომიური პოლიტიკა და სხვ. მუშები მარდად უპასუხებენ ყველა კითხვებზე. ამის შემდეგ გამომცდელი კომისია აცხადებს გამოცდების შედეგებს ყველა მუშები დაჯილდოვებულ იქნა ნიშნებით.

მუშათა გამოშვების დამთავრების შემდეგ, მუშები და წითელ-არმიელები ესწრებიან იქვე გამართულ წარმოდგენას ქართულ და რუსულ ენებზე, რის შემდეგ მუშები ნასიამოვნები მიდიან შინ.

დამსწრე.

წყალსადენის მუშა-მოსამსახურეების ცხოვრებიდან.

მიმდინარე წლის 7 მაისს, დღის 3 საათზე ქალ. თბილისის წყალ-სადენში შესდგა აქაური მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება —კომუნალურ მუშათა კავშირის წარმომადგენელის თანდასწრებით.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) დელეგატების არჩევნები კომუნალურ მუშათა პროფკავშირის კონფერენციაზე, 2) სამკითხველო ბიბლიოთეკის შესახებ და 3) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. იტრიევმა. შემდეგ წარმოდგენილ იქნა კომიაჩეიკის სახელით კანდიდატთა სია 13 კაცისაგან შემდგარი, რომელიც საზოგადო კრებამ კენჭის ყრის დროს ერთხმად მიიღო.

მეორე საკითხის შესახებ კულტ-იაჩეიკის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. თავდგირიძემ, რომელმაც აღნიშნა რომ წინეთ წყალსადენის მუშებს არ ჰქონდათ არც სამკითხველო და არც კლუბი უბინაობის გამო. ეხლა კი ბინა უკვე მონახულია და ამიტომ საშუალებაც გვაქვს, რომ ამავე სამკითხველოში პატარა სცენაც მოეწყოს, სადაც გაიმართება საბავშვო წარმოდგენები, მუშებისათვის კი ლექციები და საზოგადო კრებები, რომელიც უფრო დააკავშირებს ამხ. ამხ. მუშებს, რისთვისაც საჭიროა სცენა, დეკორაციები და სხვა მასალები. ამისათვის თვით მუშებმა უნდა გამონახონ აუცილებელი წყარო და საშუალებაც.

სავსებით იზიარებს საზოგადო კრება ამხ. თავდგირიძის აზრს და გამოსთქვამს სურვილს—ერთი დღის ხელფასი გადასდონ სამკითხველოში სცენის მოსაწყობად. კავშირის წარმომადგენელი ამხ. იტრიევი კავშირის სახელით კრებას დაჰპირდა დახმარებას.

კულტურის მუშაობის სფეროში ადმინისტრაცია უწინ ხელს გვიწყობდა და იმედია, რომ მომავალშიც შეგვიწყობს ხელს და თავის რესურსებიდან მოგვცემს დახმარებას.

წყალ-სადენის მუშკორი
ჩახპანდ ვერული.

თივაში ცეცხლი არ დაიმალება

საპასუხო წერილი (იხ. „კომ" №101)

გაზეთ „კომუნისტი"ს 101-ში მოთავსებულია წერილი სათაურით: „თივაში ცეცხლი არ დაიმალება". რომელშიაც ავტორი აღნიშნავს, რომ გასულ წლის ენკენისთვეში თბილისის საქონლის სადგურის მუშებმა შეცდომით გადაიხადეს გადასახადი თვითეულმა 475. ათასი მანეთი შეიტანეს ქ. ალმასკომში. ამ ფულის უკან დაბრუნება დაევალა ტრამოტის ერთ ერთ თანამშრომელს, რომელსაც ის ეკითხება—დაუბრუნა თუ არა მან მუშებს სრულად ფული, რომელიც მიიღო და თუ არ დაუბრუნებია რა მიზეზით.—

აღნიშნულ წერილის საპასუხოდ ქვემოდ მოგვყავს დაინტერესებულ მუშების განცხადება, რომლიდანაც ცხადათ ჩანს, რომ „შეცდომით გადახდილი ფულები" მუშებს უკლებლივ დაუბრუნდათ და—ამის შესახებ მოთავსებული წერილი კი გაუგებრობაზეა აგებული. ზემოხსენებული ფულის გამოტანა ვიკისრე მე პირადათ და თითოეულს მუშას დაურიგე იმდენი, რამდენიც მას ერგებოდა. თვით დარიგებული ფულის სია მუშების ხელის მოწერით, ჩვენი მთავარ მოლარე გრიგოლ ცინცაძესთან ინახება. აქ კი, როგორც ზევით ვსთქვით, მოგვყავს ჩვენი მუშების განცხადება:

„ჩვენ ქვემორე ამაზედ ხელის მომწერლებმა, თფილისის საქონლის სადგურის მუშებმა წავიკითხეთ გაზეთ „კომუნისტი"-ს № 101-ში მოთავსებული წერილი შემდეგი სათაურით: „თივაში ცეცხლი არ დაიმალება", რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩვენ შეცდომით გადავიხადეთ გადასახადი თვითოეულმა 475 ათასი მანეთი, მაგრამ როდესაც ქალაქის ალმასკომმა ის ფულები ისევ უკან დაგვიბრუნა, ვითომცდა ჩვენ ის არ მიგვეღოს სრულად. ჩვენ ყველასათვის გასაგონათ ვაცხადებთ, რომ ალმასკომის მიერ დაბრუნებული ფული 475 ათასი მან. მივიღეთ სრულად, რისთვისაც მადლობას უძღვნით ქალ. თფილისის ალმასკომს, და იმ პირს, რომელმაც ამ საქმეზე იზრუნა,—შეცდომით ჩვენ მიერ გადახდილი ფული უკლებლივ დაგვიბრუნებია. ხოლო ისეთ არა მკითხე ჭირისუფალმა, რომელიც გვევლინება აღნიშნულ წერილში **„ამ დარგის მუშის"** ფსევდონიმით, უნდა იცოდეს საქმის სინამდვილე და შემდეგ კი მიმართოს პრესას".

საქონლის სადგურის მუშები (ხელს აწერს 20 კაცი) **ა. თოდრია.**

მუშათა ქრონიკა

შრომის კანონების დამრღვეველთა გასამართლება.

ამ დღეებში მე-4 რაიონის შრომის ინსპექტორმა რევიზიის დროს აღმოაჩინა (სამიდან 8 მაისამდე) შრომის დაცვის კანონების დარღვევა, რის გამო ოქმი შეუდგინა შემდეგ სახელოსნოების პატრონებს:

— 1) „უეხ"-ის **ელექტრონული სადგურის** ადმინისტრატორს **სიმონ სხირტლაძეს** (ამატუნის და არსენალის ქუჩების კუთხე) იმის გამო, რომ არ იყო სავსებით შესრულებული კოლექტიური ხელშეკრულების პირობები, არ იყო აგრეთვე წარმოებაში მუშა და მოსამსახურეების შესახებ—მომქმედი დადგენილებანი, წესები და შრომის კომისარიატის დადგენილებები შემოღებული შრომის წიგნაკები;

— 2. **ფოლადის—სააპარატო სახელოსნოს** პატრონებს **მიქელბახებს** (19 თებერვლის ქუჩა 41), რომელნიც ამუშავებდენ 1 მუშას ალექსანდრე ვასილის ძე ადამაშვილს, რომელსაც არა ქონდა „სპეც ტანსაცმელი"; არ იყო დაცული მავნე სამუშაოდან და არც დაზღვეული იყო. წარმოებაში არ იყო შრომის დაცვის შესახებ მომქმედი დადგენილებანი და შრომის წიგნაკები.

— 3. **საზეინკლო სახელოსნოს პატრონს არტაშეს მეიტაჯევს** (მუხრანის ქ. № 25), რომელთანაც მუშაობდა ხელოსანი არამ გასპარიანცი; ეს უკანასკნელი არ იყო დაზღვეული. სახელოსნოში არ იყო შემოღებული შრომის დაცვის შესახებ მომქმედი დადგენილებანი, და შინაგან მოწესრიგების წესები, აგრეთვე სახალხო შრომის კომისარიატის დადგენილებით შემოღებულ საანგარიშო წიგნაკები.

— 4. სასადილო „მედვედ"-ის პატრონს **გიორგი კერესელიძეს** (ნეკრასოვის და ელისაბედის ქუჩ. კუთხე) რომელიც მუშების მიმართ არ იცავდა 8 საათის სამუშაო დროს. არ ჰყავდა მუშები დაზღვეული, მუშები მიღებული არიან შრომის ბირჟის გარეშე, სასადილოს არ ჰქონდა სახელმძღვანელოდ შრომის დაცვის შესახებ მომქმედი დადგენილებანი და წესები და აგრეთვე შრომ. კომის. დადგენილებით შემოღებული წიგნაკები.

ბულ ქალის როლებისათვის კი ჩერქეზიშვილის ქალი შეუდარებელია.

ძალიან კარგი იყო ნ გოცირიძე (ბებერი გიგო). მისი დამახასიათებელი ჟესტები, მისი ენა—პირდაპირ საუცხოოა. მაგალითად, როდესაც ის ყვება ხოლმე ნელა და უმნიშვნელო წვრილმანებით,—ეს ხომ მეტის მეტად სასაცილოა. მართალია გოცირიძე ცოტა ბებერ სომეხს მოგვაგონებს „მზის დაბნელებიდან", მაგრამ ესენი თითქმის ერთნაირი ტიპებია. მოქ. ჯავახიშვილისამ დამთავრებული ტიპი მოგვცა თბილისის მოქალაქის ოჯახის ახალგაზრდა სომხის ქალისა. ის წამოყვანილი ღარიბ ოჯახიდან ზიმზიმოვის მდიდარ მოწყობილებაში თავს გრძნობს ისე, როგორც თევზი წყალში. ის ეშმაკია, ხდება სახლის სრული პატრონი და თავიდან იცილებს ყოველგვარ წინააღმდეგობას. ეფემია (ჯავახიშვილი) ფუფუნებაში ბანაობს და ბიჭ სამსონთანაც კი არ თაკილობს გაარშიყებას,—მსახიობს დაწვრილებით დაუმუშავებია თავისი როლი. ამ როლში ის მოგვაგონებს გაბუნია-ცაგარელისას. არა უშავდა კეკეს როლში—ახალგაზრდა მსახიობს შოთაძეს.

სამწუხაროა, რომ ოდესღაც პეპოს როლის მშვენიერი ამსრულებელი მოქ. გამყრელიძე, ეხლა დაბერდა ამ როლისათვის, პეპო ეს ახალგაზრდა კაცია, ეშმაკობას მოკლებული, რომელსაც უყვარს თავისი დედა და და; პეპოს წარმოდგენაც კი არ შეუძლია იმისა, რომ შეიძლება იყონ უპატიოსნო ადამიანები — ჩარჩები, როგორც ზიმზიმოვი, - სუყველაფერი ეს მოქ. გამყრელიძეს ტექნიკურათ კარგათ აქვს დამუშავებული, მაგრამ სახე და ფიგურა მოხუცებულისა აქვს პეპოს როლისათვის.

მობენეფისე და იუბილიარი ასრულებდა კაკულის როლს, როლი დიდი არ არის, მაგრამ მოქ. იორდანიშვილმა შეძლო მოეცა პატიოსან ახალგაზრდის ცოცხალი სურათი, რომელსაც უყვარს პეპო და მისი ოჯახი.

კარგი გიგოლაა მოქ. ვარდოშვილი, მ. ლორთქიფანიძე კი—მოსამსახურე სამსონა, ძალიან მოგვაგონებს „ბიჭო სიმონიკას" მზის დაბნელებიდან.

იუბილიარს მიულოცეს ახდილ სცენაზე ქართულ, რუსულ და თურქულ თეატრალურმა მოღვაწეებმა და სხვა და სხვა კულტურულმა დაწესებულებებმა. გ. იორდანიშვილმა მთელი მისი სცენიური სტაჟი გაიარა ქართულ სცენაზე, მან 25 წლის წინათ დაიწყო თავისი მოღვაწეობა სტატისტის ხარისხით, შემდეგ გადავიდა რეჟისორათ და მერმე კი დამახასიათებელ როლების ამსრულებელ პროფესიონალურ მსახიობათ გახდა.

მუსიკოსი

პროვინციაში

ბორჯომი

საერთაშორისო მუშათა დღესასწაული, 1-ლი მაისის შესაფერად ჩასატარებლათ პარტკომის ხელმძღვანელობით სწარმოებდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა.

ლამაზი დილაა, მოწმენდილი ცა, მზე მხურვალეთ ანათებს.

ყველა დაწესებულებანი, ქარხნები, ბაღები, მთელი ქალაქი მორთულ-მოკაზმულია...

გამოდის საგიტაციო საგანგებო ავტომობილები; ავრცელებენ მუშათა უბანში და ახლობელ სოფლებში საპირველმაისო ლოზუნგებს.

ალმასკომ-პარტკომის შენობასთან იკრიბება: მუშათა ორგანიზაციები, პროფკავშირის და ა. კ. კ. წევრები, წითელ არმიაში გაწვეული ახალგაზრდობა, ყველა სასწავლებლის მოწაფენი, მშრომელი მოქალაქენი.

მრავალრიცხოვანი პროცესია მიემართება „ოქტ. რევ. ბაღი" საკენ. სიმღერა, სხვა და სხვა საკრავების ხმა ირევა ერთმანეთში, ამ დღისთვის მომზადებული ახალი დროშები თვალწარმტაცათ ირხევიან ჰაერში. დიდსა და პატარას გაუკეთებია წითელი ლენტები, ყვავილები, ყველა მშრომელთ ზეიმის და აღტაცების ღიმილი და ელფერი სდევს...

ბაღში, ლენინის ძეგლთან, ხსნის მიტინგს პარტკომის მდივანი ამხ. სიამაშვილი, რომელიც ამბობს პირველ სიტყვას, შემდეგ ალმასკომის სახელით ჩხაიძე, ა. კ. კ.—ს—ფრანგიშვილი, მუშათა ორგანიზაციის—რუხაძე, მუშა ქალთა—გუტკოვა, უპარტიოთა სახელით—მაისურაძე. წაკითხულ იქნა ლექსები: მღეროდა რამოდენიმე გუნდი. შუადღეს თავდება მიტინგი..

იფანტებიან მთებსა და ტყეში დროს გასატარებლათ, საზეიმოთ, არის მრავალი გასართობები, რაც გრძელდება საღამომდე.

ქალაქის კლუბში გაიმართა უფასო წარმოდგენა, აგრეთვე მუშათა თეატრში.

ბაკურიანის ლიანდაგზე გავიდა საგიტაციო მატარებელი, რომელსაც აუარებელი მშრომელნი ხვდებოდენ, გაიმართა მიტინგები წაღვერსა და ბაკურიანში.

ჟორა მუშათაშვილი.

ჩხარის რაიონი (შორაპნის მაზრა)

1. **პირველი მაისი.** პირველი მაისი წელს დაბა ჩხარში საუცხოვოთ ჩატარდა, შედარებით სხვა წლებთან. წინდაწინვე იქნა არჩეული დღესასწაულის მომწყობი კომისია, რომელმაც გამოიმუშავა გეგმა დღესასწაულის ჩასატარებლათ. მოწვეულ იქნენ რაიონიდან როგორც პარტორგანიზაციები, აგრეთვე ახ-კომ-კავშირის ორგანიზაციები, მშრომელ გლეხებთან ერთად. შუა ქალაქში მოწყობილ იქნა ტრიბუნა და მორთული სურათებით, ცოცხალი ყვავილებით და წითელი დროშებით. აგრეთვე მორთულ იქნა საბჭოთა ყველა დაწესებულებები.

ყველა ეს წინასწარი მუშაობა კომისიამ ჯერ კიდევ 30 აპრილს დაამთავრა. საერთოდ ქალაქს საზეიმო ელფერი ედვა.

გათენდა თუ არა პირველი მაისი, რაიონიდან იწყეს დენა კომ-პარტიის იაჩეიკებმა, ახ-კომ-კავშირის იაჩეიკებმა, მშრომელ გლეხებთან ერთად წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით. პროცესიამ მსვლელობა დაიწყო დღის თორმეტი საათიდან და ყველა დაწესებულებების წინ უკანასკნელთა გამგეები ესალმებოდნენ და ულოცავდნენ პროცესიას დიად დღესასწაულს. შემდეგ პროცესია გაჩერდა საამისოთ მოწყობილ ტრიბუნასთან, სადაც მიტინგს გახსნილათ აცხადებს რაი-პარტ-ინსტრუქტორი. სიტყვებით გამოდიან: ჩხარის რაიონის კომ-ორგანიზაციების სახელით რაი-ინსტრუქტორი ამხ. ბ. სახელაშვილი, შორაპნის სამაზრო პარტიული კომიტეტის სახელით ამხ. ტ. შარიქაძე და სამაზრო ალმასკომის სახელით ამხ. კაპანაძე, რომლებმაც ფართოდ გააშუქეს პირველი მაისის ისტორია და მისი მნიშვნელობა დღევანდელ მომენტში. მოხსენებების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ხაზს უსვამენ ფაშიზმს, რურის ოლქის ოკუპანტებს, აგრეთვე შემთანხმებელ სოციალისტებს და გამარჯვებას უსურვებენ მსოფლიო მუშათა კლასს ბურჟუაზიაზე

ყოველი სიტყვებისა და რეზოლიუციის შემდეგ მომღერალი გუნდი ასრულებდა ინტერნაციონალს.

მიტინგი დაიხურა საღამოს ხუთ საათზე ინტერნაციონალის სიმღერებით.

საღამოს თეატრ „მესამე ინტერნაციონალის" დარბაზში გაიმართა წარმოდგენა, აგრეთვე წარმოთქმულ იქნა ახ-კომ-კავშირის წევრების მიერ სხვა და სხვა რევოლიუციონური ლექსები.

დასასრულ გაიმართა ცეკვა. დღესასწაულმა გასტანა ღამის ორ საათამდე.

2. **ანტი-რელიგიური კამპანია.** აგერ ერთი თვე იქნება, რაც ჩხარის რაიონის მშრომელმა გლეხობამ მოიშორა თავიდან მუშათა კლასის საუკუნოებრივი დაუძინებელი და უდიდესი მტერი, რელიგიური ცრუმორწმუნეობა.

ყველა თემებში მოწვეულ იქნა მშრომელ გლეხების საერთო კრებები, რომლებზედაც რელიგიის შესახებ მოხსენებების შემდეგ, გამოჰქონდათ რეზოლიუციები, სადაც ზიზღს უცხადებენ სარწმუნოებას და სამღვდელოებას.

ყველა თემებში არჩეულ იქნენ სათემო კომისიები, თვითეულ ეკლესიის მრევლიდან თითო კაცი, რომლებსაც დაევალათ თავ-თავის თემში ეკლესიების ქონების აღწერა და დაკეტვა, რაც მოკლე ვადის განმავლობაში მოიყვანეს სისრულეში.

ჩხარის რაიონის ყველა თემებში სულ არსებობდა ორმოცდა ექვსი (46) ეკლესია, რომლებიც ეხლა დაკეტილია და რამოდენიმე მათგანი უკვე კეთდება სამკითხველოებათ და თეატრებათ.

3. **გაზაფხულის თესვის კამპანია.** გაზაფხულის თესვის კამპანია ჩხარის რაიონში სასურველათ მიმდინარეობს. წარსულ თვეში (აპრილში) დ. ჩხარში მოწვეულ იქნა რაიონის ფართო მიტინგი, სადაც მოხსენება გააკეთა რაი-ინსტრუქტორმა ამხ. ბ. სახელაშვილმა, რომელმაც ვრცლად გააცნო გლეხობას, თუ როგორ უნდა შეურჩიონ ამინდი და თესლი საგაზაფხულო თესვას და მოუწოდა მშრომელ გლეხობას—არ გაეცდინათ სხვა და სხვა ძველი ტრადიციული სადღესასწაულო დღეები, განსაკუთრებით პარასკევი, რომელ დღესაც თითქოს ცოდვად მიაჩნდათ მუშაობა.

გლეხები არ სტოვებენ არც ერთ ნაკვეთ მიწას დაუმუშავებელს. გაზაფხულის თესვის კამპანია ხელშემწყობი ამინდების გამო ჯერ ჯერობით კარგად მიმდინარეობს.

4. **1901 წელში დაბადებულთა გაწვევა ჯარში.** ჩხარის ახალგაზრდობა იშვიათი აღფრთოვანებით გამოცხადდა სამხედრო სამსახურში. დღევანდელმა ახალგაზრდობამ იცის თუ რა მიზანს ემსახურება მუშურ-გლეხური წითელი ჯარი და ისიც აღტაცებით და ზეიმით მიდის რევოლიუციის მონაპოვართა განსამტკიცებლათ და შესანარჩუნებლათ, შინაური ნაძირალებისა და დასავლეთის იმპერიალიზმის თავდასხმისაგან.

სა—ლი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს იმ ამხანაგებს, რომლებიც მიემგზავრებიან ტფილისის მაზრაში რაიონების დასათვალიერებლად გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში, სადაც შაბათს 12 მაისს საღამოს 5 საათზე გაიმართება თათბირი.

ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მაგიერ:
ი. ჯანელიძე.

— სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტების კომფრაქციის ბიურო წინადადებას აძლევს საინჟინერო ფაკულტეტების სტუდენტებს—კომუნისტებს და ახალგაზრდობის კომკავშირის წევრებს—პარტიული დისციპლინის ძალით გამოცხადდენ ფრაქციის საგანგებო საერთო კრებაზე, რომელიც შესდგება შაბათს 12 მაისს, საღამოს სრულ 7 საათზე საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში.

ვინც არ გამოცხადდება, მიეცემა პარტიულ პასუხისგებაში.

ფრაქციის მდივნის მაგიერ:
ვულფოვიჩი.

საქართველოს კომუნალურ მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა ამით აცხადებს, რომ ორშაბათისათვის ა. წ. 14 მაისისათვის, დღის 1 საათზე 26 კომუნარის სახელობის კლუბში (მადათოვის კუნძული № 6) დანიშნულია კომუნალურ მუშაკთა კავშირის ყველა უმუშევარ წევრების საერთო კრება. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) უმუშევართაგან არტელის ორგანიზაციის საკითხი.
2) მიმდინარე საქმეები.

ყველა უმუშევართა დასწრება, პროფესიულ დისციპლინის წესით, სავალდებულოა.

ს. კ. პ. თ. კ. მე-2-ე რაიკომი ამით აცნობებს, რომ პარასკევს ა. წ. 11 მაისს, ერთიანი პარტიული დღის მაგივრათ, [illegible]ლის სახელობის კლუბში საღამოს 6 საათზე შესდგება მე-2-ე რაიონის წევრთა და კანდიდატთა კრება.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ამხ. რუბენის რ. კ. პ. მე-XII ყრილობის შესახებ.

ვინც 15 წამს დაიგვიანებს, არ გატარდება რეგისტრაციაში,

მდივნის მაგიერ: ნაზაროვი.

— საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ტბილისის კომიტეტის გაფართოვებული პლენუმის სხდომა, რომელიც დანიშნული იყო ხუთშაბათს 10 მაისისათვის ტრანსპორტელ მუშათა ახალგაზრდობის კონფერენციის გახსნის გამო, გადატანილია შაბათს 12 მაისისათვის საღამოს 5 საათზე საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში.

— შაბათს, 12 მაისს, დღის 1 საათზე (ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის) მე-4-ე რაიონის პარტიულ სკოლის შენობაში მოწვეულია მე-4-ე რაიონის ყველა მუშათა კლუბების გამგეობათა და კლუბის მუშაკთა თათბირი. დღის წესრიგშია საკითხი პროფკავშირთა საბჭოს ცენტრალურ კლუბში და ადგილობრივ კლუბებში საკლუბო მუშაობის დაყენების შესახებ.

მოწვეული არიან: პროფკავშირთა საბჭოს კულტურული განყოფილება, მბეჭდავების, ზემო-კვების, სახალხო დამოკიდებულების კავშირების კულტურული განყოფილებანი, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის იაჩეიკის ბიურო, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, ყველა იმ იაჩეიკების მდივნები, რომელთა დაწესებულებებში მოიპოება კლუბები.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: არუსტანოვი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

რესპუბლიკაში საქონლის ჭირთან ბრძოლის დროებითი წესდება.

1. საქონლის პატრონი მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ადგილობრივ ხელისუფლების დაწესებულებას ანუ პირდაპირ ექიმ-ვეტერინარს, როდესაც მის საქონელში აღმოჩნდება საეჭვო ავადმყოფი გადამდები სენის ნიშნებით, ან მოულოდნელად მომკვდარი.

2. დაწესებულება მიიღებს რა განცხადებას ავადმყოფ, ან მომკვდარ საქონლის შესახებ, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარს დეპეშით, ან ტელეფონით, ან საგანგებო კაცის გაგზავნით და მის მოსვლამდის კი მიიღოს შემდეგი წინასწარი ზომები: ა) გამოაცალკევოს საღი საქონელი ავადმყოფებიდან, ბ) ჩამარხოს მკვდარი საქონელი განცალკევებულ ალაგას, რომელიც შემოფარგლული უნდა იყოს არხით, ანუ ღობით, გ) აკრძალოს საქონლის გადარეკა და საქონლის ნედლი მასალის და აგრეთვე თივის, ჩალის და ბზის გატანა სხვა სოფელში.

3. ექიმი ვეტერინარი ცნობის მიღებისათანავე საქონლის ავადმყოფობის შესახებ მოვალეა მიაშუროს იმ ადგილს და დაწესებულების წარმომადგენლის და სოფლის მცხოვრებთა არა ნაკლებ ორის წარმომადგენლის თანადასწრებით გასინჯოს ავადმყოფი საქონელი; თუ არის ლეში საქონლისა, გაკვეთოს სენის გამოსარკვევად.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც გარეგანი ნიშნები დაავადებულ საქონლისა ნათლად არ არიან გამოსახულნი და ექიმი-ვეტერინარი მოკლებულია საშუალებას გამოსთქვას საბოლოო აზრი ავადმყოფობის შესახებ, დაავადებული საქონელი გამოცალკევდება და მკაცრ ვეტერინარულ ზედამხედველობის ქვეშ რჩება იმ დრომდე, ვიდრე არ გამოაშკარავდება ავადმყოფობის ხასიათი; თუ შესაძლებელია, მოიწვევს მახლობელ მეზობელ ექიმ-ვეტერინარს სენის გამოსარკვევად.

5. როდესაც გამოირკვევა საქონელზედ ჭირის არსებობა, ექიმ-ვეტერინარმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას და ადგილობრივ ხელისუფლების დაწესებულებას და აგრეთვე მეზობელ რაიონების ექიმ-ვეტერინარებს, ამის გარდა უნდა მოიწვიოს ჭირის მომსპობი აღმასრულებელი კომისია და დააწესოს კანონით და ამავე წესდებით ნაჩვენები ზომები ჭირის მოსასპობლად.

6. ჭირიანი საქონელი აიცრება კომბინაციური მეთოდით: შრატით და სისხლით, აცრა სავალდებულოა დაჭირიანებულ სოფლის ყველა მსხვილ-ფეხა რქიან საქონლისა, ნაწილობრივ-კი, ადგილობრივ პირობების მიხედვით და თუ სოფლის ყველა საქონლისათვის საკმაო შრატი არ მოიპოვება, იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიური მიზეზების გამო შეუძლებელია დაჭირიანებულ სოფლის საქონლისაგან მახლობელ სოფლის საქონლის მოშორება, ეს სოფელი შეუერთდება დაჭირიანებულ სოფელს და იქაც აუცილებლივ აიცრება საქონელი.

7. დაჭირიანებულ სოფელში აშკარად ავადმყოფი და სიცხე აწეული საქონელი ცალკევდება და თავსდება განსაკუთრებულ ბოსელში, ან მოღობილში.

შენიშვნა 1: აშკარა ავადმყოფად ჩაითვლება ის საქონელი, რომელსაც აშკარად ეტყობა გარეგანი ნიშნები ჭირისა.

შენიშვნა 2: სიცხე აწეულად ჩაითვლება ის საქონელი, რომელსაც ექნება სიცხე 40 გრადუსამდე და მეტიც ცელსიით.

8. აღმასრულებელ კომისიაში შედიან ექიმი-ვეტერინარი—როგორც თავმჯდომარე, ხელისუფლების დაწესებულებების წარმომადგენელი და საქონლის ორი მეპატრონე, ამორჩეული მცხოვრებთაგან. აღმასრულებელი კომისიის მოქმედება გრძელდება საკარანტინო წესების მოხსნამდის. კომისიის მოქმედებას არ აბრკოლებს ერთ-ერთი წევრის არ დასწრება, გარდა ექიმ-ვეტერინარისა. კომისიას ყველა თავის განაჩენი შეაქვს ოქმში, რომელზედაც ხელს აწერენ იქ დამსწრე წევრნი: ასლი ოქმისა დაუყოვნებლივ ეგზავნება ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას დაწესებულ ფორმით.

9. დაჭირიანებულ სოფელში აღმასრულებელი კომისია მოვალეა დაუყოვნებლივ მიიღოს შემდეგი ზომები:

ა) აღნიშნოს დაჭირიანებულ სოფლის საზღვრები, დააწესოს იმ საზღვრებში კარანტინი და მასზედ თვალ-ყურის დაჭერა დაავალოს ადმინისტრაციას და მცხოვრებთ.

ბ) შეადგინოს საქონლის საკომლო სია და დააწესოს საქონელზე სავეტერინარო ზედამხედველობა.

გ) აირჩიოს შესაფერი ადგილი საქონლის ლეშის ჩასამარხავათ.

დ) დააწესოს სავალდებულო აცრა დაჭირიანებულ სოფლის საქონლისა.

ე) აირჩიოს შესაფერი ადგილი საქონლის დასაბმელად და ასაცრელად, იზრუნოს ასაცრელი იარაღების, შრატის და სხვა ასაცრელ მასალების შენახვაზე.

შენიშვნა 1: საქონლის აცრის დროს ექიმ-ვეტერინარმა უნდა იხელმძღვანელოს ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების მიერ გაცემულ ინსტრუქციით.

შენიშვნა 2: მუშა ხალხი, ცხენები შესაბმელი საქონელი, თოკები, ხარიხები, საქონლის დასაბმელად, ბინა, გათბობა, განათება და მოსამსახურე, რაც საჭიროა კომისიისათვის მუშაობის დროს კარანტინის მოხსნამდე, შეადგენს სოფლის მოვალეობას.

ვ) გასინჯოს და გამოარკვიოს ვეტერინარ-სანიტარული მდგომარეობა იმ სოფლებისა, რომელსაც რაიმე ეკონომიური კავშირი აქვს დაჭირიანებულ სოფელთან და ეჭვს ბადებენ საქონლის ჭირის არსებობისას. თუ რომელიმე სოფელში აღმოჩნდა საეჭვო ავადმყოფი საქონელი, ეს საქონელი უნდა გამოაცალკევოს დანარჩენ სოფლის საქონლიდგან და დააყენოს განსაკუთრებულ ვეტერინარ-სანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ. ამ გვარი გასინჯვა ძიება უნდა დამთავრდეს დაჩქარებით.

ზ) როდესაც აცრა რაიმე მიზეზებით შეუძლებელია, აღმასრულებელი კომისია ახდენს სასტიკ იზოლიაციას ავადმყოფ საქონლისას და აწესებს საზოგადოდ კარანტინს.

10. დაჭირიანებულ სოფლიდან რქიან მსხვილ საქონლის გადარეკა სხვა ადგილას აკრძალულია იმ დრომდის, ვიდრე სოფელი არ იქნება გამოცხადებული სენისაგან განთავისუფლებულად. იმ შემთხვევაში—კი, როდესაც აუცილებელია საქონლის გადარეკა ჭირიან ადგილიდან სხვა ადგილას, კომისია ხელმძღვანელობს სამთაბარო საქონლის წესდების მე-12-ე §-ით.

11. საქონლის მორეკა საღ ადგილებიდგან დაჭირიანებულ სოფელში შეიძლება აღმასრულებელ კომისიის ნებართვით ან დასაკვლელად, ან და ასაცრელად: უკანასკნელ შემთხვევაში საქონლის მორეკა შესაძლებელია იმ პირობით, თუ აცრის შემდეგ მოსახერხებელი იქნება მისი განცალკევებითი შენახვა იმავე სოფელში, რათა კარანტინის ვადა სოფლისათვის არ გაგრძელდეს.

12. დაჭირიანებულ სოფელზედ რქიან მსხვილ საქონლის გარეკა აკრძალულია, გარეკა შეიძლება კომისიისაგან ნაჩვენებ მოსავლელი გზით.

13. გატანა დაჭირიანებულ სოფლიდგან ტყავისა, ხორცისა, მატყლისა, რქისა, ჩლიქისა, თივისა, ბზისა და ჩალისა შესაძლებელია კომისიის ნებართვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება საშიში ჭირის გავრცელების მხრივ.

14. დიდ ქალაქებში საკარანტინო ზომების მიღება ნაწილობრივ დაჭირიანებულ უბნებში დასაშვებია მხოლოდ კომისიის დადგენილებით.

15. დაჭირიანებულ სოფელში საკლავ საქონელს სინჯავს ექიმი-ვეტერინარი დაკვლის დღეს.

16. საქონლის ბაზრობა, როგორც დაჭირიანებულ სოფელში, აგრეთვე იმ რაიონში, რომელიც მიჩნეულია კომისიისაგან საეჭვოდ ჭირის მხრივ, აკრძალულია სენის მოსპობამდის.

17. საქონლის ლეში უნდა ჩაიფლას მიწაში 2 ნახ. არშინის სიღრმეზედ აღმასრულებელ კომისიისაგან ამორჩეულ ადგილზე, ამასთანავე ნება ეძლევა პატრონს ტყავი გააძროს ლეშს მხოლოდ იმ პირობით, თუ რომ ტყავის დეზინფექცია მოსახერხებელი იქნება ექიმ-ვეტერინარის ნაჩვენებ წესით და მისივე პირადი ზედამხედველობით.

შენიშვნა: საქონლის ტყავის დეზინფექციისათვის საჭიროა სულემის ხსნილი 1,0:1000,0, რაშიაც ტყავი დაიტოვება ოცდაოთხი საათის განმავლობაში.

18. დაჭირიანებულ ადგილებში ბოსლები და საქონლის სადგომები და იქ ნამყოფი საგნები უნდა დასუფთავდეს ექიმ-ვეტერინარის ჩვენებით, უმნიშვნელო იაფ-ფასიანი ნივთები-კი შეიძლება დაიწვას შეუფასებლად.

19 ის ადგილები, სადაც აიცრა საქონელი, გამოცხადდებიან კარანტინიდგან განთავისუფლებულად მხოლოდ 14 დღის შემდეგ, დღიდან რეაქციის გათავებისა, ან უკანასკნელად მომკვდარ საქონლისა, რომელსაც აშკარად ეტყობა ჭირის გარეგანი ნიშნები.

20. ვიდრე კომისია გამოაცხადებს სოფელს ჭირისაგან განთავისუფლებულად, სოფელი მოვალეა შეასრულოს კომისიის ყველა განკარგულებანი და დადგენილებანი.

21. კომისიის ყველა განკარგულების სისწორით აღსრულებას თვალყურს ადევნებენ როგორც თვით აღმასრულებელ კომისიის წევრნი, აგრეთვე ადგილობრივი ადმინისტრაცია; წესების დამრღვევნი მიეცემიან სათანადო პასუხისგებაში.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი **ბ. კანდელაკი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი იტყობინება, რომ პარასკევს 11 მაისს, დღის 4 საათზე ერთიან პარტიულ დღის მაგიერ რუსთაველის თეატრში შესდგება საერთო—რაიონული კრება. დღის წესრიგი: მოხსენება რუსეთის კომუნისტური პარტიის მე12 ყრილობის შესახებ—ამხ. კახიანი.

პარტიული დისციპლინის ძალით სავალდებულოა რაიონის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

პასუხ. მდივნის მაგიერ: ხაცკევიჩი.

განცხადებები

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 378—1—1

დღეს, 11 მაისს,
ივ. ფალიაშვილის ბენეფისი
ლოენგრინი
დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ამით ცხადდება საყოველთაო
საყურადღებოდ,
რომ **ალმასკომის საფინანსო განყოფილების** მიერ იჯარით იცემა ერთი წლის ვადით შემდეგი ბაღ-რესტორანები „არტო", „სოლეი" და „ზვეზდა" პლეხანოვის პროსპ., „კრუჟოკი" კირკის ქუჩაზე და „უნიონი" სოლოლაკის ქუჩა პირობების გაგება შეიძლება საფინანსო განყოფილების მდივანთან ამხ. ქიქოძესთან ოთახი № 14.
(კრ. 381—3—1) საფინანსო განყოფილების გამგე—ვ. ფილკოვსკი.

ქალაქის დარაბების მოქირავეები,
რომელნიც დაკეტენ დარაბებს, საწყობებს, სარდაფებს ან სხვა გვარ სავაჭრო სამრეწველო კანტორებს და დაწესებულებებს, ვალდებულნი არიან ანგარიში გაასწორონ საფინანსო განყოფილების სადარაბო სექციაში, სადაც უნდა წარმოადგინონ ქირის გადასახადის ქვითარები, ორდერები და გასაღებები. დარაბებიდან ალმასკომის ინვენტარის გატანა სასტიკად აკრძალულია.
კრ. 380 4—2 **საფინანსო განყოფილების გამგე.**

ტფილისის ალმასკომი
მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს,
რომ კოჯორში მომავალი ზაფხულისათვის მსურველებს შეუძლიათ დაიქირაონ ოთახები, ოთახები დაყოფილი არის 3 კატეგორიად: 1 კატეგორიის ოთახების ერთი კვ. არშ. მთელ სეზონში ღირს 80 კ. ოქროთი, ოთახები მე-2 კატ.—60 კ. და ოთახები მე-3 კატ.—40 კ. ვისაც სურს აგარაკი დაიქირაოს არა უგვიანეს 1 თიბათვისა განათლების განყოფილებაში უნდა შემოიტანოს შესაფერი განცხადება და აგრეთვე მთელი ქირა აგარაკისა, ხოლოდ პროფესიონალურ კავშირის წევრებს შეუძლიათ შემოიტანონ აგარაკის ქირა 2 ვადაზე: პირველი ნახევარი ქირისა უნდა შემოიტანონ განცხადებასთან ერთად, ხოლო მეორე ნახევარი—არა უგვიანეს 1 მკათათვისა.
პროფესიონალურ კავშირთა წევრებს ოთახებთან ერთად დაეთმობათ ზოგიერთი ავეჯიც. რადგანაც კოჯორის აგარაკებს სახელები აქვთ შეცვლილი და ახლად არიან დანომრილი, ამისათვის საჭირო არის, რომ მსურველებმა აგარაკები დაათვალიერონ ადგილობრივ და მიიღონ ყოველგვარი ცნობები კოჯორის სამეურნეო წევრებიდან—ჩხეტიასაგან ან ლევდლაძისაგან, შემდეგ უნდა გამოცხადდენ განყოფილებაში, წარმოადგინონ აგარაკის საფასური და მიიღონ ორდერი.
კრ. 376 2—2 **პრეზიდიუმი.**

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პროფგანათლების მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი
ი. ფ. პალატნიკოვის
ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
(15—2) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით ჩინებული დარსონვალი
მიხეილ ბედევანიშვილის სახელობისა
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფოს სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, კიროჩნის ქ. № 20. (501—25—28)

დაიკარგა სამოქალაქო აქტების აღმნუსხველ განყოფილებიდან გაცემული დაბადების მოწმობა მოსე დავარაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დაიკარგა საწევრო წიგნაკი „მიწა-ტყის" კავშირისა № 1313 ვერა გიორგის ასულ პახუნოვისა. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დაიკარგა პასპორტი მე-2 კომისარიატისაგან გაცემული ალექსანდრე ნასიბოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

[illegible]